

917722881095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

თარგმნული
ზეპორთა

პერიდი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2014

12



2017/აგვისტო

8 (262)

ჰენრიკ ბიონის
“აღრუხი ნაბიჯი პერიდი”

სარჩევი



პერსონა	1	ამირ ორი: „ჩემი აზრით, საზოგადოება, რომელშიც არ არის პოეზია, მომაკვდევია“
	5	ამირ ორი ლექსები თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა
	8	ამირ ორი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაშ
პოეზია	10	ლელა ცუცქერიძე
	13	ნინია სადღოებელაშვილი
პროზა	16	სანდრო წერეთელი ხორცსაკეპი
თარგმანი	23	ტიან ჰე ლექსები თარგმნა ბექა ბარქაიამ
	31	ნიკოლო ამანიტი ცოტა მტკივნეულია იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ
ნიგნის ნადიმები	42	მალხაზ ხარბედია ჰაინრიჰ ბიოლის „ადრეული წლების პური“
რეცენზია	47	ლექსო ლოხუანიძე გაიცანი, ეს ჰანტაა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დასასვენებელი სინამდებრ

სულხან-საბა

პრილი - მზის შუქი, რამიზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარლი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



ამირ ორი: „ჩემი აზრით, საზოგადოება, რომელშიც არ არის პოეზია, მომაკვდავია“



ამირ ორი - ცნობილი ებრაელი მწერალი, პოეტი, რედაქტორი. დაიბადა თელ-ავივში 1956 წელს. გამოცემული აქვს 12 პოეტური კრებული ებრაულ ენაზე. მისი ბოლო პუბლიკაციებია 1977-2013 წლებში გამოცემული რჩეული ლექსების კრებული „ალაფი“ (2013) და კრებული „ფრთხი“ (2015). ამირ ორის ლექსები თარგმნილია 40-ზე მეტ ენაზე და გამოცემულია 22 წიგნად ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. პოეტს მიღებული აქვს მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო პრემია, მათ შორის: პრემიერ-მინისტრ ლევი ეშკოლის პრემია, ფულბრაიტის სამწერლო პრემია, ბერნშტაინის ჯილდო, ოენუმის პოეზიის ჯილდო (2010), სტეფან მიტროვ ლიუბიშას სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია (2014) და ლექსების ატლასის ჯილდო 2016 წელს. ამირ ორი სწავლობდა ფილოსოფიას და შედარებით რელიგიის კურსს იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი ამავე სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს ძველბერძნული

რელიგიის შესახებ. ასწავლიდა პოეზიას ისრაელის, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამირ ორი ჰელიკონის პოეტური საზოგადოების და ებრაულ-არაბული ჰელიკონის პოეზიის სკოლის დამაარსებელია. იგი პოეტური გამოცემების სერიის Catuv-ის რედაქტორია. ასევე არის საერთაშორისო პოეზიის ჟურნალ „ატლასის“ ადგილობრივი რედაქტორი ისრაელში.

ამირ ორი თავის კოლეგასთან, დითი ორენთან ერთად 2017 წლის მაისში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში იმყოფებოდა საქართველოში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მზადდება ებრაულ-ქართული თანამედროვე პოეზიის მცირე კრებულიც. ამირ ორმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში.

ესაუბრა და წინასიტყვაობა დაურთო
დალილა გოგიამ

- რა არის პოეზია თქვენთვის და, რატომ უნდა გიყვარდეს პოეზია?

- არ ვიცი, პოეზია ჩემი ნაწილია. ლექსებს ჯერ კიდევ მაშინ ვწერდი, როცა კითხვა არ ვიცოდი. მაშინ ლექსებით სათამაშოებს ვალაპარაკებდი, ხან დათუჩას, ხან ბაჭიას. ერთგვარ მონოლოგებს ვქმნიდი. იმ ლექსებს რითმაც ჰქონდათ და რიტმიც. დედა მისმენდა, ლექსებს იწერდა, მაქებდა და მეუბნებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებდი. მას შემდეგ ლექსი სულ თან მდევს. პოეზია შენი რეაქციაა სამყაროს მიმართ, სამყაროს კვლევა, თუ უფრო ჩავულრმავდებით, ის სიბრძნეა. როგორც წესი, ჩვენ ფილოსოფიას მივინებთ სიბრძნის წყაროდ, მაგრამ როგორც კი ფილოსოფიის სიტყვებში მოთავსებას მოვინდომებთ, ზუსტი გამოხატვა გაგვიჭირდება. თუ დავაკვირდებით, ფილოსოფიას უყვარს მძიმე, ნელი სიტყვები, მაგრამ თუ ფილოსოფოსი ამავე დროს პოეტიცაა, როგორიც იყო პლატონი ან ნიცე, საქმე სულ სხვაგვარადაა, რადგან პოეზია სიტყვებით თამაშობს, რაღაც აზრს ან იდეას ეთანხმება, ან არ ეთანხმება, მაგალითები მოყავს, გრძნობებს აღვივებს, ემოციებს იწვევს, საკუთარ განცდებს აღწერს, შეიძლება თავისივე იდეა ერთ ნაშთში გაანადგუროს და მერე ისევ მკვდრეთით აღადგინოს. პოეზია თავისთან გინევს, მას სურს არა მხოლოდ დაგაფიქოს, არამედ უნდა მისი ნაწილი გახდე, მისი გამოცდილება გაიზიარო. პოეზია თვითგამოხატვის უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა, ის თავის თავში იტევს წარმოსახვას, სილამაზეს, გრძნობებს, თავისუფლებას...

- გამოდის, რომ პოეზია ათავისუფლებს?

- რა თქმა უნდა, რადგან პოეზია ყოველთვის რაღაც ახალს ქმნის, მას იმ მყუდრო სამყაროში შევყავართ, რომელიც მანამდე არ არსებობდა და სადაც თავს თავისუფლად ვგრძნობთ. რომ ავიღოთ თუნდაც უმნიშვნელო პოეტიკი კი, ისიც რევოლუციონერია, რადგან ახალ რეალობას ქმნის, შეიძლება ითქვას, ჩვენს ხვალისდედს, ცვლის ჩვენს გარემოს, სოციალურს, კულტურას, ყველაფერს ჩვენს ირგვლივ, პოეზიის კითხვით ადამიანი ხვდება შემოქმედებით ველში. ჩემი აზრით, საზოგადოება, რომელშიც არ არის პოეზია, მომავდავია.

- ალბათ ამიტომაცაა აუცილებელი ლიტერატურული ფესტივალები, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან თავს იყრიან და...? და რა ხდება ამ დროს?

- და იქ შემოქმედებითი ველი იქმნება, შემოქმედებითი სული ტრიალებს, რევოლუციური სული.

- რევოლუციური... არ ფიქრობთ, რომ საშინო სიტყვაა?

- არა, არაა აუცილებელი, ყველა რევოლუცია საშინო იყოს. საშინო ისაა, როცა ვიღაც მწერლების გაკონტროლებას ცდილობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ პოეტების ემინიათ, იმ ახალი სამყაროსი, რომელსაც ისინი ქმნიან, და სადაც ახალი საზოგადოება, იდეები იბადება. მათ არ უნდათ, ხალხს ეს ახალი სამყაროს იდეა მიაწოდონ. შემთხვევი-


თი არაა, რომ რაც კაცობრიობა არსებობს, მმართველებსა და რელიგიურ ლიდერებს ყოველთვის ემინოდათ შემოქმედი ადამიანების და ასეთებს მუდმივად აკონტროლებდნენ. არა მხოლოდ აკონტროლებდნენ, ავიწროებდნენ, ციხეში სვამდნენ, ხოცავდნენ, იმიტომ, რომ წერა საშიშია, ისინი ძველის, არსებული სამყაროს ნგრევასა და ახლის შენებას ითვალისწინებენ, სადაც ამ ლიდერების ადგილი არ არის.

- ლექსის წერა საშიშია? და რა აქვთ საერთო კარგ ლექსებს, ან რა უნდა ჰქონდეთ საერთო? ან უნდა ჰქონდეთ თუ არა?

- პირველ რიგში, ახალი პოეტური ესთეტიკა. ეს შეიძლება იყოს რითმა, რიტმი, გამოხატვის ნებისმიერი ხერხი და ახალი სამყარო, რომელზეც ვისაუბრეთ. მაგალითად, პოეტები გვიხატავენ ისეთ ემოციებს, გრძნობებს, მოვლენებს, საგნებსაც კი, რომლებიც მანამდეც ვიცოდით, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან სახელი არ დაგვირქმევია. მარტივი შედარება რომ მოვიყვანო, პოეზია ახალ ვარსკვლავებს პოულობს და სახელსაც არქმევს. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ პოეტი იცავს ბალანსს მხოლოდ თქვენ კომუნიკაციასა და გამოხატვის უნიკალობას შორის. მკითხველი მთავარია, რადგან, წარმოიდგინე, თუ რამე ახალს იტყვი, რომელიც შენთვის კი არის ახალი, მაგრამ მკითხველი ვერ გაიგებს, რა აზრი ექნება? აი, მაგალითად, ხვალ რომ მოგინდეთ პომიდორს რაღაც სხვა დაარქვათ, მაგალითად, პოპო, მაგრამ ეს ახალი სახელი მხოლოდ თქვენ იცით, რა აზრი აქვს, თუ სხვა ვერავინ ვერაფერს მიხვდება? თუ დიალოგი არ შედგა, არ იქნება არც პოეზია, და საერთოდ, არც ხელოვნება. მეორე მხრივ კი, თუ მხოლოდ მკითხველზე ფიქრობ და საკუთარ პოეტურ უნიკალობას არად აგდებ, ბანალური ხდები. ამიტომ ალვინმა, რომ ბალანსი აუცილებელია. თუ მე ვიტყვი, რომ შემოდგომაზე ფოთილი ეცემა, ამაში არაფერია ახალი ან განსაკუთრებული, ხოლო თუ ვიტყვი, რომ ფოთილიდან ერთად მეც ვეცემი, მაშინ მკითხველს საკუთარი ასოციაცია ექმნება, საკუთარ თავს ან რაიმე ეპიზოდს იხსენებს საკუთარი ცხოვრებიდან. ყველაზე რთული ამოცანა ეს არის - არ დაკარგო კავშირი მკითხველთან და იპოვო/შეინარჩუნო საკუთარი ინდივიდუალურობა.

- ახლა ერთი თქვენი ლექსი, „ერთი კათხა ლუდი“ მახსენდება, რომელიც ვთარგმნი. იმ ლექსით თქვენ მკითხველთან ნაცისტს ალაპარაკებთ, მას, ვინც ოსვენციმში ხალხს ხოცავდა. რატომ? აქვე ალვინმა, რომ თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე თქვენ მიერ ნაკითხულ ამ ლექსს მსმენელის განსაკუთრებული დაინტერესება და რეაქციები მოჰყვა.

- ამ ლექსს თავისი ისტორია აქვს. საქმე ისაა, რომ დედაჩემის მთელმა ოჯახმა, ბებია გარდა, სიცოცხლე ოსვენციმში დაასრულა. ამის შესახებ ჩემთან სახლში არავინ ლაპარაკობდა და ეს სირუჟე თუ ტაბუ კიდევ უფრო მძიმე იყო ჩემთვის.



ორჯერ მიმინვიეს გერმანიაში როგორც პოეტი და ორჯერვე უარი ვოტკი, ვერაფრით წარმომედგინა, როგორ უნდა ჩავსულიყავი იქ. ჩემმა ახლობლებმა მიჩიეს, რომ როგორმე მოვრეოდი თავს და გავთავისუფლებულიყავი ამ დამოკიდებულებიდან. ამაზე მეც დავფიქრდი. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ფაშისტებს მონსტრებს ვუნოდებთ, სხვადასხვა საშინელ სახელებს ვარქმევთ, თუმცა, ვიცით, რომ ისინიც ჩვენნაირი ადამიანები იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ურჩხულს ყველა ჩვენგანში სძინავს და თუ ჩვენ ამას გავაცნობიერებთ და გავითავისებთ, მის გამოღვიძებას არ დავუშვებთ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ადამიანი ამ კუთხით გამოემკვლია და მონსტრისთვის ყური დამეგდო. მიწოდდა გამეგო, რაც ოსვენციმში მოხდა, მინდოდა ფაშისტების თვალთ შემეხედა მოვლენებისთვის. რა თქმა უნდა, ეს უკიდურესად რთული იყო, მაგრამ როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, პოეზია ათავისუფლებს.

- რა რეაქცია აქვთ ხოლმე ადამიანებს, როცა გაიგებენ, რომ საკუთარ თავში ეს ბნელი მხარე გამოიკვლიეთ?

- სხვადასხვა. ზოგი მეთანხმება, ზოგს ეშინია.

- და თქვენ არ შეგეშინდათ?

- არა, ეს ქვეცნობიერად მოხდა. ბევრი არ მიფიქრია, თავისთავად მივედი აქამდე.

- იქნებ თქვენმა მუზამ მიგიყვანათ?

- მე მუზას შთაგონებას დავარქმევდი. თუ უფრო შორს წავალთ, ესაა შინაგანი, ჩემზე დიდი მე, უფრო დიდი ცნობიერება. ამას დავარქმევდი კარს სამყაროსა და ადამიანს შორის. მე, როგორც პოეტი, ყოველთვის ვცდილობ, ეს კარი არ ჩაირაზოს. შემოქმედი ადამიანი ვერასდროს გაიგებს, როგორ მოდის შთაგონება. ზოგჯერ შეპყრობილივით წერ, ზოგჯერ კი მთელი წელი გრძელდება სიჩუმე. ეს მისტიკაა.

- ანუ, არანაირი მუზა, არანაირი ლამაზი და მაცდური ქალი?

- ლამაზ ქალზე შეგიძლია დანერო, სიყვარულზეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოდის, რომ ცხოვრებაზე წერ.

- ფიქრობთ, რომ პოეზიამ აუცილებელად უნდა ასახოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენები და გარემო, რადგან ისინიც ცხოვრების შემადგენელი ნაწილია?

- აუცილებელი არაფერია, ვილაცამ ისიც თქვა, ყველა მოვლენა პოლიტიკურიაო. და რადგან ჩვენ ცხოვრებაზე ვწერთ, და პოლიტიკაც ცხოვრების შემადგენელი კომპონენტია, პოლიტიკაზე წერა პოეტის თავისუფალი არჩევანია. მთავარია, როგორ დანერ, თორემ ვილაც ყვავილებზე წერს, ვილაც სოციალურ თემაზე...

- ვილაც ეროტიკაზე.

- ისეც პოლიტიკაა, მე თუ მკითხავ.

- როგორ? თქვენც ხომ წერთ ეროტიკულ ლექსებს, თარგმნით, სხვა თარგმანებთან ერთად, ძველი ბერძნული ეროტიკული პოეზიის ანთოლოგიაც გამოცემით. რატომ ფიქრობთ, რომ

ეროტიკა პოლიტიკაა?

- ავიღოთ საფო. სწორედ ეროტიკული პოეზიით იწყება მისი ინდივიდუალური ხმა. მან ერთი სტროფით რევოლუცია მოახდინა, როდესაც თქვა, რომ ლამაზი ის ადამიანია, რომელიც უყვარათ. ესაა ნამდვილი რევოლუცია, რადგან მანამდე ბერძნულ პოეზიაში სილამაზის აღქმა იყო ობიექტური, დაკანონებული, სილამაზე იყო ჰარმონია, სიმეტრია, ლამის გეომეტრია, საფომ კი განაცხადა - არა, სილამაზე სუბიექტურია, ისაა სილამაზე, რასაც მე ვუნოდებ ლამაზს. ეროტიკული პოეზია სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ხმად დაიბადა. და პლატონიც იმავეს ამბობს - ინდივიდუალური პოეზია დასაბამს საკუთარი გამოცდილების გაზიარებით იღებს.

- რას იტყვით ქართველი პოეტების შესახებ? თქვენ რამდენიმე მათგანის ლექსებს გაეცანით.

- უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ნაკითხული მაქვს ვეფხისტყაოსანი გაპონოვის ბრწყინვალე თარგმანში და მე ვიტყვოდი, რომ ის შედეგია. რაც შეეხება ქართველ თანამედროვე პოეზიას, მე გავცენილი ექვსი პოეტის ლექსებს. ესენი არიან: თეა თოფურია, ლელა სამნიშვილი, ზვიად რატიანი, ბათუ დანელია, ნიკა ჯორჯანელი, პაატა შამუგია. რა თქმა უნდა, დალილა, აუცილებლად უნდა გავუსვა ხაზი, რომ ამაში შენი, როგორც მთარგმნელის, პროფესიონალიზმი და შრომა დაგვეხმარა მე და ჩემს კოლეგას, დიითი რონენს. მე დავინახე სხვადასხვა სტილი, თემები, სტროფებს შორის იკითხება რელიგია და ანტირელიგია, სოციალური დისკუსია, ზოგი ლექსი რთული სტრუქტურისაა, ზოგი - მარტივის. მარტივს, რა თქმა უნდა, დადებითი კონტექსტით ვამბობ, რადგან პოეზიაში სიმარტივე ყველაზე რთული მისაღწევია. მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია ამ პოეტებზე, დღეს, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში, როცა ხელოვნება აღარ არის შეზღუდული და თავისუფალი არჩევანის დრო დადგა, პოეტი თავისთვის შესაფერ ლექსს ირჩევს. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი პოეტებისთვის ასეთი სხვადასხვაობა ადვილი მისაღწევი არ იქნებოდა, თუ საბჭოთა წარსულსა და ინფორმაციულ ვაკუუმს გავითვალისწინებთ.

- რას ურჩევდით ახალგაზრდა პოეტებს?

- ბევრი იკითხოვ, ისწავლონ და სწავლის არ შერცხვეთ; იპოვონ საკუთარი თავის გამოხატვის მათთვის საუკეთესო ხერხი, არასოდეს დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, იკვლიონ საკუთარი თავი და არ შეეშინდეთ ექსპერიმენტების. პირადად მე, არასოდეს ვიცი, როგორ ლექსს დავწერ, მე არ მჯერა სტილის, მე არ ვწერ ლექსებს, რომლებიც ვიცი, მე ვწერ ლექსებს, რომლებიც ჯერ არ ვიცი. 1994 წელს დავაარსე ებრაულ-არაბული პოეზიის სკოლა „ჰელიკონი“, სადაც ჩემი საკუთარი მეთოდი და ტექნიკებით ახალგაზრდა პოეტებს ვასწავლიდი შემოქმედებით წერასა და საკუთარი ნამუშევრის რედაქტირებას. რადგან სკოლაში მოსახვედრად სტუდენტებს სტიპენდია უნდა მოე-



პოვეზინათ, კონკურსის გავლა უწევდათ და სკოლაში საუკეთესოები ხვდებოდნენ. მაშინ ისრაელში კრიზისი იყო და ქვეყანას პოეზიისთვის არ ეცალა, არ გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალები. მე ეს პოეზიის პოპულარიზაციისთვის, ან თუ გნებავთ, პოეზიის გადასარჩენად გავაკეთე. საქმე ისაა, რომ რედაქტორი პოეტს უბრალოდ ეტყვის, ეს ამოიღე, ის შეცვალე, და რატომ, გაუგებარია. შემდგარი პოეტები ახალგაზრდებს წერის საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ და ეტყვიან, აი, ასე, ჩვენსავით წერეთო. მე კი ვასწავლი როგორ გაარედაქტირონ და მიიყვანონ ტექსტი სასურველ შედეგამდე. ეს მეთოდი ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაშიც მისწავლებია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდა ადამიანები არიან. ისრაელში პოეტური სკოლის შედეგი რვა წლის შემდეგ მივიღეთ, ჩვენი მოსწავლეები მიდიოდნენ და თავის მხრივ, სხვებს ასწავლიდნენ, პატარა სოფლებში პოეზიის ცენტრებს ქმნიდნენ. ამის შედეგად, ლამის მთელ ისრაელში შეიცვალა პოეტური სტილი, პოეტური აზროვნება. ახალგაზრდებს უნდა ახსოვდეთ, რომ პოეზია არ ინერგება პოეზიისთვის, პოეზია ინერგება მკითხველისთვის. პირდაპირი დიალოგი უნდა შედგეს. პოეზია პოეზიისთვის კრიტიკოსების მიდგომაა, ეს მხოლოდ პოეზიას კი არა, მთელ ხელოვნებას ეხება. კრიტიკოსები თუ მხოლოდ მათთვის გასაგებ რაღაცას აქებენ, ისევ კრიტიკოსს უნდა მიმართო შეკითხვებით, რომ გაიგო რა და რატომ. მათ სურთ ხელოვნებაში პროცესების გაკონტროლება და მსაჯულების მანტიას ირგებენ. ასე იყო სულ ახლო წარსულში და შედეგად რა მივიღეთ? ის, რომ მწერლებმა თვითრწმენა დაკარგეს, ხოლო მკითხველებმა ინტერესი. ხელოვნება დარჩა ხალხის გარეშე. დღეს კრიტიკოსების გავლენა მცირდება, არ არის დაკანონებული და მიღებული ფორმები თუ სტილი და ეს ხელოვნებაზე მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს.

ნებაში პროცესების გაკონტროლება და მსაჯულების მანტიას ირგებენ. ასე იყო სულ ახლო წარსულში და შედეგად რა მივიღეთ? ის, რომ მწერლებმა თვითრწმენა დაკარგეს, ხოლო მკითხველებმა ინტერესი. ხელოვნება დარჩა ხალხის გარეშე. დღეს კრიტიკოსების გავლენა მცირდება, არ არის დაკანონებული და მიღებული ფორმები თუ სტილი და ეს ხელოვნებაზე მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს.

- თქვენი ახალი რომანის შესახებ მინდა გკითხოთ.

- სამეფო ჰქვია და ბიბლიურ მეფე დავითზეა ოლინდ, ეს არაა ისტორიული რომანი ჟანრის სრული დაცვით, შევეცადე, მეფე დავითის შესახებ მაქსიმალურად ნამდვილი ისტორია დამენერა. მე ამ პერიოდსა თუ ადამიანებზე შედარებით რელიგიის კუთხით ვმსჯელობ. ჩემი მიზანია, დავითის რეალური სახე დავხატო, წარმოვაჩინო ის, როგორც ნამდვილი ადამიანი, ქმარი, საყვარელი, მამა, მმართველი, დესპოტი. ის ჟარგონებით ლაპარაკობს, წიგნი დაფუძნებულია ბიბლიურ ისტორიებზე, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ არ ვუსმენთ ბიბლიას, არ გვჯერა, რომ ეს ყველაფერი ბიბლიაში წერია. მე არაფერი გამომიგონია. თუმცა ეს არაა მეცნიერული კვლევა, წიგნი მრავლადაა სატირა დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ. ეს პირველი ნაწილია, მეორე ნაწილიც იწერება, მგონი, საინტერესო წიგნი გამოვიდა.

- და საინტერესო ინტერვიუ.

ამირ ორი

თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა

მოდის

მოდის ხელი ვკრათ სინამდვილეს და ვიაღერსოთ.

მე აღარა მაქვს

უსასრულოდ კვდომის უნარი.

ეს განსხვავება შენ და ჩემ შორის

დიდად არ არის სახიფათო (ასე მგონია).

და არ გაბედო,

არც კი სცადო

ჩემი გაგება.

უფრო მეტიც:

მტრად დამსახე,

თვალი მადევნე ვერაგულად,

გაფაციცებით.

ყველა გუშაგი

დაითვალე,

ყველა ფარული გასასვლელი,

ყველა მკვლელი,

თანამზრახველი –

ერთი სიტყვით,

მოემზადე, როგორც შეგეძლოს.

მერე კი –

გზები მოიჭრება

და დარჩება გაურკვეველი,

ვინ ეწეოდა ორმაგ მსტოვრობას,

რამოტივი მკვლელობისა

და სათამაშო დაფა

ვინ დაამსხვრია.

არ აეხდება ფარდა არც იმას,

ვინ ბრძანებდა ზევიდან. მორჩა.


გადაიკითხე. ნაიკითხე სტრიქონებს შორის.

ქარგად დაშიფრე. სამხილები გაანადგურე.

შზად ხარ?

მოდის მაშინ,

მომეალერსე.



ბარბაროსები (მეორედ)

განა ამაოდ მოველოდით ბარბაროსებს,

განა ამაოდ შევიყარეთ მთავარ მოედანზე.

განა ამაოდ გამოეწყო საზიგოდ ჩვენი დიდაცობა

და გულმოდგინედ იმეორებდა შესაგებებელ სიტყვას.

განა ამაოდ დავანგრეთ საკუთარი სალოცავები

და იმათ ღმერთებს სხვები ავუგეთ;

მცნებისამებრ, ცეცხლს მივეცით ჩვენი წიგნები,

რომლებშიც მათთვის ფასეული არა იყო რა.

ასრულდა წინასწარმეტყველება: ბარბაროსები მოვიდნენ

და ხელიდან აართვეს მეფეს ქალაქის გასაღები.

მობრძანდნენ და ჩვენებურად შეიმოსნენ

და თავიანთად გაიხადეს ზნე ჩვენებური;

და ბრძანებებიც ჩვენს ენაზე რომ დაგვაყარეს,

ვეღარ გაგვეგო,

როდის მოვიდნენ ბარბაროსები.

მეტი

მაშ ასე, არც გიყურებ – ფანჯარას ვირჩევ.
და თვალი, მოჩითული ნაცრისფერ-შავად,

ამონაყარის მრუდ მონახავს მოიახლოებს,
იმისას, რისი გულიც ერთადერთია და უხილავი.

მშრალი, დახრამული, ძველთაძველი კანივით სპილოსი
ზეთის ხის ქერქი

ჩრდილში ჩაძირულ, ღრმად შედრეკილ ხვეულებში გროვდება,
ისევე იშლება მზის შეხებით გამქისებული ქედების დარად. იქ,

ანაქერცლის ბორცვებს ზევით, ჩვილი მკერდს ეკვრის –
ჟანგიან ლურსმანს.

არ ვიყურები ამის იქით და აღარც ვფიქრობ. ანდა როგორ
ვნვდებ ფიქრით ფოთლებს, ბინდ-ბუნდში რომ ივერცხლებიან,

ცას მათ მაღლა, საკუთარ მზერას,
უსასრულობას, სიცარიელეს ახლა, როდესაც

მომაკვდავი ხარ? რანაირად გადაგიფიქრო, როდესაც კედლები?
იქნებ ჩავიგდო გუნებაში ისინი, ჯერ ვინც

არ მყვარებია, – ან უბრალოდ ცოცხლები მაინც?
ვიფიქრო, რომ ესეც ჯერაც შენზე ფიქრია,

თანაც ვირწმუნო, რომ ასეა? განა შეეძლებ იმის მერეც ვიყო ძლიერი,
რაც ეს-ესაა შემამთხვიე? იმის მერეც, რაც მიიცვალე? ხვალვე


დავწერ მოკლე ეპიტაფიას ან თუნდაც ბარათს –
რამე პოეტურს, მაგალითად, „აქ განისვენებს მოცეკვავე“.

და შენს მიწისთვის მისაბარებლად თუ ეს ცოტაა, მაშინ განვაგრცობ:
„დამარწყულეთ“, ნავანერ მარმარილოს. „დამარწყულეთ,

მწყურია. დამარწყულეთ, ოღონდ უწყლოდ. დამარწყულეთ,
ოღონდ მწყობრი ლოგიკით არა. დამარწყულეთ, ოღონდ არა სახელით.

დამარწყულეთ, ოღონდ არც ღვინით. დამარწყულეთ, სხვა არაფერი. მშვენიერებას არ მიანდოთ, არ
მიანდოთ ღმერთს, არც სიყვარულს,

არც ამ და არც სხვა სიცოცხლებს. დამარწყულეთ,
მწყურია-მეთქი“.



ცდუნება

იყო ცდუნება:

ერთიმეორეს გადაკვერდით,
ჩვენი ნადილით დავჭედოდით მის ასრულებას.
ბოლომდე გვეგრძნო.
ჩვენ იქ ვიყავით უკვე, გახსოვს,
უდემამონი, ჭიპის გარეშე,
მხოლოდ პირველი კვეთილობით დანიშნულები.
ზომი-წონისგან და ხრწნისაგან თავისუფალნი,
ერთმანეთში ვხეტილობდით,
სამყაროებში დავფრინავდით სიზმარულში.
და დასაკარგი სხვა რა იყო,
გარდა თამაშის.
ნდომა ხელადვე დასრულებულ
მოქმედებას წარმოადგენდა.
და (გახსოვს?) აქაც სწორედ ასე აღმოვჩნდით:
ერთი ნდომით,
ნახვისთანავე.

და ახლა აქ ვართ, ბლანტ ჰაერში,
და ძლივს ვისრუტავთ
ყოველ შეგრძნებას, ყოველ შეხვედრას.
ჩვენი მზეები ამოდინა და კვლავ ჩადიან,
გვიძველდება სამყაროები,
მაგრამ აქვე
სულში უეცრად
სულ ახალი ნაოჭი ჩნდება,
და ეს ნამდვილად ასე არის. ნამდვილად. ბოლოს
შეიძლება სულაც ნაგავოთ,
ბოლოს ვცოცხლობთ.
წამიერად
ერთმანეთზე დაკვდომაც შეგვწევს.

EL AMOR BRUJO

1. როგორ

როგორ გადმოვცე? გასაძლებზე უფრო ახლოს ხარ,
ნაყოფო, გულში გადახლეჩილო.
ხარ მუნჯ ბაგეში შეძახების ისე ჩამოსხმა,
როგორც ზღვა არის ჩამოსხმული დედამიწაში.
მშურს საკუთარი ხელისავე, შენი შემხების,
შეხებისასაც მაინც კიდე შეხებას ვნატრობ.

ამ უმოძრაო წამის შემზარაობა:
შენ აქ ხარ, შიგნით, აქ, აქ, შიგნითვე.
აქ სულის ცეცხლი ანთია, ცეცხლი.
არ ნვავს, არ დაგავს გულს მისი ალი.

2. მთვარე

ცხოველი ჩემს ფეხებს შორის
შენს ფეხებს შორის ცხოველს შეჰყმუის.

მთვარე ჩემს კბილებს შორის შეჰყმუის
მთვარეს შენს გულში.

ცხოველი ჩემში ყნოსვით გცნობს ყოველთვის.



ამირ ორი

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიაშ

გაკვეთილები

1

დილით ადრე
მინდა ვისწავლო
ქარში დარწეული
ტოტების ენა.

2

დამიბერე, ქარო, მეც
მასწავლე, როგორ
დავარწო სიტყვები სულში.

3

გახსენი ჩემი ტოტები და
მასწავლე, როგორ უნდა ვიყო
ის ხე, რომელიც მე ვარ.

4

მინის გულიდან ყვავილების
სურნელებამდე
გადაიჭიმა ჩემი ცხოვრება.

5

ფოთლები ცაში ადიან
და ფოთლები მინას ენარცხებიან,
ზუსტად ჩემსავით.



ენა ამბობს

ენა ამბობს: ენის წინ
დგას ენა. ენაა აი, იქ ლაქად
დარჩენილი ნაკვალევი.
ენა ამბობს: ახლა ისმინეთ.
ისმენ: და ისმის ექო.
აჰა, სიჩუმე და ეცადე, დადუმდე.
აჰა, სიტყვები და ეცადე ილაპარაკო,
ენის გარეშე ენა ჭრილობაა,
საიდანაც სიტყვების დენას ვერ შეაჩერებ.
ენა ამბობს: არის, არ არის, არის,
არ არის. ენა ამბობს: მე.
ენა ამბობს: მოდი, ვილაპარაკო შენ.
მოდი, შეგეხო შენ; მოდი თქვი
შენ თქვი.

ტადართან

ტადართან /თასი გაუნვდია /და ასადი ითხოვს პურს/ აბდალა ითხოვს ფულს. / იქვე ახლოს / თილისმისა და საკმევლის ფარდულებს/ შორის მუსტაფა ითხოვს ვარსკვლავებს / ისაია ითხოვს სიყვარულს / მანსური ითხოვს სიმართლეს / ყველა გამვლელისგან / ჯალალი ითხოვს თავისუფლებას / ომარი - სიცოცხლეს. და ის? / ითხოვს არაფერს/ ჰო, ასეა, და არავინ არაფერს იმეტებს.

მისი თასი სავსეა / მზერით და ხედვით / და მზრუნველი ფიქრით / მზრუნველი სიტყვით / ჰაერით, კეცხლით, მინით, / ქვეყნებით / ელექსირებით / გადარჩენებით. ის აპირქვავებს თავის ფიალას / აცარიელებს / ისევ სავსეა.

„საკუთარი თავი, ძვირფასი“, ანერს / მერე ღვინით პირამდე ავსებს / სულმოუთქმელად სვამს / და... ისევ სავსეა. ნეტავ რა ხდება!

ერთი მოქნევით / ფიალას ამსხვრევს / ის კვლავ სავსეა, / იმ ნამსხვრევებში გამრავლებული / უფრო სავსეც კი.

ტადართან / ასადი ითხოვს ხორცს / მუსტაფა კენჭებს / ომარი კედლებს. მასთან / ტადართან / არსადაა ტადარი.

ერთი კათხა ლუდი

იდეალურ მკვლელობას მიზეზი არ აქვს, თქვა მან, დეალურ მკვლელობას იდეალური ობიექტი სჭირდება მხოლოდ, როგორც ოსვენციმში.

კრემატორიუმს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმას, რაც მერე იყო, სამუშაო დღეების შემდეგ. გაირინდა, ლუდის ქაფს დააშტერდა, მოსვა.

იდეალური მკვლელობა სიყვარულია. იდეალური მკვლელობა არაფერს ითხოვს. იდეალური უნდა იყოს ის, რისი გაცემაც ძალუძთ. ყელში გაჩხერილი მოგონება

მარადიულია. ყმუილიც, ხელები რომ ამიკანკალა, დამზრალ სხეულზე მადლივით გადმოსული შარდიც,

ჩექმის ქუსლით შეიძლება გააღვიძო მარადისობა.

დუმბილითაც,

თქვა

და ქაფს ჩააშტერდა.

პატიოსანი შრომა ათავისუფლებს*.

იდეალური მკვლელობა კი

წვეთ სისხლსაც არ ღვრის,

როგორც ბავშვის ბაგე - დააზუსტა, -

როგორც ქვიშა და ქაფი,

როგორც შენ,

როცა მისმენ,

სვამ და მისმენ.



ლელა ცუცქირიძე

ჩემი შეყვარებული ალფრედ ჰიჩკოკი

ყოველთვის, როცა კინოში მეპატიჟებოდა
ჩემი შეყვარებული ალფრედ ჰიჩკოკი,
მინდვრის ყვავილების და ვარდების ნაცვლად
მჩუქნიდა ჩიტების თაიგულს.
თავდაპირველად პანიკურად მეშინოდა ამ ჩიტების თაიგულის,
მერე უფრო ნაკლებად,
მერე უფრო ნაკლებად
და როცა ერთხელაც ალფრედოვანებულმა ნამოვიძახე:
- რა ლამაზია ეს ჩიტების თაიგული, ღმერთო!
ჩვენ, მე და ჩემი შეყვარებული ალფრედ ჰიჩკოკი ერთმანეთს დავშორდით.
მას ის ქალი შეუყვარდა, რომელსაც პანიკურად ეშინოდა ჩიტების თაიგულის,
მე - ჩემი მოშინაურებული შიში.

არა, გენერალო!

ჩემს ქვეყანას დიდი ხანია, აღარ სჭირდება პოეტები,
აბა, მათგან რა ხეირია, პოეტებისგან.
თავები ღრუბლებში აქვთ წარგული,
მომუჭულ ხელებში კი ორიოდ გროშს ისე ხმამაღლა აჩხარუნებენ,
თითქოს საშობაო ეუვნები ეწყობ.
დადიან დედისობილები
და არ რცხენიანთ, რომ სხეულიდან გულები უჩანთ.

ჩემს ქვეყანას დიდი ხანია, აღარ სჭირდება ახალგაზრდები,
აბა ან მათგან ზარალის გარდა, რა ხეირია.
უნდა ზარდო, უნდა ასწავლო, იზრუნო მათ მომავალზე.
ისინი კი მოულოდნელად გამოსხტებიან და პირდაპირ
შუშის ვიტრინაში საჩვენებლად ჩამწკრივებული ჩინოვნიკების
საკოლექციო ეგზემპლარებს მიადგებიან
სანაგვეში გადასაყრელად.

ჩემს ქვეყანას არ სჭირდება ჯარისკაცები,
ან მათგან რა ხეირია,
ოდესლაც კალის ჯარისკაცებად ჩამოასხა,
რომელ ხაზზეც უნდოდა, იმ ხაზზე უნდა გაემწკრივებინა,
ნინ გადაედგა ერთი ნაბიჯით, ათით კი უკან.
ისინი კი ყველა ნაბიჯს ნინ დგამდნენ
და ხაზიდან პირდაპირ ომში გადადიოდნენ.

ჩემს ქვეყანას არ სჭირდება მასწავლებლები, ბაზრობაზე მომუშავენი,
ხელოვანები, მუშები, მკვდრები,
სექსმუშაკები, ავადმყოფები, მათხოვრები, გლეხები, ბავშვი...
არ სჭირდება ა დ ა მ ი ა ნ ი,
მაგრამ ეს რა გასაკვირია,
ჩემს ქვეყანას ხომ არც საკუთარი თავი სჭირდება.

ის ჰგავს გადამდგარ, ალცჰაიმერით დაავადებულ მოხუც გენერალს,
რომელმაც დაივიწყა, რომ ყველა ომი წააგო,
წააგო მტრებთან, საკუთარ მოქალაქეებთან,
მაგრამ არაფრით იფიქრებს, რომ გენერალია
და დღემდე ითხოვს,
მის ბრძანებაზე გავიჭიმოთ,
მივიდოთ ხელი საფეთქელთან
და სანამ თითს გამოვკრავთ სასხლეტივით,
ბოლო ხმაზე დავიყვიროთ:
დიახ, გენერალო!



ფერადი ლექსი

როგორ მინდოდა, ფერადი ფოტო გადამეღო ჩემი მეგობრისთვის,
გამოჩენილიყო ფოტოზე მისი ხორბლისფერი კანი,
გამოჩენილიყო ფოტოზე მისი ქერისფერი თმა,
გამოჩენილიყო ფოტოზე მისი ნამზეური, ძლიერი მხრები.
მერე დამეღო ეს ფოტო ფეისბუქზე,
რომ ყველას ენახა, მართლა რა ლამაზი იყო ჩემი მეგობარი,
რა ლამაზი თვალები ჰქონდა.
შემჩნია ყველას, რომ ასეთებიც არსებობენ -
ჩუმად კარგები,
მუჭმი ჩაბლუჯული შავი ქვების
ყვავილის ბოლქვებად გადაქცევას რომ ცდილობენ შეყვარებულისთვის ანდაც ცოლისთვის,
ხარჩოების ეიფელის კოშკებად წარმოდგენას,
თითქოს იქ არიან და მათაც მალე ნაიყვანენ...
ენახა ყველას ჩემი ასეთი მეგობარი!

მაგრამ რაც არ უნდა ფერადი ფოტო გადამეღო,
ბალიან ფერადი,
როგორც ჩემი ცხოვრება,
ჩემი მეგობარი ყოველთვის მჟღავნებოდა მასში შავ-თეთრ კადრად.
შავ-თეთრი კადრი ფერად ფოტოში,
როგორც ჩახერგილი გვირაბი,
როგორც ჭის სიღრმე ან მშენებარე კორპუსის კედელი,
როგორც ოფლის სოკოები გამურულ სახეზე,
როგორც ჩემი მეგობრის ცხოვრება.
როგორც მინა, რომელსაც თურმე ჩემზე მეტად უყვარდა
ჩემი მეგობარი.
ის შეძლო, რაც მე ვერ:
ადგა, შავ-თეთრი ფოტო გადაუღო და ყველას დაანახა:
რა ფერადი იყო ჩემი მეგობარი,
რა ფერადი და რა ლამაზი.

ჰო, გვქონდა, გვქონდა
ბრონეულის ყვავილებივით საცხე დღეებიც,
კატტუსებივით საუბრებიც,
ყველა სიტყვა ეკალივით რომ მერჭობოდა,
სულს მიმწარებდა.
მაგრამ როგორც კი მართო დავრჩებოდი,
თავს გვირილად წარმოვიდგენდი,
ეკლებს ვიცლიდი სათითაოდ:
მიყვარს,
არ მიყვარს,
არ მიყვარს,
მიყვარს...
რადგან კატტუსს ეკლების გარდა, აქვს ყვავილი,
ბრონეულზე მოულოდნელი, უფრო წითელი,
ერთ დღეს ნაღმივით რომ უფეთქებდა
და რაც სხეულში სიყვარულია,
გარეთ გამოაქვს,
გარეთ გამოაქვს შენი გულისთვის.

მწვანე ავტობუსი

გაზაფხული მოდის, როგორც ბავშვებით საცხე მწვანე ავტობუსი.
გადმოვიღის მთებს, შემცივნილი ხეებით რომ დახორკლილა,
გამოტოპავს მდინარეებს, ყინული „მამალოსავით“ რომ აულოკავთ და გაუღვიათ,
ბოლოს ღრუბლის გარეცხილ, რუხფერაცხილ სათამაშო დათევსაც გადმოისვრის ფანჯრებიდან.
ვინ დახვდება გაჩერებებზე.
ალბათ ისევ ბავშვები - კვირტებივით დაბერილი ბუშტებით,
შეყვარებულები - ბლის კუნწულებივით ერთმანეთზე ჩახუტებულნი და კოცნისგან ალენილები.
შემოიღები - სიზმრები მხოლოდ გაზაფხულზე რომ უცხადდებთ და ეფოთლებთ.
დახვდებით ჩვენც, წესრიგის მოყვარული ადამიანები



და თავებს ბრაზით გადავაქნევთ,
რომ როგორ შეიძლება, სულ ეს ძველი, კალიასავით მოხტუნავე ავტობუსი მოდიოდეს,
მუდმივად ისე გამოვსებული ხმაურითა და ჟრიაშულით, რომ იქ ასვლა არც ღირს,
თანაც არანაირ განრიგს არ იცავს
(ტაბლოებზე ხომ მისი მოსვლის ზუსტი რიცხვია აღბეჭდილი, პირველი მარტი),
შეიძლება ერთი თვით ადრე მოვიდეს
ან ერთი თვით დაგვიანოს.

და სანამ ბრაზისგან სიტყვები აგვიფრინდება ლეშიჭამია ფრინველივით,
სანამ ხელს ავნევთ ამკრძალავი ნიშანივით,
რომ ჩვენში შემოსვლა არ შეიძლება
და ყველა გზას,
ჩვენგან მომავალს, პროტესტის ნიშნად გადავუკეტავთ,
ერთხელ მაინც ხომ შეიძლება გაგვეფიქროს, რომ
ბავშვებით სავსე მწვანე ავტობუსი მოდის,
ბავშვებით სავსე!

თოვლი მო...

რაც არ უნდა ამიკრძალო შემოდგომავე,
ეს ნითელი თრიმლები და ნეკერჩხლები შუქნიშნებად მინთო,
არაფერი გამოგივა.
ტყის პირებზე არყის თხელი ტანი მოჩანს,
არყის ქალის ნაცრისფერი, თხელი ტანი.
ერთი ხელის ჩამოსმა და იფურცლება,
ავსულის აქვს გამოხედვა, ალი ქალის,
თითქოს მიხმობს და ძნელია უარის თქმა,
როცა იქით ბებერ ხეებს ფულუროში გულებივით უცემთ ჩიტი
და ზამთარი წარმოდგენას იწყებს,
რაც არ უნდა, რაც არ უნდა ამიკრძალო,
ეს ნითელი თრიმლები და ნეკერჩხლები შუქნიშნებად მინთო...
და სიჩუმე!
და სიჩუმე უნდა გთხოვო,
ჩანერა:
მინისქვეშა განათება - ჩაყინული ნაფეხური
(იქ ვინც დარჩა, მათი სულით შეორთქლილი),
სიმშვიდეა.
სიმშვიდეა.
მოუსმინე ანგელოზებს -
თეთრკაბეხი და მსუქანი ბავშვებივით სოკოების ქოროს.
თოვლი მოვა სიჩუმეში,
თოვლი მო...
თოვლი...
თოვლი მოვა სიჩუმეში,
მოთოვს.

ქალაღის გული

ბავშვების ნახატები რომ აცხადდეს,
ხელ-ფეხი მავთულივით დაგვიწვრილდეს
და მთელი ქალაქის სიმაღლეზე დაგვიგრძელდეს,
ტანი ცათამჯენების სახურავებისკენ გადაგვებრციოს,
სამკუთხედ თავებზე ღრუბლის შლაპები ჩამოგვემხოს,
გაფარჩხული თითებით ერთმანეთს ვეჭიდებოდეთ,
სარეცხის თოკად გაჭიმულ ტუჩებზე
ბედნიერი ღიმილი გვიქანავდეს ფერადი ტანსაცმელივით,
რა ლამაზები ვიქნებით, ღმერთო!

მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ,
უყურონ დაშლილ გორგალზე უფრო მეტად აბურდულ ადამიანებს
და თვლებში მაინც
სათამაშო ტელესკოპის ნამსხვრევები უკიაფებდეთ.
მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ,
იყვნენ ჯადოქრები:
ჩაუდგან ადამიანებს ქალაღის გული და ააძგერონ.



ნინია სადღობელაშვილი

...
დაბერდა დედაჩემი,
ტკბილს ეტანება და
ჩვენ აღარაფერს გვითვლებს.
გაიპარება სამზარეულოში,
ჩვენთვისვე შემალულ
ოდესლაციანდელ სასუსნავებს გამოაძვრენს,
მიიყუდება ფარდასთან ან
ფარდის უკან
(რომ უფრო მეტად გაამძაფროს
მალულობის მაცდური განცდა),
ჩაყოფს თეთრ, უმწეო და
გალულ თითებს ფერადფორებიან კანფეტებში,
ამოკენკავს, ამოათავებს...
რამდენჯერმე ისეც მოხდა,
კარი იმ დროს გაავადე,
როცა სიამოვნებისგან გატანჯულ ღიმილს
შოკოლადის ღიანდაგზე
ფრთხილად ინმენდდა,
თვალი შემასწრო და ბავშვივით
აღიარა ღიმილზე ხელი
და ორი იმხელა ცრემლი გადმოუვარდა,
რამხელაც მე ყოველთვის ჩემი ბავშვობა
წარმოიმედვინა,
მოგორავდა ეს ორი ცრემლი
ჩემკენ,
მთელი ოთახი გადმოლაზა,
ბოლოს ერთმანეთს შეენება,
შეველე მაქრისფერი ცრემლის კარი,
შევედი და თვალს მოვეფარე,
რომ ხელი არ შემეშალა დედაჩემისთვის
რომელიც, ჩვენთვის ნაგროვებ
ცხოვრებასთან მიპარულიყო
და კიდეებზე შერჩენილ თავფლს
ჩუმად ლოკავდა... Top of Form



საჩუქარი ალექსანდრის

შვილს, რომელიც მელოდება, როდის გავაჩენ

დაზაფრული მიყურებ სარკეში.
ჩემი კაბა სისხლითაა დათხვრილი,
ბავშვამ ეს ჩემი სისხლი არაა,
ამ სისხლს ყვავილების სუნი აქვს
თაბერუს მახვივს და ხელს მიმლის,
უფრო ცხადად გაგარჩიო,
დავინახო თავფეხიანად.
შენ კი მიყურებ შიშნაქამი
ღილი თვალებით და
პირზე ხელს იფარებ.
ფეხებზე ბავშვები მედებიან,
ჩემ მაგივრად გინვდიან თითებს
და შენც, ჩემ მაგივრად,
თითის წვერებით მათ თითებს ეხები.
ცდილობ მოვიშორო ისინი,
ცუდი სიზმრებით გავფანტო,
პაერში ვაფართხალებ ხელებს
და რაღაც ხდება ჩვენს თავს -
ბატიბუტებით სკდებიან ბავშვები,
ერთის ფეხი სადღაც მიფრინავს,
შორის ხელი, მესამის თავს
ჩაფრენილი, ცაში კიდიო,
შეოთხის მუცელს
ფეხებივით უციმციმებს ბლუჯად დაყრილი
სისხლძარღვები,

თითქოს ვინმემ გაზაფხულის აპლიკაცია
გამოჭრა და უმისამართოდ
გაისროლა...

- არ შეხედო! - მინდა გიყვირო,
მაგრამ სარკეში რას ვაგავონებ.
შენ კი უყურებ ჩემს ცოდვილობას და
ალბათ გიყვირს,
სარკის აქეთ, ჩემს მხარეში რა უფლებით
გეპატიუები.
ან იქნებ ფიქრობ,
ჩემი უკუღმართი ხასიათის გადამკიდე,
ძალა რომ არ მეყოს და
ამ ბავშვების დახეთქილი სულების სანაცვლოდ
შენი სული არ დავანთო ღმერთის მუჭში,
ისევ შენ არ გაგიმეტო,
ოღონდაც ამ უკუნეთში
რამე ბუუტავდეს...
იქნებ ფიქრობ და ეს გაშინებს,
რადგან, სიცოცხლის უფლება
თანაბრად აქვს
ცოცხალსაც და დასაბადებელს,
რადგან ეს ის უფლებაა,
რომლის გამოც
დედამინა ყვევლია და
მისკენ ადამიანი უნდა გადმოიხაროს...
გაშალე შენი თოთო მკლავები,
შენს უკან მილიარდი გალაქტიკაა,
ჩემს უკან კი
დედები დგანან,
ვინც სისხლიანი ხელებით კაბაზე მექაჩებიან
რომ სარკეში თავიანთი შვილებიც დაინახონ,
გაშალე მკლავები და
მაგ შუშუნა მუქში შეიფარე
ჩვენი ბავშვები,
და არ გაგვნიროთ,
და გვაპატიეთ -
დედამინისკენ სიყვარულით გადმოიხარეთ...



ზღაპარი ფანჯრიდან დანახულ ხეებზე


ჩემო შვილო,
კარგად მოკალათდი მაგ სკაფანდრში,
ზღაპარი უნდა გიამბო
ფანჯრიდან დანახულ ხეებზე.
შენ საიდან უნდა იცოდე,
იყო ეგეთი ფანჯრები,
საიდანაც ხეები ჩანდა,
და იყო ხეებიც,
რომლებიც გვიგზავნიდნენ
პირველ შეტყობინებებს
ამინდის, ღრუბლების,
წელიწადის დროთა შესახებ...
შენ უკვე დიდი ხარ და
ეს ცათამბჯენი გაპატარავებს,
ამიტომ მე შემოძლია ერთდროულად
დიდების ზღაპარიც მოგიყვე და
პატარებისაც,
რა კარგია ცათამბჯენები,
რა დიდებული ჩანაფიქრია
იცხოვრო ღრუბლებზე მაღლა და
სულ ერთი იყოს, დიდი ხარ თუ
პატარა ბავშვი,
რადგან რაც უფრო მაღლა მიიწევ,
მით უფრო ალარ ხარ,
არ ჩანხარ,
სიმაღლე მაისის თოვლივით
გაქრობს,
ჰოდა მე გიამბობ ზღაპარს
ხეებზე,
რომლებიც ცათამბჯენებამდე ვერ

გაიზარდნენ.
მათ ჰქონდათ მკვრივი მკლავები,
და როდესაც ამ მკლავებს შლიდნენ,
სამყაროში რაღაც ხდებოდა,
თითო ფოთლის ზედაპირზე
თითო ტალღას იქოჩრიდა
ლურჯი ნიავე
და ჩვენს თავზე
სულ ზვირთებად გადადიოდა,
ტალღის ბოლოს გაისმოდა
ტალღის თავში მომღერალი
რომელიმე ჭადარი, ალვა,
ჩიტებსაც ჰქონდათ ნაურთმევლად
თავშესაფარი,
ძალღებსაც - ჩრდილი
განა მარტო უკუღმართი წესებისათვის!..
ბევრი იყვნენ, მაგრამ ყველას მაინც
თავისი სახელი ერქვა,
გაარჩევდი ფერით, ზნით და
კიდევ იმით -
რომლის მუჭში უფრო
უზავდ მოთივდა ხოლმე,
რომელთან უფრო დიდხანს
დარჩებოდა თოვლის სტუმარი,
რომ მათი მსუყე ნასუფრალით
გემრიელად გული გვეჯერა!..
შენ საიდან უნდა იცოდე -
ამ ხეების ძირში პოეტებიც ცხოვრობდნენ ადრე,
იყო ეგეთი ძველი კასტა
სვედიანი დინოზავრების,
და მათ მთვრალ და აბდაუბდა
ნაფუხურებს
შინსაკენ სულ ხეები მიაცილებდნენ...
შინდახან ვინმე მხარზე
თოვს თუ გადმოიღებდა
რომ თავისი აჩრდილისთვის
დაუხალა და დაესვენა,
ეს ხეები შეუშვერდნენ ხოლმე
გულ-მუცელს,
რადგან ხეებმა აჩრდილების ფასიც იცოდნენ!..
ციდან ვილაც დასცქეროდათ
იშვლის თვალით და
თუთრ სხივებს სიზმრებივით
ტოტზე ჰკიდებდა...
ვილაცაზე გამახსენდა
და კიდევ ცაზე -
შენ არ იფიქრო, რომ
რაიმე გაკლია, კარგავ,
მშვიდად ისუნთქე მაგ სკაფანდრში და
ცათამბჯენთან ერთად აინიე
უფრო ზევითკენ,
რადგან ჩვენი ერთადერთი მოძრაობა
მაინც ასეა,
რადგან, რაც უკვე ზევით დაიძრა,
ველარაფერი გააჩერებს,
შენ შეგიძლია,
მაგ უთვალავი სართულიდან
გადმოიხედო
და დატკბე იმით, რომ
არც დიდი ხარ და არც პატარა,
რომ არც კი ჩანხარ და
ცოტაც და,
ცაში ღმერთებს მიუკაკუნებ!
დედა გიამბობს ზღაპრებს
ხეებზე,
სხვა ზღაპრებსაც გიამბობს დედა,
რადგან ესეც დედის წესია -
ზღაპრებით მაინც გააადვილოს
როცა რაღაც რთულადაა,
რთულად და ძნელად...



სანდრო წერეთელი

ხორცსაკები



კაცისთვის ჯერ კიდევ არ გაველო ელდას, რომელიც მალაზიაში შემოსვლისას ეცა - შედგა თუ არა ფეხი, სულ ახლოს ჩაუფრინა ტელეფონმა და ერთ-ერთ მაცივარს მიენარცხა. შემდეგ ლანამ დაინივლა და კაცი მოემზადა სხვა ნივთების ასაცილებლად, მაგრამ ქალმა თავი ხელეშში ჩარგო და დახლის უკან ჩაიკეცა.

კაცისთვის ეს არ იყო ადვილი. არ იყო მიჩვეული ასეთ სიტუაციებთან გამკლავებას, რადგან სანამ მისი მეუღლე ცოცხალი იყო, ამის გაკეთება თვითონ არც უნეცდა. შემცბარი იდგა მალაზიის დახლოდან ჩაკეცილ ლანასთან და ეუბნებოდა - აბა, აბა, სუ, კარგი - მაგრამ ამ ტლანქ გამხნევენას არანაირი შედეგი არ მოჰქონდა. ქალისთვის მხარზეც სცადა ხელის მოთათუნება, მაგრამ ლანამ უხეშად მოიშორა და ქვითინს მოუმატა. არაუშავს, გაუვლის, გაიფიქრა კაცმა. მალაზიის კარი ჩაკეტა, ფარდებიც ჩამოაფარა, რათა შეგვიანებული კლიენტებისათვის ეჭვი აღარ დაეტოვებინა, რომ ნამდვილად დაიკეტენ. დახლიდან, სადაც ფეხის წვერებზე შემდგარი მიიპარა, ანგარიშების რვეული აიღო და გადაშალა, მაგრამ გაუჭირდა ციფრებისთვის თვალის მიდევნება. მთელი ყურადღება აქვითონებულ ლანასკენ ჰქონდა გადატანილი, რომელიც ვეღარ წყნარდებოდა.

ამგვარი გამოსტომები უცხო არ იყო კაცისთვის, მაგრამ ლანას ბოლო ისტერიკიდან იმდენი დრო გასულიყო, რომ ამასობაში კაცი გადაჩვეულიყო და ახლა უმწეოდ ელოდა, როდის დასრულდებოდა კატასტროფა თავისით, რომლის მიზეზსაც უკითხავად ხვდებოდა. პირველივე წამებში, ტელეფონის გაელვებასთან ერთად გაუელვა აზ-

რმა, რომ ამ ამბავს სოსოსთან უნდა ჰქონოდა კავშირი, ლანას ერთადერთ ახლო მეგობართან, რომელთანაც ქალი თითქმის ყოველდღე ლაპარაკობდა და თუ ეს ვარაუდი მართალი იყო, მისი ყველაზე ცუდი წინათგრძნობა მართლდებოდა. ამიტომ ტელეფონზე იმდენად აღარ უდარდია, როგორც სხვა დროს იდარდებდა, იატაკზე ნაწილ-ნაწილ გაშლილი რომ ენახა. მისი საზრუნავი ახლა უკვე ის იყო, რომ მომავალში, მერვე მეფის სარკეში არეკლილი ვით უსასრულოდ გადაჭიმულს ხედავდა ისტერიკებისა და დამსხვრეული ტელეფონების სერიას და რამე უნდა ეღონა.

როგორც იქნა ქალმა ქვითინს მოუკლო და ცოტა ხნის შემდეგ დახლს უკან სიჩუმე ჩამოწვა. კაცი დახლს მიუახლოვდა, რვეული ფრთხილად დაღო და დახლს მიღმა გადაიხედა, როგორც უფსკრულში. ლანა იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და თვალი თამბაქოს განათებული განყოფილებისთვის გაემტერებინა. კაცმა ისევ არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ რადგან იცოდა, რომ ახლავე უნდა დაერღვია სიჩუმე, რომელიც წამი-წამზე ძლიერდებოდა, ჩაახველა, თუმცა პასუხი მაშინვე არ მოუღია.

- ნამდვილი ღორია - თქვა ლანამ მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს თავის თავს უთხრა.

კაცმა დააქსუტუნა და ცხვირზე ხელი ჩამოისვა.

- ვინ არის ღორი? - იკითხა მან.

- ვინ და ვინც! ღორი.

- რა მოხდა? მოხდა რამე?

- ნამდვილად მოხდა, ნამდვილად მოხდა რაღაცა, თორემ ასე სწრაფად ადამიანის შეცვლა? - თქვა ლანამ.

რავე, ამასობაში მეც მოვრჩები და მოვალ. არაფერი გაქვს სანერვიულო.

ლანა ცოტა ხანი იჯდა უხმოდ. შემდეგ დანებდა და წამოდგა.

- კარგი. ვეცდები, - თქვა მან, - არ გადახედავ?

- კაცს რვეულზე მიაწინა.

- ხვალ იყოს - მცირე პაუზის შემდეგ თქვა კაცმა.

ლანამ წარბები ასწია.

- შენ მართლა არ ხუმრობ.

მაღაზია დაკეტეს. თვალები გამოსვლისთანავე გამოვესოთ ქუჩის მტვრით. ლანამ კიდევ ერთხელ შეხედა კაცს გამოტყდელი თვალით, მაგრამ კაცმა სიტყვის უთქმელად მიაჩერა მაღაზიის გასაღები და ანიშნა წადიო. შემდეგ გატრიალდა, ქუჩა გააჭრა და გაჩერებისკენ გაემართა. ლანა უყურებდა, როგორ ებღაუჭებოდა ქარი შარვლის ტოტებზე, საიდანაც წამიერად გამოჩნდებოდა ხოლმე მისი წერილი, დამქცარი წვევები.

* * *

ხმა თავიდან ოდნავ შესამჩნევია, ქარის მოტანილი სურნელივით ძნელად მოსახელთებელი. შემდეგ ნელ-ნელა ძალას იკრებს, სულ უფრო ახლოვდება საომარი დაფაფხივით. მას ველარ აკავებს სარდაფის აბლაბუდით დაფარული ჭერი, იგი იპარება ძველი პარკეტის ღრიჭობში და იქიდან ჟონავს ყველა ოთახში მათ დასატბორად და გასაგებებად, რათა ბოლოს აღარაფერი დარჩეს მექანიზმის მონოტონური ღრჭიალისა და ხორცის გატარების ხმის გარდა.

სოსო მოსვენებას კარგავს, ოთახიდან ოთახში ინაცვლებს, რათა ხმას დაემალოს, მაგრამ უშედეგოდ. ხორცსაკეპს არსად ეჩქარება, თუმცა მუშაობს გაუჩერებლად. სოსო რთავს თავის ახალ ტელევიზორს და ხმის ასანევ ღილაკს ბოლომდე აწვებს, რომ ხმა გადაფაროს, დაამარცხოვს იგი. ერთხანს ეჩვენება, თითქოს მოახერხა კიდევ ამის გაკეთება, მაგრამ მალევე ხვდება, რომ ეს მხოლოდ წამიერი გამარჯვება იყო და რომ მას ბოლომდე ისევე ვერ გადაფარავს, როგორც ხმას საუკუნეების სიღრმიდან.

შემდეგ ხდება სასწაული, წამიერი სიჩუმე ისადგურებს, რადგან მანქანა ჩერდება და სოსოს ეჩვენება, რომ გადარჩა. მაგრამ ეს მანამდე, სანამ სარდაფის ბნელ და ნესტიან ნიადაგს, ხორცის სველი გროვიდან წამოიბარება არტალა - არტალა-ადამიანი. მას მხოლოდ თვალები აქვს ნამდვილი ადამიანის, ჩასისხლიანებული, დაღლილი თვალები, რომლებიც ოდნავ აცდენილი დევს გვერდიგვერდ, არტალა-ადამიანის არტალა თავზე.

სოსო თავზარდაცემული უყურებს, როგორ ამოდის არტალა-ადამიანი სარდაფის კიბეებზე და სველ კვალს ტოვებს. შემდეგ სოსო და არტალა-ადამიანი მისაღებ ოთახში სხედან, წინ კი ყავით სავსე ფინჯნები უდგათ. არტალა-ადამიანი ზანტად მოავლებს თვალს ოთახს და ბოლოს მისი დაღლილი მზერა ყავის ფინჯანზე ჩერდება, რომელსაც დასწვდება კიდევ, მაგრამ სანამ არტალა-ბაგეებამდე

მიიტანდეს, ფინჯანი ხელიდან უსხლტება, რადგან მისი არტალა-ხელი საკმარისად მკვერივი არ არის და ყავა არტალა-მუხლებზე და სოსოს ტყავის სავარძელზე ისხმება.

პირველი ასეთი სიზმრის შემდეგ სოსოს გავლვიძა. ერთხანს ინვა თვალგახელილი, შემდეგ გვერდი იცვალა და დაიძინა. მეორე ღამეს სიზმარი გახმოვრდა. სოსოს ისევ გავლვიძა, მაგრამ ამჯერად დაძინება გაუჭირდა. დილით ადგა და სანამ სამსახურში წავიდოდა, სარდაფში ჩაიხედა. ბლაგვი და მორჩილი მანქანა იქ, სარდაფის სიღრმეში იდგა და შეღებული კარიდან შემოსულ დილის სხივებს არ ირეკლავდა. სოსომ კარი დაკეტა და სამსახურში დამშვიდებული წავიდა, რადგან ხორცსაკეპში არაფერი იყო ამოუცნობი ან საშიში.


მაგრამ სიზმრები აღარ შეწყვეტილა, პირიქით, ისინი სოსოს ღამეების ნაწილი გახდნენ. სოსომ არ იცოდა როგორ დაეცვა თავი სიზმრებისგან. სცადა დამამშვიდებლები, მსუბუქი ძილის წამლები - ძლიერმოქმედები დანიშნულების გარეშე არ მიჰყიდეს. პირველი სიზმრიდან ერთი კვირის თავზე, სამსახურიდან დაბრუნებული სავარძელში იჯდა. მისმა გონებამ წამით შეწყვიტა ხორცსაკეპზე და მის წამიერზე ფიქრი და ყოფით წერილმანებს დაუბრუნდა. შემდეგ ლანა გაასხენდა და მასთან ლაპარაკის სურვილმა წამოუარა. უკვე სამი დღე გასულიყო მათი ბოლო საუბრიდან და თან ისიც დაძაბული მათიუიდათ. უნდა წამომდგარიყო დასარეკად, რომ ტელეფონმა თვითონ დარეკა. ლანა იქნებო, გაიფიქრა გახარებულმა. წამოდგა, ყურმილის ასაღებად გაემართა, ერთი ნაბიჯი გადადგა და გაქვავდა. ზარებს შორის წამიერი პაუზის დროს დაიჭირა ხმა, რომელიც ძილში არ ასვენებდა ხოლმე, ოღონდ ისეთივე სუსტი, როგორიც თავისი სიზმრის დასაწყისში.

ტელეფონთან მიიჭრა, ჩამრთველიდან გამოვლიჯა და მიაყურა, მაგრამ იქიდან ჩქამიც არ ისმოდა, მხოლოდ საათი წიკნიკებდა კედელზე.

ასე დააღწია ხორცსაკეპმა თავი სოსოს სიზმრებს და მის ცხადში შემოიჭრა.

მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, რადგან სიზმრების ცხადი გამოძახილი ძალას იკრებდა. სოსო სამსახურს გულს ველარ უდებდა, ყავის კლუბშიც კი შეწყვიტა სიარული, საიდანაც ყოველთვის ენერგიით სავსე ბრუნდებოდა. თანამშრომლები ეჭვითა და თანავარძლობით ათვალთვრდნენ, თუმცა კითხვას, თუ რა სჭირდა, ვერ უზედვდნენ. ლანასთან ყოველდღიური საუბრები, რომელსაც მუდამ ხალისით ელოდებოდა, დამღლეი მოვლეობა გახდა. ახლა მისი ხმა აღიზიანებდა, მისი ლაპარაკის მანერა, რომელიც ადრე ენერგიული და სიცოცხლეთ სავსე ეგონა - ნერვიულად და ისტერიულად ეჩვენებოდა.

გარდა ამისა, უკვე აღარც იცოდა რაზე უნდა ელაპარაკა ლანასთან. ერთადერთი თემა, რაც თავში მოსდიოდა ხორცსაკეპი იყო და გაიშვიათებული საუბრების დროსაც, როცა თავისი სიტყვატუნებით ქალი ჭკუიდან გადაჰყავდა, მისი ფიქრი მხოლოდ ხორცსაკეპს უტრიალებდა. უნდოდა, ლანას-



თვის ეთხოვა რომ ხორცსაკეპი მოეშორებინათ მისთვის, მაგრამ არ იცოდა, მიზეზად რა დაესახელებინა.

სულ პირველად, როდესაც ლანამ სოსოსთან ხორცსაკეპი ახსენა, ლანას დედა ახალი გარდაცვლილი იყო (სოსოს მასთან არც ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ მან დიდსულოვნად დაივინა ძველი შუღლი და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის პატივისცემითა და მოწინებებით იხსენიებდა ქალს). ლანამ მას უთხრა, რომ მამამისს დაებადა იდეა, გაეხსნა საკატლეტი, სადაც გაიყიდებოდა კატლეტი სხვადასხვანაირ პურში, კატლეტი სხვადასხვანაირი სანებლებით, კატლეტი პიურესთან ერთად, კატლეტი წინაპურასთან, მოკლედ, კატლეტი ყველა ვარიაციას. ლანას მამას ბიზნესგეგმაც კი შეუდგენია და საკეტეკურად განწყობილი ლანაც დაარწმუნა, რომ ამ წამოწყებას მომავალი წამდევდა ჰქონდა. მათი მალაზია ცუდად არ მუშაობდა, არ იყო ურიგო იდეა, ახალ ბიზნესზეც ეფიქრათ და რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს ახალი ბიზნესი – კატლეტი?

მამინ სოსოს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. ეს იდეა სისულელედ მოეჩვენა, ცალ ყურში შეუშვა, მეორედან გამოღემა და მალე საბოლოოდ დადავინდებოდა, მაგრამ არ დასცალდა. რამდენიმე დღის შემდეგ აღელვებულმა ლანამ დაურეკა, რომ თურმე დღის ბოლოს, ნავაჭრის შესაჯამებლად, მამამისს მალაზიაში მისვლა მთელი თხუთმეტი წუთით დაჰკვირვებდა, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა, და ის იყო, პოლიციაში უნდა დაერეკა მის მოსაძებნად, რომ ამ დროს კაცი ბარბაცით შესულა მალაზიაში, ამღვრეული თვალები ლანასთვის მიუპყრია, გაფშვიკილი საჩვენებელი თითი კი ჭერისკენ აუშვერია და საზეიმოდ წარმოუთქვამს:

- კატლეტი!

როდესაც ლანამ ჰკითხა, რა კატლეტი და ამაზე არეულ-დარეული პასუხი მიიღო, ეგონა, მამამისი შეიშალა, მაგრამ ლანა რისი ლანა იყო, ასე ადვილად შეშვებოდა ამ ამბავს. დაჟინებით დასმულმა მისმა კითხვებმა კაცი გატყნა და აღიარებინა, რომ საკატლეტის გახსნის იდეა გარდაცვლილმა მეუღლემ სიცოცხლეში გადაღებული ბოლო ფოტოდან უკარნახა.

- რა გითხრა? - ჰკითხა ლანამ, რაზეც მამამისმა მიუგო, რომ დედამისს მისთვის ერთადერთი სიტყვა უთქვამს - „კატლეტი“.

ამ ამბავზე ლანას პროტესტის მიუხედავად, სო-სომ კარგად იცინა და ისიც მოახერხა, ქალი დაერწმუნებინა, რომ არაფერი საგანგაშო კაცის მდგომარეობაში არ იყო. მითუმეტეს, თუ გაითვალისწინებდნენ საყვარელი მეუღლის დაკარგვით მიღებული ტკივილს და ფსიქოლოგიურ ტრავმას. ყოველ შემთხვევაში, ამ წამოწყების ჩაშლა არ ღირს, (რასაც ლანა წამდვილად აპირებდა - მან მამამისს ხორცსაკეპის, კატლეტის და ზოგადად, ხორცპროდუქტების ხსენებაც კი აუკრძალა), რადგან მის სიგიჟეში, რომელიც სინამდვილეში სიგიჟე კი არა, მცირე ფსიქიკური გადახრაა, არც სხვისთვის და არც

საკუთარი თავისათვის არაფერი მავნებელი არ არისო, ეუბნებოდა იგი ქალს; და თუ ეს სიგიჟე კაცს ახალი საქმის წამოწყებას უკარნახებს, მაშინ ის მარგებელიც კი ყოფილაო. იმის დასამტკიცებლად, რომ თავადაც სჯეროდა იმის, რასაც ამბობდა, მან ლანას დახმარება შესთავაზა: რადგან იცოდა, რომ მამა-შეილს სახლში ხორცსაკეპის დასადგმელი ადგილი არ ჰქონდათ, უთხრა, ჩემთან დავედინო ხანიც საჭირო იქნება, უზარმაზარი სარდაფი მაქვს და თითქმის ცარიელიაო.

- მე გადავხედე მამაშენის ბიზნეს გეგმას, - უთხრა ლანას, - და დამიჯერე, მასში სიგიჟის ნატამალი ვერ ვნახე, ყველაფერი ისე ზუსტად გამოუთვლია. მისი სიგიჟე მხოლოდ შთაგონების წყაროში გამოიხატა და იქვე მოკვდა, როგორც ყოველი გრანდიოზული იდეის შემთხვევაში ხდება ხოლმე.

ახლა კი სოსოს დაუდგა დრო, როცა თავისი მამინდელი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი უნდა შეეტანა. ნეტა თავად მართლა თუ სჯეროდა იმისი, რასაც მამინ ლანას ეუბნებოდა? ახსენდებოდა, რომ მიუხედავად თავისი დასაბუთებული მსჯელობებისა, მის მიერ ლანას მამის ყოველ ხსენებას მაინც იწონის და შემწყნარებლობის მსუბუქი ტონი დაჰკრავდა. სოსო მხოლოდ ახლა ცდილობდა ხორცსაკეპის ისტორიაში სიმართლისა და კანონზომიერების ნიშნების მოძებნას და შესაბამისად, საკუთარი სიზმრების ახსნას. მაგრამ უკვე გვიანი იყო. მან იცოდა რომ ყველა, ვისაც მსგავსი ხილვები არ აწუხებდა, მას გიჟად ჩათვლიდა. როცა უკვე მიხვდა, რომ აღარ შეეძლო ხორცსაკეპთან თანაცხოვრება, და თან სხვა არჩევანიც არ ჰქონდა, ლანას შეაპარა, ხორცსაკეპი წაიღეთო. არაფრით არ ელოდა, ლანასგან თუ ასეთი წინააღმდეგობა შეხვდებოდა. ქალმა გადაკრული თხოვან სხვა უფრო ძირეული ცვლილებებისთვის გამოგონილ მიზეზად მიიღო და ამან მართლა გააჩინა ბზარი მათ ურთიერთობაში, მაგრამ არც სოსო აპირებდა დანებებას და უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა ხორცსაკეპის გადატანას, თუმცა მიზეზს არ ასახელებდა.

მათი ყოველდღიური სატელეფონო საუბრები, რომელიც ადრე გულთბილი მეგობრების სასიამოვნო ბაასი იყო, ახლა მოსისხლე მტრების რიტუალს დაემსგავსა, რომელიც ღრიალითა და ტელეფონის დახეთქებით მთავრდებოდა ხოლმე.

ბოლო ასეთი რიტუალის შემდეგ სულ ერთი საათი თუ იქნებოდა გასული, რომ ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა. სოსო არავის ელოდა, ცოტა ხანს იფიქრა, ვინ შეიძლება სტუმრებოდა და გადაწყვიტა, რომ ლანას მეტი არავინ იქნებოდა. სავარაუდოდან წელი ათორია და კარები რომ გაღო, ხელში ლანას მამა შერჩა, სხრებანურული, დაძაბული გამოძევებული. სოსომ წარბები ახსნა, კეფაზე შერჩეული შენატრისფრებული თმები შეისწორა და სტუმარი შემოიპატიჟა. გაუხარდა კიდეც კაცის დანახვა, უცებ იმედი ჩაესახა, რომ მის დაყოლიებას მაინც მოახერხებდა. რატომ აქამდე არ უფიქრია პირდაპირ ლანას მამისთვის ეთხოვა თავისი სათხოვარი? ესეც თავის უჩვეულო მდგომარეო-

ბას დააბრალა და სტუმარი შინ შეიპატიჟა. უხმოდ შევიდნენ მისალებში, უხმოდ ჩაეშენენ სავარძლებში და სოსო მაშინვე ისევ წამოინია:

- ყავას ხომ დალევთ?
- კი. თუ არ შენუხდებით - თქვა ლანას მამამ.

* * *

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ პირისპირ ისხდნენ და ამჯერად საუბრის გადადების საბაბი აღარ ჰქონდათ. კაცი შემცინეული იყო. მისი ფეხსაცმელებიდან ხალიჩაზე წვიმის შერჩენილი წვეთები ჟონავდა. ყავას დაენაფა, ხარბად მოსვა პირველი ყლოში, სოსოს კიდევ ერთხელ გადაუხადა მაღლობა და ამ დროს სინდისის ქენჯნა იგრძნო. გულში დაიფიცა, რომ საკუთარი ქალიშვილის ღირსებას ფინჯან ყავაზე არ გაყიდდა.

- ალბათ მიხვდით, რაზე სალაპარაკოდაც მოვედი - თქვა მან.

- კი, რა თქმა უნდა ვხვდები, - თქვა სოსომ, - საერთოდაც, მე თვითონ ვაპირებდი თქვენთან ლაპარაკს.

- მართლა? ძალიან კარგი, - გაუხარდა კაცს.

- ლანა აუცილებლად მოგიყვებოდათ და არ ვიცო, რა კუთხით დაგანახათ სიტუაცია. მესმის, ძალიან უცნაურია ასეთი საქციელი ჩემი მხრიდან, მაგრამ დამიჯერეთ, ეს რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იყოს ჩემთვის, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი.

კაცი მისჩერებოდა. იგი კიდევ რაღაცას ელოდა, ვერ წარმოედგინა, რომ ასე მოკლე იქნებოდა სოსოს გამოსვლა.

თითქოს სოსომაც იგრძნო ეს და დაამატა:

- იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინიციატორი მე ვიყავი, ეს უნდა დამთავრდეს, ასე გაგრძელება აღარ შემიძლია.

კაცი შეუშუშუნა, ფინჯანი აიღო, შემდეგ ისევ დადგა, ისე რომ არ მოუსვამს.

- კარგი, გასაგებია - ისევ დანიყო მან - ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ხასიათები გვეცვლება. სწორად გამიგეთ სოსო, მე თქვენზე ყოველთვი კარგი აზრის ვიყავი. მაგრამ ახლა მეჩვენება, რომ შეიძლებოდა ამ საქმის უკეთესი ფორმით მოგვარება და არა ასე პირდაპირ, უხეშად.

- უხეშობა სად დანიხებთ? - გაუკვირდა სოსოს.

- უხეშობა ირრბიც შეიძლება იყოს. მე იმის თქმა მინდა, რომ... კიდევ ერთხელ, სწორად გამიგეთ, მე თქვენი მიზეზები არ ვიცი და ვერ ვხვდები, რატომ არ შეგიძლიათ მითხრათ. ასაკით მამად გეკუთვნიან და არა მგონია რამე ისეთი დამისახელოთ, რაც ცხოვრებაში არ შემხვედრია. თუ მენდობით, დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს გაუგებთ. რა მიზეზიც არ უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, მეც და ლანასაც გვაქვს იმის უფლება, რომ ვიცოდეთ. თქვენი ურთიერთობა ნამდვილად სცდებოდა ჩვეულებრივი მეგობრობის ფარგლებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვევლინა და ამის გამო...

- უკაცრავად, მაგით რისი თქმა გინდათ? - გააწყვეტინა სოსომ. - მის ხმაში გალიზიანება იგრძნობოდა. - საერთოდ რა შუაშია ეგ ახლა? - და

შემდეგ კიდევ უფრო გალიზიანებული დაამატა:

- სხვათა შორის, ჩემი და ლანას ურთიერთობა ორი ზრდასრული ადამიანის ურთიერთობაა და როგორმე ჩვენ თვითონ მივხვდავით მას. გარდა ამისა, მე არანაირი საბაბი არ მიმიცია ლანასთვის, რომ ეფექტა, თითქოს მეგობრებზე მეტი ვიყავით.

- როგორ თუ რა შუაშია? ზრდასრული ადამიანის შესაფერისად რომ არ იქცევით, იმიტომ მოინდომეთ თქვენთან დალაპარაკება; აქამდე ნამდვილად ტოვებდით ზრდასრული ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ახლა არ ვიცი, - კაცი აღელდა, ცდილობდა თავი მოეთოკა, მაგრამ ხელებისთვის ვერ მოეხერხებინა ვერაფერი, - რადგან არაფრის ახსნა არ გინდათ. და ეგ ჩემთვის იმის ნიშანია...

- ადამიანები ვართ და ხასიათი გვეცვლება, როგორც თქვენ თვითონ თქვით, და არ ვარ ვალდებული, ყოველი ჩემი გადაწყვეტილება შეგითანხმობთ.

- ვალდებული არ ხართ, როდესაც თქვენი გადაწყვეტილება ჩემს ქალიშვილს არ ენება და შესაბამისად ჩემს პირად ღირსებას.

- სადაა აქ თქვენი პირადი ღირსება? - იყვირა სოსომ, - თქვენს პირად ღირსებას არავინ ენება!

- ეხებით! დიახ ეხებით! ჩემს ქალიშვილს ვინც აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე, - ხმას აუწია კაცმა.

- ეს ჩემი სახლია! ჩემი სარდაფი! - დაიღრიალა სოსომ - რასაც მინდა დავდგამ და რასაც მინდა აღარ დავდგამ. არ ვიცი რანაირად შეურაცხყოფი ეს თქვენი ქალიშვილის ღირსებას, მაგრამ აღარ მინდა თქვენი, თქვენი... მანქანა იდგეს ჩემთან.

სიჩუმე ჩამოვარდა. სავარძლებიდან გადახრილი სოსო და ლანას მამა ერთმანეთს მისჩერებოდნენ - სოსო თავისი გაცეცხლებით, კაცი - ახალი აღმოჩენით შეცბუნებული.

- ხორცსაკეპი? ხორცსაკეპზე ამბობ? - თქვა ბოლოს კაცმა.

- ხო, აბა რაზე.

კაცს რაღაცის თქმა უნდოდა. ახლა უკვე იცოდა - შეეძლო ამ ამბის თავი და ბოლო გაეგო. ის იყო ახლიდან უნდა წამოეწყო საუბარი, რომ კარზე ნერვული კაკუნი გაისმა. კაცს აზრი დაეხნა, კიდევ უფრო აღელდა.

- ლანა იქნება - თქვა მან.

ზარი და კაკუნი ერთმანეთს ენაცვლებოდა, სანამ სოსომ კარი არ გააღო. ქალს სახე არეული ჰქონდა, სველი პალტო შესხსნილი.

- ლანა, - თქვა სოსომ, - შემოდი, შემოდი, მამაშენიც აქ არის.

ქალი ადგილიდან არ დაძრულა.

- ლანა, შემოდი!

- შენ მე დებილი გგონივარ? გგონია ეგრე ვილადა გამოძვრები?

- უნდა დამშვიდდე, - თქვა სოსომ, - მე კი არაფერი მაქვს გამოსაძვრომი.

- აჰა! - თქვა ლანამ და თითქოს ამას ელოდაო, სოსოს გვერდი აუარა და მისალებსკენ გაეშურა.

- ესე იგი არაფერი! ესე იგი არაფერი ყოფილა, არაფერი მომხდარა, არაფერი...

- ლანა! - ოთახიდან ლანას მამაც გამოვიდა და



გზა გადაუღობა - ხომ მითხარი დაგელოდებო?

- შემეშვი! ვიცი რისი გამკეთებელიც ხარ, ორი-ვე რისი გამკეთებელიც ხარ.

- მოიცა, ჩვენ ვილაპარაკეთ... ვლაპარაკობდი... თითქმის გავარკვიეთ და ისე არაა საქმე როგორც შენ გგონია... ხომ შემპირდი დაგელოდებო.

- შემეშვი-მეთქი! მე თვითონ გავარკვევ... - ლანამ სოსოსკენ თითი გაიშვირა, - თვითონ მითხრას სინამდვილეში რა ხდება.

- კარგი, მოდი დავმშვიდდეთ. ვილაპარაკოთ როგორც ცივილიზებულ ხალხს შეეფერება, - თქვა სოსომ და ოთახისკენ წავიდა, ლანა და კაცი უხეშად მოიშორა გზიდან, არც უცდია ვინრო დერეფანში მათთვის გვერდი აექცია.

ლანაც მიჰყვა შეკრული კრიჭით. კაცი შეეყოყმანდა. ლანას მდგომარეობა ალღევდა. ხშირად უნახავს ასეთ დღეში და იცოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას. მაგრამ კაცის გავლენა ლანაზე ყოველთვის სუსტი იყო, მისი სიახლოვე ქალს კიდევ უფრო გააღიზიანებდა. თვალი გააყოლა სოსოს ფართო ზურგს. ნესით, შეძლებდა ლანასთან გამკლავებას.

- მე ხელს არ შეგიშლით, - თქვა მან, - აქვე ვიქნები.

სოსომ გამოხედა, სანამ მძიმე კარს დახურავდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

* * *

ერთხანს იდგა, ელოდა, როდის დაჭიმავდა დერეფნის ნესტიან ჰაერს ანეული ხმის ვიბრაცია,

მაგრამ მისი შიში არ მართლდებოდა. ან კარი იყო მეტისმეტად სქელი, ან დღეს მშვიდობით ეწერა დასრულება. ხელმარცხნივ კიდევ ერთი კარი იყო და იქ შევიდა. თითქმის ცარიელი, მტვრიანი ოთახი დახვდა, მხოლოდ ერთი მორყეული სკამი იდგა ფანჯარასთან ახლოს. ლანას ნათქვამი გაახსენდა, სოსოს სახლის დიდი ნაწილი გამოუყენებელი აქვსო. დააცემინა და ხელი ჩვეული მოძრაობით ცხვირზე მოისვა. შარვლის ის ჯიბე მოისინჯა, რომელშიც ერთჯერადი ცხვირსახოცების შეკვრა ეგულეობდა, მაგრამ ვერ ნახა. კვლავ დერეფანში გამოვიდა, საკიდზე თავისი ხაკისფერი ქურთუკი მოძებნა და ჩხრეკას შეუდგა, თან სასტუმრო ოთახისკენ ეჭირა ყური და ისე გაერთო, რომ ის ჯიბეც მოისინჯა, რომელშიც ცხვირსახოცს არასოდეს ჩადებდა. შეცბა, მაგრამ გვიანი იყო, ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩაყოფილი ხელი უკვე გრძნობდა სურათის გახეხილ ზედაპირს. ფეხის წვერებიდან სიცივე ზემოთ ამოუყვავა, თუმცა სურათისთვის ხელი არ გაუშვია, ცოტა ხანი სინჯავდა თითის წვერებით, შემდეგ სურათი მონუხსულივით ამოაცურა და დააცქერდა.

ფოტო ქოზულეთშია გადაღებული. ზღვა მათ უკან არის, სულ რამდენიმე ნაბიჯში, მაგრამ უძლურია და მომაცვდავივით დუშმორეული. თითქოს ოჯახს, რომელიც უშედეგოდ ცდილობს კამერაზე კონცენტრირებას, ზღვისგან გამჭვირვალე ფარდა ჰყოფდეს. მარცხნივ პირსახოცზე ნამონოლილი კაცი ჩანს, რომელიც ქვებს წვეტიანი იდაყვებით ეყრდნობა. როგორც ჩანს საგანგებოდ სურათის გადასაღებად ნამონეულა, მაგრამ მისი მზერა ფო-

ტოგრაფის ზურგს უკან იკარგება. მარჯვნივ ლანა ზის, კადრში შემთხვევით მოხვედრილი თანადამსვენებელივით უნდოდ იყურება კამერისკენ და ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. მათ შუაში კი კაცის ან-გარდაცლილი მეუღლე დგას, ნელში გამართული. სურათში მყოფთაგან მხოლოდ ის არის მთელი ტანით კამერისკენ მობრუნებული. გადაღების მომენტში ქარი მის ფართოფარფლიან ქუდს შეაკეცებს და ამ დამთხვევის წყალობით ქალის სახე ნაწილობრივ ჩრდილშია მოქცული, ნაწილობრივ კი განათებული. განათების ამ თამაშის წყალობით, შეიძლება გვეგონოს, რომ მას რაღაცის თქმა უნდა და მზერაც, რომელიც ობიექტივში იხედება, ამის მიხედვით ხან ცოცხლდება და თითქოს რაღაცას გვანიშნებს, ხან კი ისევ ქვაკვდება და ობიექტივის მინაზე სხლტება.

გარინდებული კაცი ფიქრებიდან გამოერკვა, შუბლზე ხელი მოისვა. სოსოს ოთახში თითქოს საუბარი აიტალდა. სურათი ცივი ხელით ჩააბრუნა ჯიბეში და კიდევ ცოტა ხანი უსმენდა, თან ცდილობდა, ცხვირიდან წამოსული წვინტილი შეეკავებინა. ოთახიდან ხმა აღარ აღწევდა და გადანწყვიტა, რომ ნელანაც მოეჩვენა.

სახლიდან რაც შეიძლება ფრთხილად გამოვიდა. მაღაზია სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო, ოღონდ ზუსტად არ იცოდა, სად. უკვე ბნელოდა და კიდევ უფრო ციოდა. ქარიც გაძლიერებულიყო. ქუთუთი ბოლომდე შეიკრა და ნაბიჯს აუჩქარა.

მაღაზია არც ისე ახლოს აღმოჩნდა, სადაც ეგულებოდა, იქ დაკეტილი დახვდა და მანამდე ეძება, სანამ ერთ-ერთი ჩაბნელებული ქუჩის ბოლოს მზუტაჟი სინათლით არ მიაგნო. ცხვირსახოცი იყიდა და წამოვიდა.

სწრაფი ნაბიჯით ბრუნდებოდა, არა იმდენად მღელვარების, რამდენადაც გამჭოლი ქარის გამო. რამდენიმე მეტრიღა აშორებდა სახლს, როდესაც ქარი წამით შედგა და კაცის ყურამდე ქალის ხმამ მოაღწია, ან იქნებ სახლების უკან სიბნელებში ჩაკარგული ქარის ნივლი იყო, მაგრამ აღელდა, ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა. კვლავ მოძლიერებულ ქარში ცდილობდა ხმები გაერჩია, მაგრამ სანამ სოსოს სახლის კიბეები ნახევრამდე არ აიარა, ვერაფერი გაიგონა, აქ კი ეჭვი აღარ იყო, სახლში ჩხუბობდნენ. კარი გააღო თუ არა, სასტუმრო ოთახში რაღაცა მძიმე გაიბრახუნა, რასაც კივილი მოჰყვა, მერე სოსოს ღრიალიც გაიგონა, ოღონდ სიტყვები ვეღარ გაარჩია. შიშისგან მუხლები მოეკვეთა, შემოსასვლელში წაიბორძიკა, სასტუმრო ოთახის კარს მოებლაუჭა და შეაღო. ლანა რაღაცას ყვიროდა, მაგრამ ვერც მის სიტყვებს იგებდა, არც ჰქონდა მნიშვნელობა. მიახლოება ვერ გაბედა, მხოლოდ ხელები გაიწვდინა ვედრებით. შემდეგ ლანამ ფინჯანი ისროლა, რომელიც სოსოს აცდა, მაგრამ მასში ჩარჩენილი ნალექი მთელ ოთახში მიმოიფანტა. ქალი კივილს არ წყვეტდა, ოთახში დადიოდა და რაც ხელში მოხვდებოდა, ისროდა. სოსო ჩუმად იყო, მღვრიე თვალებით მიშტერებოდა ქალს და ცდილობდა, ნასროლი ნივთები აეცილებინა. კაცი

ლანას დამშვიდებას ცდილობდა, უყვიროდა, ეხუნებოდა, მაგრამ უშედეგოდ. სოსო დაიძრა ადგილიდან, უნდოდა ქალი გაეკავებინა, მაგრამ იგი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, ხელიდან დაუსხლტა და სილა გაანწა. სოსომ დაიღრიალა და ხელი შეუბრუნა, ლანამ წაიბორძიკა და დაეცა, სოსო გადაჯდა და გაშლილი ხელით ურტყამდა. შემინებული კაცი სოსოს ჩაებალუჭა საკუთარი ქალიშვილის გადასარჩენად, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა. უეცრად ლანა გაჩუმდა და დაიშვილებოდა კაცმა ის იყო გაიფიქრა, მგონი ყველაფერი დამთავრდა, რომ ლანამ სოსოს შეაფურთხა.

სოსოს თვალები გადმოეკარკლა, ქალს ხელები ყელში წაუჭირა.

ლანასა და სოსოს დაძაბული სხეულები წამით გაქვავდნენ. ლანამ პირი დააფჩინა, სახე გაუწითლდა.

შემდეგ კაცმა სოსოს ხელები გაუშვა, იატაკზე თუჯის ყავის სახარში მოქებნა და მთელი ძალით მოიქნია. მერე კიდევ ერთხელ მოიქნია, სანამ ღრიალი შეწყდებოდა, და შემდეგ კიდევ ერთხელ, სანამ სოსოს სხეული დაირწნოდა და გვერდზე გადაწოლას მოასწრებდა.

იატაკზე თუჯის დაცემის ხმა სოსოს სხეულს ბრავანაშა შთანთქმა. რამდენიმე წამით მხოლოდ კაცის ხვნება და ლანას ხრტილი ისმოდა. შემდეგ ლანამ სული მოითქვა და წამოწინა, მის ცნობიერებაში ნელ-ნელა იღუქებოდა მომხდარის სიმძიმე. ფეხები ქოშინით გაითავისუფლა სოსოს უძრავი სხეულისგან და მის ზურგს ფრთხილად შეებო. შემოღობულ კეფაზე, ფერფლისფერი თმით გარშემორტყმულ შავ ჭრილობას დაელო პირი. სისხლი კეფას მოუყვებოდა, მეჩხერი თმების გავლით ჩაედინებოდა კისერში, პულსვერითა და კისრის ნაკეცებით შემდეგ გაუბრუნდა და შემდეგ ისევ ქვემოთ, იატაკისკენ მოწვეთავდა.

ლანამ აწეწილი თმები თვალებიდან გადაწინა და კაცს შეხედა, რომელიც გაუწმრევლად იდგა და ჭრილობას მიშტერებოდა სოსოს კეფაზე.

- რა გააკეთე? - თქვა ლანამ.

კაცს ათავფერი თუქვამა.

- რა ჩაიდინე? - შემდეგ ჩურჩულით - მკვდარი? - გვამს შეხედა და დაადასტურა - ნამდვილად მკვდარია... დავგიჭერენ... ციხეში მოვკვდებით... ვინ გეკითხებოდა? ვინ გეხვებებოდა? ახლა რა უნდა ვქნათ?

კაცი არ ინძროდა. ჩუმად იდგა ნელში მოხრილი, თითქოს ცხოვრების უცნაურობაზე ჩაფიქრებულიყო. შემდეგ რაღაც მოხდა. თავი ასწია, კისრის ძარღვები დაეძაბა, თვალები გაუშტერდა.

- ჩშშშ - თქვა მან და ხელი ზევით ამართა - გესმის?

ლანა გაჩუმდა, კაცს შეხედა.


თავიდან მხოლოდ ქარის ხმა ესმოდათ, ფანჯრის ჩარჩოების ჭრიალი.

კაცმა ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და პარკეტს მიაშტერდა. ქვემოდან წამოსული ხმა ოდნავ შესამჩნევი იყო, ქარის მოტანილი სურნელივით ძნელად მოსახელთებელი.

ტიან ჰე

ლექსები

თარგმნა ბექა ბარქაიამ



ჩინეთში, სადაც ათიათასობით ადამიანი წერს ლექსებს, სცემს პოეტურ კრებულებს, ლეხულობს პრემიებს და ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, იოლი არ არის კარგი პოეტის გამოჩენვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპული პოეტური ტრადიციისგან განსხვავებით, რომელიც ნოვაციის, ინდივიდუალური ხედვის, ორიგინალური ტროპული სისტემის კატეგორიებს და ლექსის ფორმალური კომპონენტების სპეციფიკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ჩინური კულტურისთვის არსებითია ტრადიციული პოეტური სისტემების მიმართ ერთგულების ნოვატორული ხერხების მიგნება, ძველ პოეტებთან დიალოგის ახალ-ახალი ფორმების ძიება, ერთგვარი პოეტური რიტუალურობის პატივისცემა.

ეს და ამ რიგის ბევრი სხვა მახასიათებელი ჩინეთში პოეტური ტექსტის შეფასების ისეთ კულტურას ქმნის, რომელიც ევროპული თვალთქვედით იკითხება. ეს კარგად იცოდნენ უკვე კლასიკური მოდერნიზმის ევროპელმა და ამერიკელმა პოეტებმა (ეზრა პაუნდი ჩინურ კულტურასთან მიმართებაში საერთოდ ყველა თვალსაზრისით უნიკალურ გამოცდილებას უყრის საფუძველს, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება).

ნეომოდერნიზმის ევროპული პოეზიაც ჩინურ კულტურაში არაზედაპირული გარკვეულობის სანიმუშო მაგალითებს გვთავაზობს. ამ მხრივ, გერმანული პოეტებიდან გიუნტერ აიხი გამოირჩევა,

რომელიც სინოლოგიას სწავლობდა, მისი პოეზია კი დიდად იყო დავალებული ჩინური პოეზიის ესთეტიკით.

არაერთი მსგავსი ასპექტია გასათვალისწინებელი თანამედროვე ჩინელ პოეტთა, მათ შორის აქ წარმოდგენილი ტიან ჰეს ლექსების კითხვისას. ეს არის კლასიკურ ჩინურ პოეზიასთან დიალოგის ხელოვნების თვალსაზრისით მართლაც ქრესტომათიული ტექსტები, დაწერილი ხაზგასმული (და გამომწვევი) ნიუანსირების უძველესი ტექნიკით. ამაში იოლად დარწმუნდება ყველა, ვისაც თუნდაც ჯარჯი ფხოველის მიერ თარგმნილი კლასიკური ჩინური პოეზიის მცირე ანთოლოგია წაუკითხავს.

21-ე საუკუნეში ისეთი ლექსები, როგორცაა ტიან ჰე და ევროპული პოეზიის ტრადიციაში ჩახედული ბევრი სხვა კარგი ჩინელი პოეტი წერს, საგულისხმო მედიტაციის ნიმუშებია: ერთგვარი პროგრამული გარიდება ხმაურიანი ურბანული თემებისგან, მაგრამ აღნიშნული „ხმაური“ ყოველთვის დისტანციურ ფონს ქმნის ჩინურ „სოფლურ“ პოეზიაში. ტიან ჰეს აინტერესებს არა ეთნოგრაფიული კონტრასტები, არამედ – კონკრეტული პიროვნულ ბედთა განუმეორებლობა ნებისმიერ დროში, უბრალო ადამიანების ბიოგრაფიული ერთადერთობა.

წინამდებარე პუბლიკაციისთვის ავტორის ლექსები თარგმნილია წუცა ქათამაძის მიერ მომზადებული პნკარედიდან.

მთარგმნელი

თიხის ქოთანი

თიხის ქოთანი –
ახლად ფორმამიცემული
და გამომწვარი,
შავი, თავისი სრული მშვენივით.

მას კარტოფილის,
მოშუშული ხორცის, მარილის
შესანახად იყენებდა ბიცოლაჩემი.
იგი ისეთი დამყოლია, ბიცოლაჩემის
მუდამ დამჯერი ბიძაჩემი როგორიც იყო.

მწუხრი

აი, ყვითელი მთაგრეხილის მაღალ მწვერვალს დაეცა მწუხრი
და თავდაღმართზე დაგორებულ
ქარს დაემსგავსა. გუშინ იგი ჩამოეკიდა

ფინიკის მკვდარ ტოტს,
რომელიც ჩემმა მეზობელმა დაიკო ჟაომ
მოჭრა და ღუმელს შეუკეთა შებინდებისას.

მზე ჩაესვენა დასავლეთის ხეობაში,
შეიძლება ის გლაზაკის ჯამში ჩავარდეს
და მათხოვრობა შეწყვიტოს გლაზამ.

ის შეიძლება ჩამოვარდეს
შორ სოფლებში, ღრმა ტბორებში,
შავი ძაღლის ნადავლში სულაც,
ან – ერცჰუს სახლთან.

შუახნის გლეხკაცი

ეს შუახნის გლეხი, ორმოცდახუთის,
ჭალარა და კუზიანი, დატვირთულ ნავს ჰგავს,
რომელმაც უნდა იმოძრაოს დიდი სიჩქარით.

ქარით და წვიმით ნაცემი ტანი
ძველ საწვიმარ ლაბადას უგავს.


დიდი ხანია, რაც მის ძვლებში წყალი ჩამდგარა და იტანჯება რევმატიზმისგან;
არ შეუძლია ძვლიდან ნემსის ამოღება, ტკივილი ტანჯავს;

ლოტოსის ხელს სტაცებს, წყლიდან ამოგლეჯს, ის წყლის სარკეა,
წყალი – ცის სარკე. ხოლო ლერწმებმა ეს ლურჯი ცა ლამის დაახრწონ.

შუალამე ქვის სამტეხლოში

ამ სამტეხლოზე მაშინ ვწერდი, როცა ჯერაც სოფელი იყო.
ციცაბო და მაღალია ამ მთის ბილიკი. მახსოვს, ყმანგილი
ამ მთის თავზე როგორ ავძვერი.
მთის ძირას იყო სოფელი და –
მოშორებით უცნობი მთები.

ვხედავდი, როგორ ამზადებდნენ მუშები ხვრელებს,
ხვრელებში კი ათავსებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს.
დეტონატორი, ნათება და ქანის გრუხუნი,



დიდი ხმარით რომ სკდებოდა, ტყდებოდა და ქუცმაცდებოდა.
ვიღაცამ ცეცხლი დაანთო და მერე საჯდომდამწვარივით გამოვრბოდა
გრილის და შავი კვამლის ჯოჯოხეთიდან.
გვიან ღამით ტვირთმცვლელების ბლავილი და ხრეშის ხმები ისევ ისმოდა,
სამტეხლოში ორი მუშა ბერკეტებით არყევდა ლოდებს,
არ აპირებდა დანებებას რამდენიმე ადამიანი.
ვეება ურო, ქვის ექო და – ექო ველების.
სამტეხლოს მუშებს ხელები სტიკივით,
ტიკივით ებრძვიან და ადგილსაც მოინაცვლებენ
და განაგრძობენ უროთა ცემას, იქვე კი მათი წინაპრების სასაფლაოა,
ძვალი უკვე ქვიშას შერწყმია.
შუალამეა, ნისლი, სიცივე.
მუშებს კი უკვე სველი სამოსი ხეთა ტოტებზე გასაშრობად გაუფენიათ.
ვიღაცას სძინავს ბალახებში, საფლავის ქვასთან,
ვიღაცას კი თავის მუხლებზე თავდადებულს ჩასძინებია;
რამდენიმე მუშა ეწევა, ამთქნარებს და მაინც საუბრობს.
„დღეს რა დღეა?“ იკითხა ერთმა.
„გუშინ ქსიაო ლიანგის ბიძა ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა“.
მშენებელმა თითქოს უპასუხა, მაგრამ – უსიტყვოდ.

დაკრძალვის ამბები

ბეზიარეში როცა მოკვდა,
მთელი დღე თოვდა, ჩვენ ბეზიას
სიკვდილს ვიგლოვდით, და ამ დროს საწყალ ბეზიარეში
თითქოს შესცივდა, სიკვდილი კი ზევს დაემსგავსა;
ამ დროს სიკვდილი ღარიბ სახლებს დაიტანს ხოლმე;
მამაჩემმა ნათესავებს მიაშურა, რათა მათგან ფული ესესხა.
ჩვენ მას ველოდით, მაგრამ იგი არ ბრუნდებოდა.
სამი დღის მერე ბეზიას სხეულს
სუდარაში უკვე ვეღარ შევინახავდით.

ხოლო ღამით ჩრდილოეთის ქარი კიოდა
და მისი დანის ბასრი პირი
მერეც, მთელი დღე,
წინაპრების გულებს სერავდა.

აპოლონიას ხე მოვჭერი ბოლოს ბოსტანში
და ბეზიარეში ვინრო კუბო გამოვუთალე.
მამა საწყალი კაცია და სულ ჩუმად არის.
დაკრძალვის დღესაც იგი კუბოს მისდევდა და თავს მდაბლად ხრიდა.

მე მაშინ ცხრა წლის ვიყავი და – ტანად მორჩილი,
მაგრამ სიმკვირცხლის ნაკლებობას არ ვუჩიოდი,
და მე არც თოვლში ნავცქეუღვარ,
არც ტალახში ამოვსვრიღვარ, ბეზიარეში ადევნებული.

ჩემი დედამძუძე

დედაჩემი სოფლად ცხოვრობდა,
ის იყო ჩემი დედამძუძე ორმოცი წლის წინ.

თავის რძითაც მანაყრებდა და – შრომითი კოლექტივის
პრიგადიდან მოტანილი ბატატივაც,
ბოსტნეულსაც ჩემთვის თხრიდა მდინარის პირას.

მასსოვს ძველი და ჭუჭყიანი წინსაფარი, ურომლისოდაც
ვერც შეშას ჩეხდა, ვერც ბრინჯს რეცხავდა, ვერც წინილებს უყრიდა საკენკს.

ერთხელ მუხლებში თავი ჩარგო, ღუმელში რომ ნაკვერჩხალს ჩხრეკდა;
მასსოვს, როგორ იხრებოდა, მდინარიდან წყალს რომ იღებდა.

ერთხელ შარვალი სიბნელეში გამირეცხა,
ზურგით კედელს მიყრდნობოდა თმაჩამოშლილი.

სხვა ნათესავი არავინ ჰყავდა,
ყანა ჰქონდა და ისიც –
სახლის წინ.

დროგამოშვებით ელეოდა ფაიფურის კოკაში ბრინჯი,
ზოგჯერ კი მისი თვალებიდან ტკივილები ედინებოდა.

აქლემის ველზე მცხოვრები ჩემი უფროსი ბიძაშვილი

იქ ცხოვრობდა ჩემი უფროსი ბიძაშვილი,
ლარიბი ქალი.
სოფლად ცხოვრობდა. მთის ბილიკი, ფერდობი და ღამის სიბნელე.
პატარა იყო მისი სახლი, დაბალი, სველი.
ბელურებს ბევრი ბუდე ჰქონდათ ამ ციცქნა სახლში.
სილარიბე ბატონობდა იმის ოჯახში. რამდენიმე ქოთანი, გეჯა;
ვირი და ორი აკრი მიწა წინიბურასთვის.
გამხდარი, სუსტი ქალი იყო. ხშირად ვხედავდი, როგორ ჭრიდა ვირისთვის ბალახს.
ზოგჯერ ტაძარში ცოტა ფულს წავადა გარდაცვლილი თავისი ქმრისთვის.

დაგროვების ბარათს ჰგავდა იმისთვის მიწა. ოფლს ღვრიდა,
ფულის დაზოგვაში გადიოდა მისი დღეები.
ტკბილ კარტოფილს და ხორბალს, როგორც წლიურ სარგებელს,
იყენებდა დედამთილის და თავის ვაჟის დასაპურებლად,
და – თავის კუჭის სამკურნალოდაც.
ორმოცდათხუთმეტი წლისა მოკვდა,
დედაჩემზე ადრე წავიდა.
მისი ცხოვრება ქაღალდის თხელი ფურცელივით
იდო ჭილობზე.


მიწა

დედას შესცივდა, მაგრამ მაინც თხრას განაგრძობდა;
ვიგრძენი, ქარი თმას უჩეჩავდა; მერე შენელდა
მისი ხელ-ფეხი. მის ხელში ბარიც ერთობ დამოკლდა,
კარნახობდა, გაეთხარა ტკივილის მიწა.

მიწა, ჩემს ოჯახს რომ ეკუთვნის, რბილია და ნაყოფიერი.
ორი კალათა სოიო და ოთხი სათლი სორგო იყო,
ჩვენ ყოველ წელს რასაც ვიმკიდით.
არ მიკვირს, ერთმა დახვეწილმა ადამიანმა, ლაო მუმ, როცა ბიძაჩემს უთხრა:
„მიწა ხელიდან არ გაუშვა,
ნებისმიერ პეიზაჟზე გამძლეა იგი“.

შეშის ღუმელი

მე არ ვეძახდი შეშის ღუმელს, დედას ვეძახდი.
სოფლად, ლარიბულ სამზადში მცხოვრებ დედაჩემს ჰგავდა,
ნესტიან და დაბალ მიწაზე.
ორი ქოთანი. სწორედაც რომ დედაჩემია.



დაჩუქებული ძუძუები. მას იყენებდნენ
პატარების გამოსაკვებად.

და ღუმელში შუშა როცა ჩაინვებოდა, სწორედ ისე ეხვეოდა
სამზადი კვამლში, როგორც დედა – ლეგა კაბაში.
ალი ხომ მისი ღიმილია, უხაროდა
ოჯახისთვის წყლის ადუღება,
კარტოფილის მოხარშვა ორთქლზე.
დედაჩემი, უბრალო და პატიოსანი.
მაგრამ მის გრძნობებს გამოხატავს
შინაგანი მისივე ცეცხლი.
სიტყვაძუნწია, როგორც დულილი.

მოხუცი თერძი

წლების წინ მოკვდა მოხუცი თერძი,
მე კი ის დღესაც მენატრება, სიგრძის საზომით მხარ ან კისერდამშვენებული.
იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. სახაზავით ამიზომა სიმაღლე, წელი,
ის ჩემთვის ახალ ქსოვილს ჭრიდა; ზამთრის იმ ცივ დღეს,
სამოსს როცა მიკერავდა, მისი თმა-წვერი გაჭაღარავდა. სწორედ იმ დღეს

დაბამული ქურთუკი ეცვა, სულ ილიმოდა,
თავი ასე დამამახსოვრა.

მერე დაბერდა.

მაგრამ უფრო კოხტად კერავდა. მერე წავიდა,
სოფლად ოჯახი უნდა ენახა. სათვალე ჰქონდა მორგებული,
ცარციანი და გამოცდილი მისი ხელი მოძრაობდა ამ დროს ქსოვილზე,
ხის სახაზავს იყენებდა ასაზომად და ათინჩიანი მაკრატლით ჭრიდა
უფალავ ნაჭრად, მერე კერავდა.
მანქანის წემსის ყოველი ჩხვლეტა ისეთივე ნამდვილი იყო,
როგორც მისი ნაფეხურები,
სოფლის ქვიშიან შარავზას რომ მიუყვებოდა.

პრიალა კრამიტის ორი ფილა

კრამიტის ორი პრიალა ფილა მიამატა მამამ აგარაკს.

ეს მიწურია. სახურავი სიბნელეში

უმალ განათდა, ცა დაჩნდა თითქოს.

ეს ჩვენური ღარიბული სახლაკია, რომელშიც მხოლოდ

მზის სხივი აღწევს, მზის ნათელი ანათებს ოთახს.

კრამიტის ორი პრიალა ფილა, როგორც ღიმილი გაღებული, ღარიბი პირის.

ათი წელია, არ მინახავს, გაეცინოს ასე მამაჩემს.

წვიმიან დღეებს თან ახლდა ცაში ჭექა-ქუხილი.

წვიმის წყალი ამ ფილებს დასდის.

არ მადარდებს, წვიმის წყალი სად დაეცემა.

მე მხოლოდ ორი ფილა მახსოვს,

წვიმის მერე – სუფთა, კრიალა.

ჩემი თეთრი პერანგი რომ დაეკემსა,

სულ მცირედი მზის სინათლე ისესხა დედამ.

სამზადის კვამლი სოფლად

ქარი როცაა, ზოგჯერ კვამლი

მოულოდნელად იცვლის ხოლმე მიმართულებას,

იკლანება, ინელება,

კალიგრაფის ხელწერას

მოჰგავს,

პატარა სოფლის ჟამთააღმწერლის.

ზოგჯერ ცას სწვდება
 პირდაპირ, ნელა,
 ჩამავალ მზეში
 ეხვევა კვამლი
 და ფესვს ღრმად იდგამს
 ჩემი ჭალარა დედის მკლავებში.

იგი ჰაერში დაფარფატებს
 ერთობ მსუბუქად,
 მაგრამ მე ვხედავ,
 რა მძიმეა
 მისი ნაწილი,
 რომელიც ცაში ჯერ ვერ ასულა.

ქლიავის ყვავილი

ჩემ ცოლს

წყნარი ბილიკი ყვავილების სიღრმეში მიდის.
 ამ ყვავილებში არის ერთი, ჩემი ცოლი, სახელად მეი.
 მე ის გავთელე,
 მისი გრძელი თმა მის ქუსლებთან დაეცა უცებ.

ჩემთვის გაშლილმა ამ ყვავილმა
 კვირტები და ბუტკოები მომიმზადა,
 როგორც ხუთიათასი წლის წინ.

აყვავებული ქლიავი კი, ისე წითელი,
 როგორც – ზამთარში ცეცხლის ალი,
 ჩემს გულში რომ თოვლი დნება, მაშინ მათბობს,
 მაგრამ ტუჩებს არასდროს მიწვავს.

ამლამინდელი მთვარე

უკუნეთია.
 ვნატრობ, მალე გამოჩნდეს მთვარე.
 რაც უფრო მაღლა ავარდება, მით უკეთესი.
 დე, კაშკაშებდეს. და რაც უფრო შორს იქნება, მით უკეთესი.
 ვერ ვიოცნებებ მთვარის შუქზე
 ყველგან, როგორც თეთრ მონეტებზე.
 ის შეიძლება ფაიფურის თასით აკრიფო.
 ვლოცულობ, იყოს მთვარე ამაღამ
 უღრუბლო და უქარო ცაში.
 ქალს მიაქვს წყალი. გემუდარები, ნუ წაიღებ ამაღამ მთვარეს,
 ღამე მისთვის
 როდი იბრძოლებს.

ყველას ეკუთვნის ამაღამ მთვარე. ის მეც მეკუთვნის.
 მე მას მამაჩემს მივანიჭებდი.
 ქალაქში, ჩემგან ორმოცი მილის სიშორეზე, მუშაობს მამა,
 შინ კი ღამით ბრუნდება და ავტობუსში უნდა დაჰყოს
 სამი საათი.

ტკივილი

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, როცა მოვკვდები,



უძვირფასესი, რაც გამაჩნდა ამ ცხოვრებაში, სწორედ ეს არის, და რაც ყველაზე მეტად მძულდა, ჩემს ნარსულში, ჩემს ცხოვრებაში, ეს ტკივილია. ბევრ სასარგებლო ელემენტსაც შეიცავს, ალბათ, კალციუმს, ნმინდას, ხოლო მისი თვისებაა – ხანგრძლივი ტანჯვა, მაგრამ – ხანმოკლეც. თითქოს ერთმანეთს გადაეჯახვნენ. დიას, ეს ჩემი ცხოვრებაა. ნელ-ნელა თუ ჩამომაშორებთ, ეს ყველა ჩემი მძიმე წელია, გლოვის დღეებიც.

ჩემი წონა – ეს ჩემივე უბედობის ზუსტი წონაა, ხოლო ჩემი მოცულობა – მოცულობა ჩემი ტკივილის. მაგრამ ის ზოგჯერ მსუბუქია, სულ იოლად გადაწონის ბრინჯის მარცვალს. ზოგჯერ ისეთი მცირეა, მონეტისა, სულ იოლად დაიფარება.

ემიგრანტი მუშა, რომელიც ხარაჩოებიდან ჩამოვარდა

ემიგრანტი მუშა ჩამოვარდა ხარაჩოებიდან, ემიგრანტი მუშა ჩამოვარდა მაღალი ხარაჩოებიდან, მშობლების ორი ვაჟიდან ერთი ჩამოვარდა მაღალი ხარაჩოებიდან, ელაც ქალის ქმარი ჩამოვარდა მაღალი ხარაჩოებიდან, ორი შვილის მამა ჩამოვარდა მაღალი ხარაჩოებიდან.

ემიგრანტი მუშები ყვირიან. ვილაყამ უცაბედად შეჰყვირა, მერე კი ხალხი აჰყვა ამ ყვირილს. მოვიდა სასწრაფო და ყვირილი გაგრძელდა. მერე, როგორც ხდება ხოლმე, კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ემიგრანტი მუშა მაღალი ხარაჩოებიდან წავიდა იმ ქვეყნად, ბოსნიის სამშენებლო მოედნიდან წავიდა; ბოსნიის მერსედესით დადის. მან იმ ადგილს მხოლოდ ერთხელ დახედა, მერე კი

თავის ხალხს უბრძანა, სისხლი წყლით გადაერეცხათ, და მშენებლობაც გაგრძელდა. ბოსნიის გარდაცვლილის ოჯახს მხოლოდ ოცდაათათასი იუანი გადაუხადა. მერე დათვრა, შინ წავიდა და დაიძინა. ისე მშვიდად, როგორც ემიგრანტმა მუშამ დაიძინა.

მოდრეკილი ტოტები

ქარს მოუსპია ბუდე, ხოლო მეხს ტოტები ძლიერ მოუდრიკავს, თითქმის მიწამდე. ირგვლივ ყველგან უნაყოფო ნიადაგია, მიწას დასცქერის უამრავი შიშველი ტოტი. აი, ეს ტოტი, მომცრო, მორჩილი, ბებიჩემს ყავარჯნადაც გამოადგება.

დედა ნაჯახით შეშას დააპობს. უმცროსი ძმა შურდულს გათლის, ჯერ მთვარეს რომ დაუმიზნოს, ხოლო მერე ქურდი დააფრთხოს.

მამაჩემს, ფერმერს, ყოველთვის სურს, ტოტი წელში იმართებოდეს: ის ამ ტოტს მინდვრად, გზის პირას, არჭობს, მომავალი წლის გაზაფხულს რომ ცოცხალი შეხვდეს.


შაბათი, პატარა ქალაქი

ამ ქალაქში შაბათს მოვედი,
ჩემს მოხუცებულ ბებიას რომ მივხმარებოდი.
მოკირწყლულ გზაზე დგას ბებია,
მოკლე ბამბუკს ჩამოყრდნობია,
როგორც ყველა მასზე მოხუცი.
აქ ბევრ სიძველეს ვერ ნახავს თვალი.
აი, მიხვეულ-მოხვეული, მოკირწყლული გზა, ძროხის ფუნა, გოჭის შარდი,
ვირის ყროყინი.
მოლიბუღია ქვაფენილი, ბებიას ლამის ფეხი მოუცდა.
შაბათია და ქალაქში ახლა ხალხმრავლობაა ბაზრობის გამო,
ირგვლივ ყველგან თევზის სუნია; მოვაჭრეს თევზით სავეს კალათა
წყლიანი სათლის გვერდით დაუდგამს. ახალ თევზს იგი
კასრიდან ყიდდა.

სხვა ქუჩაზე რუხ სამოსში გახვეული
გლეხის ქალი დაყუნცულა, კარტოფილს ყიდის.
აი, მუშტარს კალათაში ჩაულაგა კარტოფილები.
შუადღისთვის ყველა კარტოფილი გაყიდა უკვე. მერე ამ ფულით რამდენიმე რამ იყიდა,
ორი კოლოფი სიგარეტი, ერთი ყუთი მარილი და მცირედი ხორცი.
წამიც და თვალთახედვიდან გაქრა.
ეს ჭუჭყიანი კაცი კი ტილებს მოიძიებს თავის ქურთუკში.
ფუნთუშების სახელგანთქმული მეფე იყო ის ამ ქალაქში. ბანქო უყვარდა.
რაც ჰქონდა, ყველაფერი წააგო, ხოლო ახლა ქუჩებში ცხოვრობს.
იმ საღამოს ქალაქში დავრჩი,
და ეს კაცი, როგორც მთვარე, ზოგჯერ უცებ გამოჩნდებოდა.
ის მთვრალივით დადიოდა, ბარბაც-ბარბაცით.

ძველი ნამგალი

სახლის კედელზე – ჟანგიანი,
ძველი ნამგალი. დიდხანს ეკიდა
იმ კედელზე მშვიდობიანად.
მამაჩემი ყოველდღიურად ერთხელ მაინც შეხედავს ხოლმე.
მე რამდენჯერმე დავაპირე, მიმეყიდა მჭედელ ჯაოსთვის
და ახალ ნამგლად გამოეკვერა,
მაგრამ მამამ ნება არ დამართო.
ახლა ნამგალი კედელთან დევს,
კედელზე კი ჟანგის კვალია,
თითქოს კედელზე ნამგალია გამოხატული.



მრავალი წლის წინ, მოლაპლაპე ნამგლის მეტი,
ღირებული არაფერი გაგვანდა სახლში.
დიდებული გრძნობა იყო:
მამაჩემი ნამგლის პირს დიდ თითს ააყოლებდა;
თავთავს როცა მონამგლავდა, წამითაც კი არ ისვენებდა,
სამხრეთ ფერდობზე ერთხელ თითები გაიჭრა და ლამის დაკარგა.

ძველმა ნამგალმა ამონურა უკვე ნათელი.
სახელურიც კი ულაპლაპებდა.
დღითიდღე უფრო მუქი ხდებოდა.
ახლა იგი კედელზეა მშვიდობიანად დაკიდებული,
მაგრამ როცა კარი იღება,
ისევ და ისევ აენთება ხოლმე დროდადრო.

ნიკოლო ამანიტი

ცოტა მტკივნეულია

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ



სტომატოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ ანჯელა მილანოს ორალური სექსი რომ ჰქონოდა რობი კაფანიასთან, ეს სამინელი ამბავი არ მოხდებოდა და არც მე ვიქნებოდი აქ მის მოსაყოლად. ბედის ირონია იყო ალბათ, ვერდიანასთან დისკუსიის შემდეგ რომ გადწყვიტა ანჯელამ, ცოტა ხნით მაინც აღარ გაეკეთებინა ის, რასაც საღამოობით თავდაჯერებით და შესამური ოსტატობით აკეთებდა ხოლმე, თანაც არც ისე იშვიათად.

ანჯელა თავის სოფელ ვერდიანა ჩეკერინისთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, რომელშიც შედიოდა: პატარა მისაღები, ორი საწოლი ოთახი, სამზარეულო კუთხე, აბანო და ვერანდა (უცხოელებისთვის იმ ზონაში ბინებს არ აქირავებდნენ).

ერთ შუადღეს, ვერდიანა განადგურებული დაბრუნდა სახლში, წიგნებიანი ჩანთა დივანზე მიაგდო და მეგობარს აცნობა, რომ მასზე მთელი ფაკულტეტი ჭორაობდა.

- რას ამბობენ? - ცხვირი აწია წიგნიდან ანჯელამ. გაუღიანდა.

კითხულობდა, „ემოციურ ნდობას“, რომელიც ეხებოდა ტემპერამენტის კონტროლს, საკუთარი გძნობებისა და განცდების შესწავლით.

- რას ამბობენ და...
- ჰო, რას?

ვერდიანამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:
- რას და, ორალური სექსი რომ გაქვს ყველასთან, ვინც სავახშმოდ წაგყვანს!

ანჯელა ჯერ შემფოთდა, იუკადრისა მეგობრის საყვდური, მაგრამ დღიურში რომ ჩაიხედა, დარწმუნდა, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მართლა ყოველ საღამოს იყო ნამყოფი სავახშმოდ სხვადასხვა ბიჭთან ერთად და თანაც ყველასთვის საითათოდ გაეკეთებინა მინეტი, გარდა იმ დღეებისა, როცა ფროზინონეში იმყოფებოდა თავისიანებთან.

- მაგრამ რატომ? რატომ აკეთებ ამას?

ანჯელა ამაზე ღრმად არც არასდროს დაფიქრებულა, უბრალოდ, სწორად მიაჩნდა პატივისცემისთვის სამაგიერო ამით გადახება.

- ასეა... სავახშმოდ მპატიუებენ... მაღლობის ნიშნად ვაკეთებ, თუმცა ბუნებრივადაც გამომიღს.

ვერდიანამ გააგებინა, რომ მთელ ფაკულტეტზე ვირუსივით გავრცელებულიყო ხმა მის წინააღმდეგ, თორემ თითონ არაფერი იცოდა და ვერც ხვდებოდა. ანჯელას მობილური სტომატოლოგის ტელეფონზე უფრო დაკავებული და მოთხოვნიდი იყო. მასში ბოლო ექვსი თვის მანძილზე მიღებული მონევებებიც ჰქონდა ჩანერილი: რესტორანში, ბარში, კლუბში, პიცერიაში, ჩინელებთან, ტავერნებში...

ბიოქიმიის ფაკულტეტზე მისთვის ზედმეტი სახელიც კი შეურქმევია - ტუმბო.

- ტუმბო?

- ჰო, ასე გეძახიან.

- და რას ნიშნავს?

გოგონებმა ძანიკელის ლექსიკონში დაიწყეს ძებნა: - წყლის მასების სწრაფი შემწოვი და გამქრობი აპარატი.

ანჯელა სირცხვილისგან განთილდა, სლოკინი აუვარდა და პირზე ხელი მიიფარა. ვერდიანამ ურჩია, ეს ორი მარტივი ნესი მაინც დაცევა:

1. არასოდეს დაკავდე ორალური სექსით პირველ შეხვედრაზე!

2. ერთი პიცა და ვარდი ორალურ სექსად არ ღირს!

იმ საღამოს, ანჯელას მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომი კაფანიამ სასტიკად გადაიხადა მინეტის საფასური. შუალამის დადგომას თვითმეტე ნუთი აკლდა, როცა დედამისის მიკრათი გოგო სახლამდე მია-

ცილა. საქმე უკვე ნახევრამდე ჰქონდა მიყვანილი და ბედნიერებისგან აღარ იყო, რომ წარმოიდგენდა, სულ მალე ანჯელა როგორ ჩაიდებდა მის ასოს პირში და ამოტუმბავდა.

გოგო თითქმის ხუთი წუთი იქექებოდა მანქანის უჯრაში. რობის ზუსტად ასეთი რამეები არ მოსწონდა, მწყობრიდან გამოდიოდა, მაგრამ თავს ხომ არ გათქვამდა! მაინც თბილად ჰკითხა:

- რას ეძებ?

- მუსიკას მინდა მოვუსმინო. აბა, შენ არ ლაპარაკობ და! სულ ჩუმად ხარ... რა, არ მოგწონს მუსიკა?

- კი, მაგრამ ისეთი არა, დედაჩემი რომ უსმენს.

- და როგორი მუსიკა მოსწონს დედაშენს?

- რა ვიცი... ძველი სიმღერები.

- აბა მოვუსმინოთ. - ანჯელამ ერთი შავი კასეტა ამოიჩია და მაგნიტოფონში ჩადო.

სუპერტრამპის სიმღერა გაისმა - „საუზმე ამერიკაში“.

- სუპერტრამპი! ვგიჟდები ამ ჯგუფზე! - ანჯელამ ისე დაიწყო მოძრაობა, თითქოს პარკისონის დაავადება აქვსო.

- ფუ, რა საზიზღრობა!

- რატომ? არ მოგწონს? მაგრები არიან. ყველას მოსწონს და შენ არა? შენ სხვანაირი ხარ...

- ამისგინი ახლა, რატომ არ მოგწონს!

რობი უკვე ვეღარ იტანდა მისი ხმის ტონს. ორალური სექსი რომ არა, მანქანიდან დაუყოვნებლივ ჩააბრძანებდა.

- არ მომწონს ეგეთი მუსიკა და არც ეგ ჯგუფი.

- ყურადღებით მოუსმინე და მოგეწონება. - თავი გააქნია ანჯელამ.

რობის მეტი აღარ შეეძლო, გოგო მართლა აჭარბებდა.

- იმიტომ რომ ცისფერები არიან. ამ წვრილი ხმებით, გეგონება, ბავშვობაში

დაკოდესო, თან ეს საქსოფონი!.. ამათი მუსიკა უფრო ნოსტალგიაში მყოფი ბებრებისთვისაა.

- ჰომოსექსუალებს ვერ ტან? - ალმაცერად გახედა ანჯელამ.

- დამშვიდდი, - უთხრა თავის თავს რობი. - ნუ გავიწყდება, რომ ცოტა ხანში მინეტი უნდა გავიკეთოს.

- ჰომოსექსუალებს რას ერჩი, შეგიძლია მითხრა? - არ ეშვებოდა ანჯელა.

- არაფერს, აბსოლუტურად არაფერს. - უპასუხა, თუმცა ძალიან უნდოდა ეთქვა,

- ყველა ჰომოსექსუალი მეზიზღება, ავადმყოფები არიან. მათ კი თავი არტისტიკით ჰგონიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ უკანალში არჭობენ.

როგორც იქნა, მოვიდნენ. რობი მანქანა ანჯელას სახლის წინ დააყენა, სივარეტს მოუკიდა, გამბედაობა მოიკრიბა და უმანკო ხმით ჰკითხა:

- რა გქნა? ამოვიდე?

მისი კითხვა ნიშნავდა, აქ გამიკეთებ თუ ზევითო.

რობისთვის ბიჭებს ნათქვამი ჰქონდათ, რომ ანჯელა მოულოდნელად იღებდა გადაწყვეტილებებს. ხან ზევით აჰყავდა ბიჭი და ხან პირდაპირ მანქანაში უკეთებდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, შედეგი მაინც იგივე იქნებოდა. მისი გაკეთებული მინეტი უმაღლესი ხარისხისა იყო, გასაოცარი პროფესიონალიზმით და ფლორენციული ხელოვნებით შესრულებული.

ანჯელამ გაუღიმა, მანქანის კარი გააღო და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

- არა, უმჯობესია დასაძინებლად წავიდე.

- რა?

- წავალ, დავიძინებ.

- ვერ გავიგე?!

- წავალ, დავიძინებ.

რობი მშვენიერადაც გაიგო... როგორ თუ დასაძინებლად წავა? სად დაუშვა შეცდომა?! თითქოს ყველაფერი სწორად მიდიოდა აქამდე: დაიბანა, ტრუსი გამოიცვალა, სახლი მიაციტა, რესტორანში წაიყვანა, ვაზმის შემდეგ ნაყინიც მიართვა ყინულის სასახლეში...

- რატომ? - ბავშვით იკითხა ბიჭმა, თითქოს კარს სელებზე თამაში აუკრძალესო.

- ამ საღამოს არ მსურს, რატომღაც. - ანჯელამ ცალ ფეხი მანქანიდან ჩასადგმელად

განია.

- შეაჩერე, მიდის. - უთხრა თავის თავს რობი. ისე იყო აღელვებული, უნდოდა

თმებით დავთრია გოგო და ძალით ჩავსვა მანქანაში. - შეუძლებელია წახვიდე. ასე არ შეიძლება. მე შენ წავიყ...

- მხოლოდ ამის თქმა

მოახერხა, რომ რაღაცამ შეაჩერა და წინადადება აღარ დაასრულა, პირიქით, სულ სხვა რამე თქვა:

- მოდი, რა... დარჩი კიდევ ხუთი წუთით, ვილაპარაკოთ!

- ანჯელამ ფეხი ისევ მანქანაში შემონია და მკლავები გადაიფარებინა.

- რა გჭირს? ჰომოსექსუალებზე რომ ვთქვი, ასე იმიტომ გაბრაზდი?

- არა, მაგისთვის არა. მე ვიცი, რატომ არ გინდა, რომ წავიდე.

- რატომ?

- რატომ და ის გინდა...

- რა ის? - ვითომ გაუკვირდა.

- თავს ნუ იშტერებ, ძალიან კარგად იცი!

ერთადერთი, რაც რობი კაფანიაში იცოდა, ის იყო, რომ იმ დანყველილ ვახშამზე

ას ოცი ათასი ლირა დახარჯა და ნაყინიც მიართვა. არც ანდრეა საბატინის და არც პიერ პაოლო პენაქინის ამდენი არ დაუხარჯავთ ანჯელასთვის, თან ნაყინიც არ უყიდათ. ესე იგი, განსხვავებულად მოიქცა, წესების გარეშე, და ეს დანყველილი მინეტიც მას ეკუთვნოდა ყველაზე მეტად.

- გეფიცები, არაფერი მინდა, მხოლოდ ლაპარაკი.

- მართლა? არ დამცინი?

- მართლა. - ბნელიდა და კარგად ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, გოგოს როგორ

აუტრემლიანდა თვალეები.

- მაშინ რატომ მითხრე შენთან ერთად გასეირნება? - დაუბრუნა კითხვა.

ახლა რა უნდა ეპასუხა?

- რა, ვეღარ მპასუხობ?

რობი სივარეტს მაგარი ნაფაზი დაარტყა და ჩაილულულა:

- არა, აბსოლუტურად არა. ესაა, რომ... რთულია ზოგიერთი რამის თქმა.

- რა მხრივ არის რთული? - დაეჭვდა გოგო.

- რა მხრივ? აი, მე შენთან თავს კარგად გგრძნობ, თავისუფლად ანუ... იცი, როცა

ღმერთი გწყალობს... აი, ასე! - ამოისუნთქა, როგორც იქნა. - ზუსტად ასე!

- ჩემთან ყოფნა მოგწონს?

- კი, საკმაოდ. - საცოდავი რობი, რა ეკალ-ბარდები ვარდებოდა!

- ამბობ, რომ ჩემთან ყოფნა გინდა?

- არა... მეგობრობას ვგულისხმობ. - მგონი, რომ მინეტს უნდა დაემშვიდობოს...

- აჰ!.. - ამოისუნთქა ანჯელამ და თავი მკერდამდე დახარა, - ალბათ, ასე სჯობს.

ისე, არც შენ ხარ საჩემო ტიპი, მაგრამ შეგვიძლია მეგობრები გავხდეთ. პირველი შემთხვევა, როცა კაცი მეგობრობას მთავაზობს, - გაიღიმა და სიბნელები თეთრად

მოვლევარე კბილები გამოაჩინა. - ესე იგი, მეგობრებო ვართ?

- რა თქმა უნდა. - გაუღიმა დამწუხრებულმა რობი-მაც.

ასე დარჩნენ ცოტა ხანს ჩუმად. ორივე უხერხულად გრძნობდა თავს.

- შენ იცი, ფაკულტეტზე რას მეძახიან? - დამორცხვებით თქვა ანჯელამ და თან ჩანთის სახელურებს დაუნყო ხელით წვალბა, - ტუმბოს.

- რატომ? - ისეთი ბუნებრივი ტონით იკითხა, თითქოს არაფერი იცოდა.

- რა, არ იცი?

- არაფერი ვიცი, გეფიცები. - გულზე მიიდო ხელი.

- ის კრეტინი ვერდიანა სისულელებს მეუბნება, უნდა, რომ ცუდად გავხდე. - ისე

ხმადალა თქვა, ჩურჩულით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

რობის გონებაში მწვანე შუიტი აენთო. - და რატომ გეძახიან ასე?

- ვერ გეტყვი, ვერა. არ შემიძლია.

- არა, უნდა მითხრა, არ მოგეშვები. - სწორი გზა შეარიჩა მიდგომისთვის; და ცოტა

სინათლეც დაინახა გვირაბის ბოლოს...

- გეტყვი, მაგრამ დაიფიცებ, რომ არავის გაანდობ?

- გეფიცები. - უცებ, იგრძნო, როგორ შეენძრა ასო მარჯვლად.

- რატომ და... ამბობენ, მინეტის გაკეთება უყვარსო. ცოტაც და, რობი კინალამ დაიხრჩო, სუნთქვა შეეკრა.

- მართალია?

ანჯელამ თავი გაუქნია, არაო. ჯერ მას შეხედა, მერე ფანჯრისკენ მიბრუნდა და გზისკენ გაიხედა. - ტყუილები რატომ უნდა გითხრა? მეგობრები არ ვართ? ვინმეს კი არ ვლაპარაკობ!

- ხუმრობ? ცუდი არაფერია, აბსოლუტურად არაფერი, პირიქით... - გაჩერდა, აღარ

გააგრძელა. ასო მტკიცეულად უფეთქავდა შარვალში. ერთი ღრმად ჩაისუნთქა, გაიწია და ანჯელას ფეხზე დაადო ხელი. მან ვერც კი იგრძნო, ისე იყო აღელვებული.

- ვერდიანა მეუბნება, შენს თავში დარწმუნებული არ ხარ, მერყეობ და მინეტს იმიტომ აკეთებო; ჰგონია, რომ თავის მოსაწონებლად გაკეთებ, მაგრამ არაა ასე, დამიჯერე. სამეც იმაშია, რომ მე მომწონს ორალური სექსი, მსიამოვნებს ამის გაკეთება. რა ვიცი... მომწონს ყველაფერი, საკრემის გემოც... და მგონია, ეს ნორმალურია, თუმცა არ ვიცი... ალბათ ის ვარ... როგორ ითქმება? ერთი სიტყვით...

- ნიმიფომანი... - შეახსენა და თან ხელი ძუძუებისკენ აუჭურა.

- ზუსტად. - გოგო მის ხელს დასწვდა და ძველ ადგილზე დააბრუნა.

- იცოდე, რომ ნორმალურია ეს ჩვენს ასაკში... - ამოიხვნეშა რობი და მიკრას

საფარველში ჩააფლო ხელები.

თუ ეს ბოზანდარა გოგო არ შეწყვეტდა მის აღგზნებას; ახლავე გააუპატიურებდა, აქვე, ადგილზე.

- არა, თავი უნდა შევიკავო. ვერდიანამ მითხრა, თუ ღირსების დაბრუნება მინდა, ასე აღარ უნდა გავაგრძელო. ამას მე ვაკეთებ რაღაც კომპენსაციისთვის და რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

- იცოდე, რომ ეს ნორმალურია. - ჩააჯინდა რობიც.

- მაშინ, რატომ არ აკეთებ ვერდიანა ჩემსაკით?

- რატომ და, არავის უნდა ჩაუდოს ისეთ ქალს, რომელსაც პირში კბილების

პროტეზი აქვს. ეს შეიძლება საშიშიც იყოს.

- ვერდიანა არ შეურაცხავო, გთხოვ!

- მაპატიე. შენ ეს პრობლემა არ გაქვს. - მკერდზე ხელი მიირტყა რობი, - ნება

მომეცი, გითხრა, შენ ხარ აბსოლუტურად ჯანმრთელი და ვერდიანას ნუ უსმენ!

- მეტის გაგრძელება ვეღარ შეძლო. - ახლა კი ავიდეთ შენთან, კარგი? რა გეშინია ხელს?

ანჯელამ არ უპასუხა, ცხვირი ზევით ასწია, თვალები მოიფშვინა და სლოკინიც აუვარდა.

- რა იყო, ტირი? აჰა, მოინძინდე! - ქალაღის ცხვირ-სახოცები გამოიღო მანქანის

უჯერიდან და მიანთო.

ანჯელამ გამოართვა, ცხვირი მოიხოცა და თქვა:

- გესმის ახლა, როგორ ვგრძნობ თავს? ყველაფერზე მეტირება. მადლობა, რობი!

ძალიან ლამაზი საღამო გავატარეთ. მადლობა, მართლა. პირველი შემთხვევაა, ნორმალურად რომ ვლაპარაკობ ბიჭთან, რომელმაც ვახშამზე დამპატიყდა. შესანიშნავი ადამიანი ხარ!

კარი გაღო და კისერი წაიგრძელა მის საკოცნელად. ის კი შეეცადა ტუჩებში ეკოცნა, მაგრამ გოგომ თავი სწრაფად აარიდა, ლოყაზე აკოცა მხოლოდ და მიკრადან გადავიდა.

რობი თვალი გააყლო. ის ბინის ეზოსკენ მიემართებოდა. უცებ შეჩერდა...

- ალბათ, რაღაც დაავიწყდა, - გაიფიქრა.

- ამ საღამოს შეუდარებელი იყავი! - მოახსია ანჯელამ.

რობის უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გოგო უკვე აღარ ჩანდა.

აღდო ტერამო, მეტსახელად „ბრტყელტუჩა“, შიშველი ეგდო ლოგინზე თავის ას კილოზე მეტი ქონით. ტელევიზორს უყურებდა, თან ცალი ხელით მორტადელაით გამოტყენილ ბუტყებზე დასწვდა, ცალით კი ასოს ილიზიანებდა. მის ოთახში ვერ შემოპრუნდებოდი, ისეთი არეულობა სუფევდა. კედლები სავსე ჰქონდა მომღერლების ფოტოებით, მაგიდაზე უამრავი ნივთი ეყარა: კომპიუტერის ნაწილები, ზოგი მთელი და ზოგი დაშლილი, მონიტორი, კაბელები, დინამიკები...სანაოლის გვერდით, კუთხეში, როგორც ენყო კომიქსის წიგნები - „ვიპი“, „სკოპი“ და ჟურნალები მოტოციკლისტებისთვის. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს მხოლოდ აკვანტიარაიუმის მკრთალი სინათლე ანათებდა, რომელშიც გულშენუხებული იჯუანა იწვია.

ტელევიზორი ტელეთონის საქველმოქმედო მართონას გადმოსცემდნენ - „ოცდაოთხი საათი კუნთოვანი დისტროფიის წინააღმდეგ“.

აღდოს გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაცემისთვის ბოლომდე ეყურებინა, თუნდაც დილის ათ საათამდე გაგრძელებულიყო. სულ არ აინტერესებდა ეს დაავადება, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი წამყვანი ლორელა კუკარინი მოსწონდა სიციხემდე. მის გაუქმვას ბავშვობიდან ოცნებობდა, ჯერ კიდევ მაშინ, „ფანტასტიკოს“ გამოცემულ გოგონად რომ გამოდიოდა. ახლა კი უკვე მომწონებული და მიმზიდველი ტელენამყვანი გამხდარიყო; და რა თქმა უნდა, გამოცდილებაც მეტი ექნებოდა, რაც უფრო უმძაფრად მასთან სექსის სურვილი. ბრტყელტუჩას აზრით, ლორელა ძლიერი ქალი იყო, იმ რჩეული ქალებიდან ერთ-ერთი, იტალიელთა დედებად რომ ითვლებიან, მაგრამ ლოგინში ისეთები არიან, პორნოსტარებიც რომ ვერ წარმოიდგენენ! აღდოს ოცნება იყო „სკაეოლისი“ სამზარეულოზე გადაწვინა კუკარინი და მაგრად გაეჭიმა.

დაიწყო თუ არა გადაცემა, თვითონაც შეუდგა მასტურბირებას, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ გადაცემის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა და მართონის ბოლომდე ცოცხალს რომ მიეღწია, მასტურბაციის რაოდენობა შეამცირა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოველი მილიარდის შეგროვებაზე ერთი გათავება მოესწრო. ამ დროისთვის 7 მილიარდა და 300 მილიონზე იყვნენ ასული. ასე რომ, შეეძლო ცოტა დაესვენა.

უცებ ტელეფონმა დარეკა. ბრტყელტუჩამ საათს დახედა, ყურმილი აიღო და

მტენარებით ჩასძახა:

- მაგრად გამიტყე შენი დარეკვით, ვილაცა ხარ!
- ალდო, მე ვარ, რობი!..

ბოლოს ალდო ტერამოს დაურეკა.

ანჯელას ნახევარი საათის წინ დაშორებოდა და ახლა ერთ ცუდად განათებულ ქუჩაში იდგა. იმ ბოზის ბინას კარგა ხანს უტრიალა და ვერ გადაწყვიტა, სადარბაზოდან დარეკა თუ არა. იქნებ სახლში წასვლა სჯობდა. ბევრი იფიქრა და სიბრაზე რომ ჩაეცხრო, აქეთ-იქით დაინცო წრიალი წყნარ და ბნელ ქუჩებში, ბაღის კიდეებზე... ბინების ფანჯრებზე ჟალუზები ჩამოშვავთ. ზოგზე წარწერებიანი ფურცლებიც იყო მიკრული, აქეთ-იქით ალაგ-ალაგ ნაგვით სავსე ყუთები იდგა. რობის თავიდან ვერ ამოვლო ანჯელა მილანი. მასთან სექსი პორნოფილმივით წარმოედგინა, რასაც სიციფმდე მიჰყავდა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და სადარბაზოს კარზე მაინც დარეკა ზარი, მაგრამ არავინ უპასუხა. კიდევ სცადა... ისევ უშედეგოდ. მერე გაბრაზდა და კარს ნიხლები მისცხო.

- ჰო, რობი, როგორ ჩაიარა? - ისე ალგზნებით ჰკითხა ბრტყელტუჩამ, თითქოს ჯოვანი სოლდინის ელაპარაკებოდა მსოფლიოს შემოვლის შემდეგ.

- რა? - მიხვდა, რომ არ უნდა დარეკა მისთვის.
- როგორ თუ რა? როგორ ჩაიარა საქმემ ტუმბოსთან?
- სიმართლეს ვეცყვი, მოგუყვები, იმ ჩათლახმა იმედაცრუებული რომ დამტოვა,
- გაიფიქრა რობი. ღრმად ჩაისუნთქა და თქვა: - კარგად, როგორ უნდა ჩაველო?
- ბრტყელტუჩამ სონორას უდაბნოს კოიტივით მართო ყმული, მერე მთის გორილასავით აღრიალდა, ბოლოს კი ცხვარივით დაიწყო კიკინი.
- გაჩერდი! ალდო, გაჩერდი! - ყვიროდა რობი ტელეფონში.

როცა კარგ ხასიათზე იყო, მასაც კი შეეძლო ცხოველების იმიტაცია, მაგრამ ახლა...

- ახლა ჩემი ჯერია. ხვალ მე წავიყვან ვახშამზე. შენ სად დაპატიუ?
- „მაგადინო დელ სალემი“ - ყელში ბურთგაჩხერილივით უპასუხა რობი.
- ვაჰ, ეგ რესტორანი ძვირია! საბატინი „გროტინო ლაციალიში“ წაიყვანა. 30 ათასი დაუჯდა. შენ რამდენი დახარჯე?
- 90. - იცრუა.
- და არა ჭამა ამდენი?!
- არ მასოსვს.
- როგორ არ გახსოვს? შეუძლებელია! ჰა, მითხარი, რა ჩემი ფეხები ჭამა. გაიხსენე!
- ბრტყელტუჩა ისეთი ტიპი იყო, თუ არ უპასუხებდი, რასაც გეკითხებოდა, ყელზე ჩამოგეკიდებოდა.
- ლიგვივინები კრევეტები.
- ჩათლახი! მოსწონს ჭამა ტუმბოს, არა?! საბატინი პიცა კაპრიზოზა აჭამა და

მგონი, ბრუსკეტა არტმოკით. მაგან კი იცის, როგორ მიუდგეს ქალს; და მე სადლა წაიყვანო?! ტიბურტინას ქუჩაზე წაიყვან, იაფი რესტორანია ერთი. იქაც ამზადებენ ბრუსკეტებს. როგორ ფიქრობ, მოეწონება?

- მოტივების ელემენტები მიჰყავდა... შენ რას აკეთებ?
- რობის მეტი ლაპარაკი აღარ უნდოდა.
- ტელეთონს ვუყურებ.
- რაზე?
- კუნთოვანი დისტროფიისთვის აგროვებენ თანხას.
- აჰა... და რატომ უყურებ?
- მნიშვნელოვანი რამაა.

რობის ვერ წარმოედგინა, ალდოს ასეთი ჰუმანური სული თუ ჰქონდა. ერთადერთი დანაშაული, რაც ცხოვე-

რებაში ჩაედინა, პოლიციის მანქანის საბურავების დაჭრა იყო.

- კარგი აბა, მაშინ აღარ გამოგვილი.
- ჰო, უკეთესი იქნება.
- ღამე მშვიდობისა!
- ღამე მშვიდობისა!

ალდომ ყურმილი დადო და ტელევიზორს გახედა. ტაბელი 7 მილიარდსა და 700 მილიონზე ასულყოფი. სასწრაფოდ უნდა გახურებულიყო. მოემზადა, მაგრამ მოულოდნელად ლამის ტელეფურნალის ლამის გამოშვება დაიწყო, აუ, როგორ გატება! - ამოიხვნეშა. - ბუტერბროდს მაინც მოვიშვებ...

ოჯახის წევრებს ეძინათ, ამიტომ ფეხის წვერებით გავიდა სამზარეულოში და სანამ ის პურს ლორითა და მაიონეზით ტენიდა, გამოაცხადეს, კასიას მინდვრებში, შუადღისას, მოკლული ტრანსსექსუალის ცხედარი იოვესო. ეს უკვე მესამე ტრანსსექსუალი იყო ბოლო სამი კვირის განმავლობაში, ვილაც „მზის ქილერის“ მიერ მოკლული. ამ ცხედარსაც, როგორც დანარჩენებს, თვალების ირგვლივ ორი ნითელი მზე ჰქონდა მიხატული.

რობი ვერ შეძლო სახლში დასაძინებლად წასვლა, გაჟღერებით ანჯელაზე ფიქრობდა. თავში სულ ის უტრიალებდა, როგორ გაუკეთებდა ანჯელა მინეტს. რესტორანში რომ არ დაეპატიჟებინა და იმდენი თანხა არ დაეხარჯა, საღამოს ასე ჩაშლას ნამდვილად არ ინანებდა, მაგრამ ახლა...

- საკამისია, წავალ სახლში, მარტო მაინც ვიზამ და დავიძინებ.

მაგნიტოფონი რომ ჩართო, მთელი ხმით გაისმა სუპერტრამპების სიმღერა.

- ცისფერები! - ამოაგდო კასეტა და ფანჯრიდან მოისროლა. ახლა არცების

ძებნა დაიწყო რადიოში. უცებ ხმა დაიჭირა, ჟურნალისტი უკანასკნელ ამბებს გადმოსცემდა: „ლიტვაში ორი მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა; რომის პაპი მექსიკაში იმყოფება; კიდევ ერთი მოკლული ტრანსსექსუალი იოვეს და ამ შემთხვევაშიც „მზის ქილერის“ ხელი ურევია; მოკლულია ასევე ჯულიო პატერნო, 23 წლის, მაჩერატადან“.

რობი აზრზე რომ მოვიდა, მერელა მიხვდა, გზიდან გადაუხვევია და ოლიმპიურ დასახლებაში შესულა. გზის შემულა არაფერი, პრობლემა ის იყო, რომ დიდ არეულობაში მოხვდა. ირგვლივ უამრავი მანქანა მიდი-მოდიოდა, ყველგან მეძაგები გამოფენილიყვენ, კაცები ბოზებს ათვლიერებდნენ...

1960 წელს ოლიმპიადისთვის აშენებული, დაბალ სახლებსა და უამრავ ჩამწკრივებულ ხეს შორის მოქცეული ეს ადგილი, მთელ დედაქალაქში ყველაზე დიდ საროსკოპოდ ქცეულიყო.

- რომელიმე მეძაგს გავაკეთებინებ მინეტს. - გაიფიქრა, მაგრამ რამდენიმე

მიზეზი უშლიდა ხელს: 1) არასდროს ყოფილა ბოზთან. 2) საშუაო იყო... მათ შეიძლება იმდენი ვირუსი ჰქონოდათ სისხლში, რამდენიც, ალბათ, „ფატიგენფერატელის“ საავადმყოფოშიც კი არ არსებობდა. 3) ეს მისთვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი საქციელიც იქნებოდა. ბოზებთან მხოლოდ ბრტყელტუჩას შეეძლო მისვლა. იმ თავისი სიცოცხლოვანი კანონისავით გრძელი ცხოვრით და ორი საბურავივით ჩამოკიდებული ქონით მუცელზე, მეტის ღირსი მაინც არ იყო! რობი კაფანიას კი ასეთი რამეებისთვის ფულის დახარჯვა არ უნდოდა. მისი გარეგნობის პატრონს უკეთესი ეკადრებოდა და მიიღებდა კიდევ: 4) ბოზებში სიარულს შეიძლება ნარკოტიკებით მისწევოდა. მის ბიძას, ანტონიოს, არავითხელ უთქვამს, ერთხელ თუ მიხვალ, სულ მოგიდება და ვეღარ გადაიჩვენვით. და ბოლოს, ფული მაინც აღარ ჰქონდა, მხოლოდ 30 ათასი ლირალა შემორჩენოდა.

- განაგებთ თავი ყველაფერს და ნადი სახლში, სჯობს! - შესძახა საკუთარ თავს.

საკობოში მოხვედრისას მანქანები ისე ნელა-ნელა მიინფინდნენ წინ, თითქოს გზატკეცილი ყოფილიყო გადატვირთული. უკან მიბრუნება გამორიცხული იყო, მაინც ვერ გამოვიდოდა. ვერც მეორე მხარეს შეიძლება გადასვლას, იქაც იგივე მდგომარეობა იყო. მისი ნაი უდი A4 მიდიოდა. საჭესთან შუახნის სერიოზული გამომეტყველების შაფელშაშებიანი მამაკაცი იჯდა, თავზე ცილინდრივით ქუდი ეხურა და მხედველობის სათვალე ეკეთა. მოშორებით ფერადი სინათლეები მოჩანდა, გეგონებოდათ, ბუკონის ფესტივალი გაუმართავთ და დისკოთეკა გაუნათებიათო. დასახლება ზანგების, ტრანსსექსუალების, ჰომოსექსუალების და სლავების ზონებად იყო დაყოფილი.

აი, დაიანა პირველი მათგანიც. ერთი ზანგი ხეს მიყრდნობოდა, ხელში

ცელოფნის პარკი ეჭრა და რონი ოსტინის ჰგავდა სიმალვით, ზოსტონ სელტისის კალათბურთელს.

რობი რასისტი არ იყო, მაგრამ ზანგებს მაინც ვერ იტანდა. წარმოუდგენლად მახინჯები იყვნენ, თანაც საზოგადოებრივად იცავდნენ. ზანგები მხოლოდ სახლის დასაღვავებლად ვარგოდნენ, მეტი არაფერისთვის. იმ გოგონა წინ სხვებიც იდგნენ, ცეცხლოდან ახლოს და როგორც ყოველთვის, ბიჭებს ბავშვებზე მოწყვნილი თვალებით. ზანგებს აბრაზებდათ ის ფაქტი, რომ სექსში განსაკუთრებული პროფესიონალიზმით ვერ დაიტრიალებდნენ. ამიტომ საცებს ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს ისინი რაღაც სპონტანურ სწავლებას იყავნენ და იყენებდნენ მათ. რობი დარწმუნებული იყო, გაფუჭებული საქმეს აქ გამოასწორებდა და 30 ათას ლირად ერთ მინუტს მაინც მიიღებდა, მაგრამ ურჩევნა, მთელი ცხოვრება მასტურბაცია ეკეთებინა, ვიდრე ზანგისთვის ჩაედო პირში.

გზაზე შემწვარი ხორცის ნაცრისფერი ბოლი გაწოლილიყო. იქვე ფურცელიანი მანქანა იდგა, რომლიდანაც ბუტერბრედებს და ცივ სასმელებს ყიდდნენ, გვერდით კი ნაკვერჩხლებზე სოსისებს და კუპატებს წვავდნენ. ასეთ ბურანში რობიმ დავის ქნევით მომავალი ქალღმერთივით ღამაში გოგო დაინახა. სიმაღლე 1,80 მ. იქნებოდა, მოდიოდა და ბოულინგის ბურთებით მრგვალ, ულამაზეს ბუტებს მოაქანავებდა; გზატკეცილივით გრძელი, სწორი ფეხები და საგანის ფერის თმები ჰქონდა; ოქროსფერი ფანქრებით მალაო, წვრილქუსლიანი ფესსაცმელზე ეცვა. ხელში ლიფი ჩაებლუჯა, რომელიც სინათლეზე დისკოთეკის ბრჭყვიალა ბურთით ბრწყინავდა; ტურები კალამაროს რგოლებით დაბურვოდა, თვალებზე კი გვირილებიანი სათვალე ეკეთა. კიდევ ერთი შავკანიანი მოდიოდა, მთლად შიშველი. მხოლოდ ტანზე ეცვა და თავზე პატრულის ქუდი ეხურა, რომლიდანაც მწვანე ნანანავები მოუჩანდა. ხელჯოხიც კი ეჭირა და გზაზე შექმნილ არეულობას არეგულირებდა. ცოტა მოშორებით, ორი გერმანული სირენასავით გოგო ფრისბის თამაშობდა. ერთს კიდევ, ტყავებში ჩაცმულს, ძალღიქვანებოდა თავისკენ.

ისე ეცვათ, ვერ მიხვდებოდი, ქალები იყვნენ თუ ტრანსსექსუალები. რობი წინასწარ წერეთულობდა იმის წარმოდგენაზე, რომ ღამაში, ვნებრივი ქალის ნაცვლად, შეიძლება სიურპრიზად კაცი შეჩერებოდა ხელში. ტრანსსექსუალები რომ წასულიყავი, მისიარო უნდა ყოფილიყავი - მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასო მოჭრილი ჰქონდა თუ არა. ისე, შოუგელ ალესია მარკუციზო ღამაზე და მიმზიდველები კი იყვნენ, მაგრამ მათი სხეულის თითოეულ უჯრედში ყოველთვის იყო რაღაც ისეთი, რაც იმედს გაგიცრუებდა, ანუ საბოლოოდ, მაინც მამაკაცი შეგრჩებოდა ხელში.

ასე არის, იყო და იქნება: კაცს, რომელსაც მეორე კაცთან სექსი აქვს, გვიჭკია.

- ერთი მინუტისთვისაც? - გაიფიქრა რობი.

ალბათ მინუტზე ნაკლებად ითქმნება ასე. ბოლოს და

ბოლოს, პირი პირია და თუ პირით გაგიკეთა ტრანსსექსუალმა, მაინცდამაინც გვირატომ უნდა იყო? მერე კიდევ, ტრანსსექსუალებმა მინუტის გაკეთება ქალებზე კარგად უნდა იცოდნენ, ასოს მათზე უკეთ ვინ იცნობს დაბადებიდან!

უცებ მანქანის ძრავამ ორჯერ დაიფხუკუნა და პანელის ყველა სინათლე აინთო.

- ოჰ, არა! - რობიმ დასაქოქად გასალები გადატრიალა, თან ღმერთს ევედრებოდა,

შველას სთხოვდა, თუმცა უშეძრავად, მანქანა აღარ დაძრულა. კვლავ მოსიწვია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

უკნიდან მანქანებმა სიგნალი ატყეს. იმ ვიწრო ქუჩაზე ერთმანეთისთვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. რობი აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. სარკით გახვდა უკან და დაინახა, როგორ ბრაზოდნენ მძღოლები. საცობი სამას მეტრზე მაინც იქნებოდა გაჭიმული. ის ულავებიანი სერიოზული გამომეტყველების კაცი გიჟივით უსიგნალებდა. ზოგი მანქანიდან გადმოსულიყო და ყვიროდა. ერთი სიტყვით, სამხრელობა იყო.

- გაფუჭდა მანქანა, რა ჩემი ფეხები ექნა? - დაუყვირა ყველას.

ერთმა მრგვალსათვლიანმა და ქერათმიანმა ტიპმა გადმოსძახა:

- განიე მერე, რა ფეხებს უცდი, ლინჩის ნესით გასამართლებას ელოდები?

რობი გინებთ მიაწვა მანქანას. გაუმართლა, რომ მამისის BMW სახლში დატოვა, თორემ პრობლემები მაშინ გენახა! კინაღამ თიაქარი ჩამოუვიდა და არც არავინ მიხმარებია, მისჩერებოდნენ მხოლოდ. პატრულისქუდიანი ტრანსსექსუალი იდგა ამ შუა არეულობაში და თემების ქნევით ეძახდა:

- ნადი, დედიკოს სიღმაზე! მიდი, პუტკუნა!.. ჰო, რაღას უცდი, ნადი, სანამ

პატრული არ მოსულა!

სხვები ბუტერბრედებს ჭამდნენ, თან იცინოდნენ და შიგადაშიგ რობის შესძახებდნენ ხოლმე:

- გადააგდე ეგ მანქანა, გამოცვალე! მიდი, მიაწვი, მოგიხდება, უფრო სპორტული ბიჭი იქნები! - მერე ყველა ერთად აყვირდა: - ერთი, ორი და საა-მი!

მანქანის ფანჯარაზე მიკრული რობი აწვევოდა და თან გულში სიბრაზით იმეორებდა: - თქვე ქათმებო! ცისფერებო! ნაბიჭვებო!

ბოლოს, როგორც ექნა, მოახერხა და მანქანა გვერდზე გასწია, გზა ცოტათი გაათავისუფლა, რითაც სხვებს გახვდის საშუალება მისცა. ოფლში ცურავდა, დაძაბული იყო, თავბრუ ეხმობდა. ახლა რა უნდა ექნა? მანქანას აქ ვერ მიატოვებდა, მთლად მოუსპობდნენ. სამაშველო სამსახურისთვის დაერეკა? სიცილე იქნებოდა. დედამისისთვის დაერეკა? ესეც არ ივარგებდა. ბრტყელტურასთვის? - ჰო!

... და დაურეკა აღდო ტერანოს.

ბრტყელტურამ ისე გახვდა ტელეფონს, თითქოს დიდ ტარაკანს ხედავდა:

- კიდევ რეკავს. რა დაემართა ამ საღამოს?!

მაინცდამაინც საინტერესო მომენტის დროს რეკავდა - 20 მილიონი აკლდა 8 მილიარდის შეესებას. სიტუაცია დაძაბული დაძაბულიყო. ლორელა კუკარინის ტანსაცმელი გამოეცვალა და ლორისფერი მოკლე ქვედაკაბა ჩაეცვა.

აღდო გაჩერდა, ტელეფონს დააშტერდა. ვერ გადაენწყვიტა, დაენყო მასტურბაცია თუ არა. მერე იყვირა: - ვინ ჩემი ფეხებია?! ხალხს ამ დროს რომ სძინავს, არ იცის? ხალხი დღისით მუშაობს, ღამით ისვენებს!

- ბრტყელტურა!

- რობი, ისევე ზნარ?

- ქაქში ვარ ჩავარდნილი.

- რა მოხდა? - თან ტაბელს აკვირდებოდა ტელევი-

ზორში. 16 მილიონი

რჩებოდა მხოლოდ.

- მანქანა გამოფუჭდა და აქ უნდა მოხვიდე.

- სად მანდა?

- ოლიმპიურ დასახლებაში.

- და რა უნდა გაგიკეთო?

12 მილიონი...

- ჩამიბამ და გამათრევ.

- რა ჩემი ფეხებით გაგათრიო?

11 მილიონი...

- მამაშენის მანქანით.

- გარაჟში დგას უკვე.

8 მილიონი...

- შენით? -

- მისინე, მე ჩემსას ვერაფერს გამოვბამ, თორემ შე-
იძლება გასაშლელი დივანივით

გადაიხსნას. ბოდიში, მაგრამ უნდა დაგემშვიდობო.

გადაცემის წამყვანი ტანგათი ცეკვავდა.

- ქაქში ვგორავ.

- ძალიან ეწუხვარ. მართლა. ხვალ დავილაპარაკოთ.

უნდა გაგითხოვ ახლა.

3 მილიონი...

- ნავაგი ხარ, ბრტყელტუჩა!

- ვიცო... - აღდომ დადო ტელეფონი და გაათავა კი-
დეც.

- ახლა? ახლა რა ვქნა? - სასონარკვეთილებამ ჩა-
ვარდა რობი.

მანქანას ლითონის საფარი ახადა. ძრავა მთლად გა-
შავებულიყო, ელექტროკაბელები კი, თითქოს მოჩვენე-
ბამ ამოყარა... იდგა და უყურებდა. - მოესმა ხმა.

რობიმ გვერდზე გაიხედა და გვარიანად გარუჯული
ტრანსსექსუალი დაინახა. ტელენამყვან მარა ვენიერს
ჰგავდა, მაგრამ ეს უფრო ქალური იყო. ტანზე ფრანკესკო
ტოტის მაისური ეცვა, მაღალი ფეხები კი ოცსანტიმეტ-
რამდე ქუსლიან ფეხსაცმელებში ჩადგა, რომლებიც ვერ-
ცხლისფრად უბრწყინავდა.

- ელექტრობის პრობლემა იქნება, - უთხრა ტიპმა. -
აალების სანთლები შეამოწმე,

ზოგჯერ ითიშება და კონტაქტი აღარ ხდება.

- ჰმ, მანქანის მექანიკის მცოდნე გამოცდილი ტრან-
სსექსუალი... მეტი დაცინვა

რალად გინდა! - ჩაილაპარაკა რობი და ზიზლით გა-
ხედა. - მაღლობა, თვითონაც მოვახერხებ, - გამოცრა კბი-
ლებში ისე, რომ მისთვის სახეში არც შეუხედავს.

ტრანსსექსუალი მაშინვე გაჩუმდა.

რობი გაყვანილობას ხელით აწვავდა, თუმცა ნარ-
მოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ექნა.

- მისინე... ნამდვილად აალების სანთლებია, დამი-
ჯერე... - მიუახლოვდა ტრანსი

და ძრავას ხელები დაადო.

- არ მიეკარო, გაიწიე, გაიწიე, გთხოვ! - თავი ძლივს
შეიკავა, ხელი რომ არ ეკრა.

- მამაბჭი, მხოლოდ დახმარება მინდოდა.

- მითხარი, რატომ არ ნახვალ აქედან? დამეხმარე-
მეთი, გთხოვ? რაღაც არა

მეორნია. ნადი, ნადი, იმუშავე! - თავი ასწია რობი.

- გასაგებია... პრობლემებში ჩაფლული ნავაგი ხარ. აქ
რატომ მოხვედი, რას ეძებ,

არც იცი, ალბათ.

რობი ტრანსსიკენ გაიწია, ყელი წაიგრძელა და ჰამ-
ბურგული მამალივით გაიბერა:

- ღმერთ მაღლობა უთხარი, რომ აგრესიული ტიპი
არ ვარ, თორემ!..

იმან კი სახეში შესცინა:

- თორემ რას იზამდი? ტრაკში მიმარჭობდი? თავი ვინ
გგონია?

რობიმ ნერვები ველარ დაიმორჩილა უკვე:

- მე კი არა, შენ თითონ ვინ ხარ? შენითავესიყის შე-
გიხედავს, რას ჰგავხარ,

როგორ დადიხარ ქუჩაში?! ქათამო! ნადი შენი! კარ-
გასაც იზამენ, თუ ყველას ერთიანად ამოგწყვეტენ ამ გზა-
ზე!

- ნავაგო, რომ იცოდე, მე Nissan-ში გმუშაობ! კვერ-
ცსო! - მიადახა ტრანსმა და

გამორდა.

რობი თავჩარგული ისევ ძრავას ჩასჩერებოდა, მაგ-
რამ ველარაფერს ხედავდა სიბრაზისგან. ყველაფერი იმ
ბოზი საველა მილანოს ბრალი იყო. რატომ არ დარჩა სახ-
ლში, ხომ აცდებოდა ამ სიტუაციას!

უცებ შეამჩნია, სარკველი, საიდანაც მავთულები გა-
მოდიოდა, ღია იყო და ცოტა აწეული. ჩაანვა ქვევით და
ჩასმის ხმა გაიგონა. მერე სალონიმ დაფუცა, გასაღები გა-
დაატრიადა და მანქანაც დაიქოქა. მართლა აალების სან-
თლების ბრალი ყოფილა, როგორც ტრანსი ეუბნებოდა.
ჩააგდო პირველ სიჩქარეში, გაუხვია მარჯვნივ, ჩამო-
ტვია საველიმდე მდგარი მანქანები და საერთოდ, ის ქუჩა
მთლიანად.

მარტო ისლა უნდოდა, სახლში მისულიყო, შემძერ-
ლოყო თავის ლოგინში და დაეძინა, მაგრამ ერთი აზრი
მოუვიდა თავში, რომელსაც მოძიებოდა, ცოტათი მაინც
შეემსუბუქებინა დღევანდელი საღამოს დარდი.

- ჰორნოგრაფიულ ფილმს ვიკირავებ, მილიონხაზე-
რინ მინეტებს.

ბრტყელტუჩამ ურჩია ადრე ერთი ფანტასტიკური
ფილმი - „საერმის მჭამელები“. სანტერესო უნდა ყოფი-
ლიყო... ადამიანთა ერთი ტომი, მუტაციის გაურკვეველი
მიზეზის გამო, რომ არ გადაამენებულიყო, მხოლოდ საერ-
მით იკვებებოდა.

- იმედია, ექნებათ ეს ფილმი...

რობი მანქანა ვიდებანკომატთან გააჩერა. გადმო-
ვიდა, საფულედან ბარათი ამოიღო და ის იყო, აპარატი
უნდა შეედო, რომ გზის მეორე მხარეს ერთი მაღალი, გამ-
ხდარი გოგო შენიშნა, რომელსაც მწვანე პიჯაკი და მო-
კლე თეთრი საზაფხულო ქვედაკაბა ეცვა, ფეხებზე კი -
ტყავის მწვანე, ნეგტიანი ჩექმები. გოგო ლამპონის ბოძს
მიყრდნობოდა, სიგარეტს ეწეოდა და თან მკლავებს ის-
რესდა გასათობდა.

- ბოზი იქნება ნამდვილად, - გაიფიქრა რობი. - ლ-
მის სამ საათზე ნორმალური ქალი გზის პირას არ დადევ-
ბა. გზაც კარგად შეურჩევია... მიყრუებული ადგილი...

რობი საფულეში დაიწყო ჩიჩქა, თან გოგოს უთ-
ვალთვალავდა. ისე, ცუდი მართლა არ ეთქმოდა, სიმპა-
თიურად იყო და მისთვის ზედგამოჭრილიც.

- ბოზი რომ არ იყოს? იქნებ ტრანსსექსუალია?

საკმარისი იქნებოდა, მისულიყო და 10 ათასი ლირის
გადახრდედებოდა ეთხოვა, რომ ესევე მიხვდებოდა, ქალი
იყო თუ ტრანსი.

გზა გადაჭრა და გოგოს მიუახლოვდა. მას არც კი შე-
უხედავს რობისთვის, სიცოცხლეს ფეხებს ერთმანეთს უზა-
კუნებდა. ბიჭმა ფული ამოიღო და გაუწოდა.

- ბოდიში, ხომ ვერ დამიშლი? - თავით აპარატისკენ
მიუთითა, მჭირდებოდა.

- არა. - მიიღო ყოველგვარი ემოციისგან დაცლილი
პასუხი.

ტრანსსექსუალი არა, ჩვეულებრივი გოგო იყო და სა-
კამოდ ლამაზიც. იტალიელი არ ჩანდა, თეთრი კანი ჰქონ-
და და სავალიერ წარმოშობა ეტყობოდა. შავი თმის ძირე-
ში ქერად წამოზრდილი თმები მოუჩანდა, დიდი მწვანე
თვლები ჰქონდა, სახე - გამხდარი, ყელი - მაღალი, ლო-
ყებზე კი, სულ ოდნავ, მუწუკების კვალს ეტყობოდა.

ერთი სიტყვით, რობისთვის ცუდი არ იყო.

- მაღლობა! - მეტის თქმა ვერ მოახერხა რობი.

აბა, რამდენს აიღებო, ხომ ვერ ჰკითხავდა! გამბე-
დაობა მაინც არ ეყოფოდა. მობრუნდა და მანქანისკენ

წავიდა.

- სიგარეტზე გაქვს? - მოესმა უკნიდან ხმა.
რობიმ გაიღიმა, გამოხედა და მხრები აიჩეხა: - არ ვე-
წევი, ვწუხვარ.
- ალარავინ ენევა უკვე. - მანაც აიჩეხა მხრები.
იტალიურად ლაპარაკობდა, მაგრამ უცხო და გაუგე-
ბარი აქცენტით.
- მართალია... - და ლაპარაკი რომ გაეგრძელებინა,
თქვა: - ცუდი იქნება მათთვის,
ვინც ენევა, წარმოიშობება...
გოგომ ძირს დააგდო სალექი რეზინი და ფეხით გას-
რისა.
- არა უნდა უყურო? - ჰკითხა სხვათა შორის.
- რა? ვერ გავიგე. - რას გულისხმობს ნეტა?
- რომელი ფილმი გინდა რომ ნახო?
- „გლადიატორი“, - უპასუხა, მაგრამ გულში კი გაი-
ფიქრა: - რაში აინტერესებს,
მეტად მაინც აღარ შეგხვდები, და!
- პორნოგრაფიული ფილმი? - ნამოვიდა გოგო რო-
ბისკენ.
- არა, მინდოდა ამელო ერთი...
- ეკრანზე ნახვას, არ გირჩევნია პირდაპირ შენ გააკე-
ო? - მიუახლოვდა და ცბიერი
ღიმილით თვალებში ჩახედა.
- ჰო... რა თქმა უნდა...
- მაშინ ნუ გადაყრი ფულს. მე გაგართობ შენ.
- და რამდენი გინდა?
- ასი?... ყოყმანით უთხრა გოგომ.
რობიმ თავი გაუქნია უარის ნიშნად.
- ორმოცდაათი?
- ბევრია.
- იცოდე, რომ ჩემთან ყველაფრის გაკეთება შეგიძ-
ლია, რასაც პორნოგრაფიულ
ფილმებში აკეთებენ. შენ რამდენს გადაიხდიდი?
- მე მთლად გაჭირვებული უნდა იყოს. - გაიფიქრა
რობი.
საოცარია, ასეთი ლამაზი გოგო... რაც უფრო აკვირ-
დებოდა, მით უფრო მოსწონდა. ქვედაკბიდან გრძელი,
ლამაზი, ათლექტური ფეხები მოუჩანდა. მართალია, ტრას
ვერ ხედავდა, მიჯაჭრი უფარავდა, მაგრამ დარწმუნებული
იყო, მოეწონებოდა.
- მისმინე, მე მხოლოდ 30 ათასი ლირა მაქვს. ვიცი,
ცოტაა, მაგრამ მეტი აღარ
დამრჩია. მე... - ლულულულებდა რობი, - არ მინდა ყვე-
ლაფრის გაკეთება... მხოლოდ
მინეტი მინდა, მეტი არაფერი. მეტს არა ვითხოვ. - და-
იხია უკან და თავი მანქანაში დასადგომ სათამაშო ძაღლი-
ვით გადააქნია. - სახიზლარი საღამო მქონდა. 120 ათასი
ლირა დავახარჯე ერთ ჩათლახს რესტორანში. მეგობრებ-
მა მითხრეს, მინეტს გავიკეთებო, მაგრამ კარგად ჭამა,
სვა და ბოლოს არაფერიც არ გამიკეთა. შენ კი იმას სილა-
მებით ათასჯერ სჯობიხარ. ისე, ცოტას ხომ ვერ დამიკ-
ლებდი? მიდი, შა, ერისხელ კი შეგიძლია დაკლება. თუ გინ-
და, დარჩენილ თანხას სვალ მოგიტანს.
გოგოს გაეღიმა. თეთრი, ჩანჩიკიკებული კბილები
ჰქონდა, თხელი, სექსუალური ტუჩებით გარშემოვლებუ-
ლი.
- მე ამ დამგომარეობაში სახლში ვერ დავბრუნდები.
ვინმე მინეტს უნდა
გამიკეთოს, თორემ ვერ გავიკეთებო! - გამწარებულმა რო-
ბიმ სახეზე აიფარა ხელები.
- მოკლედ, პირდაპირ სასონარკვეთილებში ხარ ჩა-
ვარდნილი!
- კი. რომ შემეძლოს, თავად გავიკეთებდი, მაგრამ არ
შემიძლია.
- კარგი, ამ საღამოს კეთილი ვარ, ოცდაათად გავიკე-
თებ.
ბიჭმა სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო:

- არ მჯერა. მართლა? დიდი მადლობა მართლა რა
კეთილი ხარ! ისე, არ
ინერვიულო, როგორც კი გავათავებ, მაშინვე წავალ.
- წავიდეთ? - ხელი გაუწოდა გოგომ.
- სად?
- ჩემთან ნავიყვან.
- კი მაგრამ, მანქანაში არ ივარგებს?
- რას ამბობ, გავიჟი? ტელევიზორს არ უყურებ?
- მერე?
- არ გავიგონია, ერთი გიჟი რომ დადის და ხალხს
კლავს? შენ რა, სიკვდილი
გინდა?
- ჰო, მართლა! - რობის „მზის ქილერი“ გაახსენდა,
მაგრამ ასეთთან სახლში წასვლა ნაკლებად საშიში იქნე-
ბოდა? არ ვიცი...
- დამშვიდდი. აქვე ვცხოვრობ. ისე, თუ არ გინდა, ნაი-
ლე ვიდუიკასება და სახლში
უყურე, თან წარმოიდგინე, როგორ გავიკეთებდი მი-
ნეტს.
უარის თქმა აღარ გამოდიოდა. ულამაზესი გოგო იყო,
თანაც თავაზიანი. ეს შანსი რომ დაეკარგა, ნახევარი ნე-
ლი მაინც დაიჭამდა ხელებს სინანულისგან.
- შორს არის შენი სახლი?
- აქედან ხუთი წუთის სავალზეა.
ნაგავსაყრელის გორაკიდან დაეშენენ. გზის ორივე
მხარეს ნაგავი ეყარა. რობის, მიუხედავად იმისა, რომ ამ
ზონაში ცხოვრობდა და ხშირად მოდიოდა აქ ვიდუიკასე-
ტების გამოსატანად, არასოდეს შეუმჩნევია პარკის უკა-
ნა მხრიდან რკინიგზისკენ ჩამავალი გზა. გოგოს ფანარი
ეჭირა ხელში და ოდნავ ახერხებდა ჩაბნელებული ადგი-
ლის განათებას. გზა ბოლოსკენ ატალახებული იყო და
რობი იძულებული გახდა, ბუჩქების ტოტებზე ჩაჭიდე-
ბულს ევლო. მოკასინები ეცვა და გასრიალება არ ასცდე-
ბოდა.
- კიდევ ბევრი დარჩა? - უკვე მერამდენედ ჰკითხა
გოგოს.
- ცოტა. შენ არ ყოფილხარ ლომი. ეჰ!..
- ჰო, არა... ესაა, რომ... - ველარც დაამთავრა წინადა-
დება, ფეხი ტალახში
გაუსრიალა. - ჯანდაბა, წავიქეცი!
- შა, ადექი, მიდი! - ხელი გაუწოდა გოგომ.
- შარვალი სულ დაესვრა, მისი საყვარელი შარვალი,
ნაციონალეს ქუჩაზე რომ
იყიდა, „კოლბის“ მაღაზიაში.
- რა დანაყველილი დღეა!..
როგორც იქნა, დაღმართი ჩაიარეს და რკინიგზიდან
ორი მეტრის დაშორებით აღმოჩნდნენ. მარცხენა მხარეს
გვირაბი ჩანდა. ორი პატარა მწვანე სინათლე ძლივს ახა-
თებდა ლიანდაგებს.
- ახლა?
- აქეთ.
დაჟანგული მავთულის ლოტეს მიადგნენ. ათი მეტრი
გაიარეს და წრიულად გაფენილ სარეცხში აღმოჩნდნენ.
გოგომ კატის სიმკვრივით გაიბრინა ეს ადგილი, რობი
კი ბეჭემოთივით ძლივს მიიზღაზნებოდა. ჩავიდნენ ხის
დაზიანებულ კიბეზე და რკინიგზაზე გადავიდნენ. მეორე
მხარეს, დაფნის ხეებს შორის, პატარა გზა იწყებოდა. ირ-
გვლივ ნავით სავსე ცელოფნის პარკები, ბოთლები და
დამწვარი საბურავები ქყარა.
- აი, მოვედით. - თქვა გოგომ.
რობი ხის ტოტი გადასწია და ბოშების დასახლება
დაინახა, რომელსაც ირგვლივ ტყე ეკრა. ავტომაქანის მი-
საბმელი ფურგონები, ძველი მერსედესები, მეტალის ფირ-
ფიტის ბარაკები... რამდენიმე ადგილას დანთხულ
ცეცხლთან ადამიანთა მუქი ფიგურები მოჩანდა. იქვე იდ-
გა საქათმეებიც. ნაწილებად ქცეულ ფიატ 500-თან ორი
თხა მიებათ.

რობი ერთ ადგილას გაიყინა, მიხვდა, მაგრამ მიქარა, აქ რომ მოვიდა. გოგომ სახეში ფანარი მიანათა.

- რა იყო, გემინია?

- განიე, თვალეებში ნუ მანათებ. არა, არ მეშინია.

- აბა, ნამოდი.

გასაკვირი იყო, მაგრამ მან ეს ადგილი არ იცოდა. არც სხვა მხრიდან მოჩანდა, რადგან ტყე მწვანე ცხვირსახოცით ფარავდა ყველაფერს. აქაურობას რალაც ძველებური იერი დაჰკრავდა, თითქმის შუასუკუნეებში გადავარდით.

- ლამაზია აქ, არა?

- ძალიან. - თქვა რობი, მაგრამ გული ძლიერ უცემდა და პირიც გაშრობდა.

გოგო იმ შავ ფიგურებს ხელის აწევით მიესალმა. მანაც იგივე გააკეთა, თან იგრძნო, როგორ დააკვირდნენ. გრძნობდა, როგორ აკვირდებოდნენ.

ბოლოს ერთ ფურგონთან შეჩერდნენ, რომელიც საბურავების ნაცვლად აგურებზე იდგა. ფურგონისთვის წინა მხრიდან ლამინატის ფირფიტებით მოპირკეთებული ხის აივნად მიედგათ. სიგრძეზე ჩამსკრივებულ ქოთინებად ქცეულ ზეთის კოლოფებში ბალბები და პამიდვრები ჩაერგოთ. იქვე ძაღლი იყო მიბმული, რომელმაც პატრონის დახახვარე წკმუტუნად დაიწყა.

- სილვო, დანყნარდი! - უთხრა გოგომ და ძაღლიც ფურგონის ქვეშ ჩაყურდა. -

ესეც ჩემი სახლი! - ამოიღო გასაღები, გააღო კარი და რობის ხელით ანიშნა, შესულიყო.

- ლამაზია... - მოათვალერა ბიჭმა იქაურობა.

მართლაც სასიამოვნო გარემო იყო: ერთ მხარეს საწოლი იდგა, ზევიდან დანყობილი ლამაზი, ფერადი ბალიშები. განათებული აბაჟურის ირგვლივ სითბო დამდგარიყო. დიდ სარკეზე მძივები, კრიალოსნები და ქანქარები ეკიდა, ხოლო ჩარჩოში ძველი ფოტოები და ბარათები იყო ჩამაგებული. ფანჯრებს დაქარგული ფარდები ფარავდა, ერთ რაფაზე ძველი სტერეოც იდო. კუთხეში პატარა გაზქურა იდგა და მასთან ახლოს, ონკანთან, გასაშრობად ჩამსკრივებული მწვანე ბოკალები ეწყო; ვაშლის კრემიანი ნამცხვარული კი დაიბახა ბიჭმა. ერთი მოტლანდიური სტილის პლედდაფარებული ძველი დივანიც იდგა, რომელზეც დიდ, შავ-თეთრ სპარსულ კაბას ეძინა. პატარა მაგიდა მინდვრის ყვავილებიანი ლარნაკი ამშვენებდა. კუთხეში, ვარდისფრად შეღებულ ტელევიზორთან, გიტარაც მოჩანდა. იატაკზე ბორდოსფერი მოკეტი ეგო, ზედ კი გაცვეთილი ფარდაგი ეფინა.

- სასიამოვნო გარემოა ნამდვილად. - თქვა რობი და ოთახს ისევ მოაღწეოთ თვალს.

- ჩაი გინდა? - გოგომ ჩაიდან დადგა გაზქურაზე და კასეტა აიღო. - მოგონს მუსიკა?

რობი თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გაისმა ვიოლინოთი და გუდასტყირით შესრულებული მხიარული მელოდია.

- ჩემი ქვეყნის მელოდიაა. - თქვა გოგომ და პიჯაკი გაიძრო. მივინთ შავი, გრძელკლავებიანი მაისური და მამაკაცის ჟილეტი ეცვა. - მე ვაიხიდი...

რობი ფეხზე იდგა და გამტყერებული უყურებდა ამ სანახაობას.

გოგომ მაისური გაიძრო. თეთრი, უბრალო და სადა ლიფი ეცვა. ისე უცებ გაიხადა, ნამიკ არ დაუყოვნებია. ლამაზი მკერდი ჰქონდა, არც ისე პატარა. მუქი ფერის ძუღუსთაბები კოხტად აზუგეოდა. ქვედაკაბა და საცვალეც თვალის დახამხამებაში გაიძრო და რობის წინ დაუდგა. ლამაზი, სრულყოფილი სხეული ჰქონდა, გამზდარი, მაგრამ სასიამოვნო ბორცვებით, მუცელი - ბრტყელი და კუნთოვანი, ბოქვენზე - ყავისფერი თმის ხაზი, ღუნდულები - მკერდით და აწეული.

რობის თავბრუ დაეხვა, მთელი ცხოვრების მანძილზე ასეთი აღნაგობა მხოლოდ „ექსპრესის“ ყდაზე თუ ენახა.

გოგომ ჩაი დაასხა.

- რას შერები, არ იხიდი?

- ჰო, მართლა! - ტანსაცმელი თითქმის შემოივლიჯა ტანზე.

- შენ ლოგინში შეძვერი, მე კი ჩაის მოგიტან.

რობის განმეორება აღარ დასტურებია, უცებ ნამოგორად საწოლზე.

გარეთ ვიოლინო უკრავდა და ბოშები ნაღვლიან სიმღერას მღეროდნენ.

გოგომ სინათლე ჩააქრო. ფურგონში ჩამობნელდა. მხოლოდ გარეთ დანთებული ცეცხლის შუქი შემოდინდა პატარა ფანჯრიდან. რობი მისკენ ნამოსული გოგო დაინახა. ხელში ლანგარი ეჭირა და ზედ ჩაის ფინჯნები ეწყო. სიბნელებში მისი ლამაზი მკერდის მოხაზულობა მოჩანდა. რობი იგრძნო, ასო როგორ გაუმჯავდა. გოგომ ლანგარი ძირს დადო და საწოლზე ჩამოუჯდა.

- როგორ არის „ბედნიერების ლერძი“?

- არა უშავს. - ხელი მაჯაში მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა.

- მოიცა. - ქალმა სიგარეტი ჩააქრო და ფეხზე მოეფერა.

რობის მისი ხელის შეხებით მუცლის კუნთები შეეკუმშა, ღრმად ამოსუნთქა და თავი უკან გადააგდო. უცებ ისეთი განცდა დაეფუტა, თითქმის ვიღაც აკვირდებოდა. ფანჯრისკენ მიიხედა და ელდა ეცა: მამაკაცის ჯანიანი ფიგურა ველური გამოხედვით თვალს არ აშორებდა. პაროდისტტ ფრანკო ნეროს ჩამოჰგავდა, სინამდვილეში კი ჯანგო იყო.

იმის დრო არც კი მიეცა რობის, კარგად რომ დაჰკვირვებოდა, გაჰკვირვებოდა, ყვევრა, ნამოწეულიყო, განძრეულიყო ან რამე სხვა მოემოქმედა. ღორის ბარძაყით მსხვილი მკლავი ყურის არეში დაეტაკა და ფანჯრიდან წარმოუდგენელი სისწრაფით გადაათრია. რობი მაშველი აღმოჩნდა ტალახში. უნდოდა ადამგარიყო, მაგრამ მინაზე ტრაკანივით დაანარცხეს. გოლიათი ერთიანად თმიანი იყო. ღომის ფაფარივით ქერა თმები მხრებზე ეყარა, მუქი ფერის ვაშლილი ნეერი ქანკებად შეუფარდა სახეს, ყელზე ვერცხლის თავის ქალა ეკიდა, ტანზე მარგალიტებით მოქარგული ტყავის ჟილეტი ეცვა და ხელში თოფი ეჭირა, რომლის კონდახიც უამრავი მარგალიტით იყო შემკული.

- შენ ვინ ფეხები ხარ? ჩემს ცოლს ჟიმავე, ნაგავო, ჩემს სახლში? ახლა მოკვდები! -

ჯანგომ მუხლზე მიაღო იარაღი.

რობი, ალბინოს ტრიტონივით აცახცახებულმა, თვალზე დახუჭა და მის ჩქემაზე დაიწყო რწყევა. სროლის ხმას ელოდებოდა, მაგრამ უცებ ქალის ყვირილი გაიგონა:

- Cjenik usluga u domacinstvu! ახლა გაიგებ, რას ნიშნავს სახლში დაბრუნება და იმის

ნახვა, როგორ გლალატობენ. ისწავლი ჭუას, ბოზიშვილო! შენ გამო გააკეთე ეს, შენც უნდა იგრძნო იგივე!

რობი მინაზე სახით იყო დაკრული და ჩუმქმად, თვალის კუთხიდან ხედავდა, მიშველი გოგო, როგორ ურტყამდა კოცხის ტარს თავში და წელზე სლავ მონსტრს.

- არ არის ლამაზი, არა? აი, შენ! აი, შენ! ხედავ? მე-

ზიზივდი! შენ რომ ჟიმავედი

ყველას?! - მარიჟა, რთეკა, ვიზივიკა... მეზიზივდი, ღორი!

ჯანგოს ცალი ფეხი რობიზე ჰქონდა დაჭერილი, გოგო კი გაუჩერებლად ურტყამდა. ბოლოს იძულებული გახდა, ტყვე გაეშვა, რომ თავი უკეთ დაეცვა. რობიმაც დრო იხელთა და ფურგონის ქვეშ შეძვრა, ტალახში. ურჩხულმა გოგოს ცოცხის ტარი გამოისტაცა, დალენა და შორს, რამდენიმე მეტრის იქით ამოსროლა. მერე ისე დაიდმუშლა დაჭრილი დათვით, რომ თვალები ნევრებში ჩაეყარა: - Povokava!

გადახტა, ფურგონს ხელები სტაცა და მისი ამოტრიალება მოინდომა. რობი ყვირილით მიხიხავდა მინაზე:

შეებისთვის სასრილო, საქანელები და სკამები იყო და-
მონტაჟებული.

- გადავრჩი! სამშვიდობოს ვარ!

სულ ახლოს, სადღაც იქვე გამავალ გზატკეცილზე,
მაცანები დაქროდნენ. ეს ადგილი მისი სახლიდან შორს არ
უნდა ყოფილიყო. ის იყო, გზაზე გასვლა დააპირა, რომ
მოულოდნელად ყვირილი შემოესმა:

- Ostar preda odlegadi! Ostar! - ჯანგო იყო სხვებთან
ერთად. დაინახეს.

რობი კოჭლობით გაიქცა. საბედნიეროდ, მისკენ მო-
მავალი ძველი მერსედესი შენიშნა. შუა გზაზე დადგა და
ხელები გამალა. მანქანა მისგან ოცი მეტრის დამორებით
გაჩერდა. რობი ჯერ ღმერთს მადლობა გადაუხადა, მე-
რე უკანა კარი გამოიღო და შიგ თევზით შესრიალდა.

„ჰაერი... ჰაერი... შენზე სურვილი დიდია და ძლიერი...
კეირა. ნეტავ რას აკეთებ?.. მსურხარ ძალიან...“ - მღე-
როდა მარჩელა ბელა მაგნიტოფონში.

- მადლობა, მადლობა! თქვენ მე სიკვდილს გადამარ-
ჩინეთ. ჩემი მოკვლა

უნდოდათ, - ამბობდა რობი და თან მანქანის სარკეში
ხედავდა, როგორ ეფარებოდნენ თვალს ჯანგო და მისი
თანამებრძოლები. - არ ვიცი, როგორ... - უცებ, ენა ჩაუ-
ვარდა, მანქანაში სამი უზომოდ მსუქანი კაცი იჯდა - თმე-
ბი ყველას გადაპარსული ჰქონდა. საზამთროსავით მსხვი-
ლი და მრგვალი თავები პირდაპირ მხრებზე მიხრახნო-
დათ, პატარა და უმეტყველო თავლები ტორტორას კვერ-
ცხებს მოუგავდათ, სველი ტუჩებიდან დორბლი სდიოდათ
და პირში მიღრეცილ-მოღრეცილი კბოლები მოუჩანდათ.
სამივეს სერჯო ტაკინის ცისფერი სამუშაო უნიფორმა
ეცვა და შიგნით - თეთრი მაისურები წარწერილი: „ტყუე-
ბი ფრანკესკინები. მეთანის გამაცხელებლების დამონტა-
ჟება და შეკეთება“. მაჯებზე საპნისხელა ოქროს საათები
და უნიტაჟის წყლის აგვის ჩამოსაქაჩი ჯაჭვის მსგავსი
სამაჯურები ეკეთათ. რობის დანახვაზე სიცილი აუტყდათ.

ჯანგო და მისიანები მათთან შედარებით უფრო ნორ-
მალურები ეჩვენა. რობის გვერდით მჯდომი იმხელა იყო,
შეედო და დამოულოდნელად იგივეს კარდა მთლიანად გადაეყლა-
პა და აწყობილი, კარჩამობული მოესაქმებინა.

- იგი, ეს აყროლებული სუნი ლეშე უარესია, მარ-
წყევიგებს! - თქვა ტულიომ, რომელიც წინ იჯდა. ცხვირი
აიბზუა და ფანჯარა ჩასწია.

- ეს სუნი მთელ მანქანას ამიყროლებს. არადა, დღეს
გავრცეზე. ჰკითხე

ერთი, მკვდრებთან ერთად იბანს? ზიზლისგან თავი
გააქნია საჭესთან მჯდომმა ივომ.

ტულიომ პისტოლეტი დააძრო და რობის სახეზე მია-
ჭირა.

- ისე, ტრანსსექსუალის კვალბაზე, დიდი ვერაფერი
შეილი ჩანხარ. რა ჩემ ფეხებს

აკეთებ ჟიმბაბვის წინ? კანალიზაციის წყლით იბან?
ახალი მეთოდი, რომ შეგამჩნიონ, თუ რა?

ტრანსსექსუალი გვანათ.

რობის პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამო-
იღო, თითქოს მორჩილს ეკბინა მისთვის ენაზე და გაეშ-
ვებინა. მხოლოდ რაღაც ჩაილულულა უაზროდ.

- ვერაფერი გავიგე, უცხოელი უნდა იყოს, - თქვა ტუ-
ლიომ და ახლა დამარცვლით

მიმართა:

- უ-ცხო-ე-ლი ხარ?

- ჩემი აზრით, პროფესიონალიზმი ჟიმბაბასაც სჭირ-
დება. შეხედეთ

ერთი, წვერიც კი არ გაუპარსავს! მკერდზეც რამხე-
ლა ბალანი აქვს! - თქვა ივომ და მანქანის სარკიდან დააკ-
ვირდა რობის.

- ტრანსსექსუალი მკერდზე ბალნით იგივეა, რაც ზან-
გი - ფერარით. რაღაც არ
ენყობა ერთმანეთს. - ჩაერია ლაპარაკში რობის გვერ-

დით მჯდომი. მერე შარვლის ჯიბიდან პისტოლეტი ამო-
იღო და ლუღლით კაბა აუწია, - ჩიტეც ჰქონია, როგორც პატარა.

რობი შიშისგან კბილს კბილზე აცემინებდა, უნდოდა
რაღაც ეთქვა, თავი დაეცვა, მაგრამ ხმა აუწყობელი ვიო-
ლინოსავით უთრთოდა.

- იცოდეთ, რომ ცდებით. მე არ ვარ ტრანსსექსუალი.
მე ნორმალური ვარ. ვიღაც

გიჟების ჯგუფი მოსაკლავად მომდევდა. ეს ტანსაც-
მელი იმიტომ ჩაიცვი, რომ ჩემი მომპარეს.

- მაშინ გაგმართლებია ჩვენი გამოჩენით. - თქვა ივომ
და ისე ახითხიდა, თითქოს

მსოფლიოში ყველაზე სასაცილო რამეს ამბობდა.
მარჩელა ბელა კი თავის სიმღერას აგრძელებდა...

- დამიჯერეთ, არ ვარ ტრანსსექსუალი, ღმერთს გე-
ფიცებით, თქვენ

ცდებით. მე მეზიზღება ისინი. მკვდარი მინდა ვნახო
ყველა.

- მო, როგორც მე ვერ ვიტან ტორტს და ტკბილეულს!
- ჩაიცინა ტულიომ.

სამივე სიცოცხლით კვდებოდა, თან იდაყვებს ურტყამ-
დნენ ერთმანეთს.

შუქნიშანთან რომ შეჩერდნენ, რობი არც კი დაფიქ-
რებულა, სახელურს ეცა, გამოსწია, მაგრამ კარი ჩაკეტი-
ლი დახვდა.

- მე ჩაკეტიტ ცუდი ბავშვებისთვის, გაქცევა რომ არ
სცადონ. - ჩაიქირქილა ივომ და

უკან მჯდომს ჰკითხა: - ავეუ, რა ვუყოთ ამას?
ავეუსტო ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა:

- არ ვიცი, ჯერ გაჟიმვა სჯობს და მერე მოკვლა თუ
პირიქით?

მუსიკა რომ დამთავრდა, რობის უკნიდან ყრუ ხმები
მოესმა, მერე - ბრახუნი გაიგონა.

- ვიღაც არის საბარგულში. - გაიფიქრა.

- აუუ!... აღარ ჩერდება, რა! რა გამძლეობა აქვს ასე-
თი?! ავეუ, შენ უთხარი რამე, რა! -

იყვირა ტულიომ.

ავეუსტომ პისტოლეტის ტარი დასცხო სავარძლს
საზურგეს.

- მოკეტე, ნუ გაგვიხურე საქმე!

- დანგარტი სად დაარტყი? - ჰკითხა ივომ.

- სად დავარტყი და სახეში.

- ხედავ, სულ ცდებით! ნიკაპის მარჯვენა მხარეს უნდა
გეღენა, ასე ყბასაც კარგად

ამოუგდებდი და აღარც იყვირებდა.

- თუ კარგად გაიხსენებ, შენ თვითონ მითხარი, სახე-
ში ხეო. შენ ბრძანებ და

მე ვასრულებ.

- რა ყლეობას ამბობ?!
რობი ახლად მიხვდა, რომ სამივენი „მზის ქილერე-
ბი“ იყვნენ და შიშისგან ჩაეფსა. სპიდომეტრს დააკვრდა,
საათში 180 კმ სიჩქარით მიქროდნენ. წინ დიდი მოსახვეზე
იყო. შეეცადა ჩაფსმული დაგლი კაბით მოემშრალეზნა,
რადგან რომ გაეგოთ, ნამდვილად არ აპატიებდნენ.

- ავეუ, შენს მძას უნდა დაუფერო, გესმის?! რამდენ-
ჯერ უნდა გითხრა?!

- რომელი სიმღერა ჩავრთო? - ტულიომ დისკების
კლასიფიკატორი ამოიღო.


- მორჩი ახლა და ისე მოიქეცი, როგორც მასპინძელს
შეეფერება, და ჰკითხე შენს

ახლად შეძენილ მეგობარს, რომელი სიმღერის მოს-
მენა ურჩევნია. - თქვა ივომ და პონტინას ქუჩისკენ გაუშ-
ვია.

- ამით გავიგებთ, ცისფერია თუ არა. მუსიკით ამის
გარკვევა ადვილია.

საუკეთესო გამოცდა იქნება. - დაამატა ავეუსტომ და
პისტოლეტი მიაღო რობის ნიკაპზე.

- რა მუსიკა მოგწონს?



- არ ვარ ცისფერი. მე ქალები მომწონს და არა კაცები.

- რა მუსიკა მოგწონს-მეთქი!

- გეფიცებით... მე კაცები...

ავგუსტომ პისტოლეტის ტარი ყბაში ჩაარტყა. რობის პირი სისხლით ავესო და რამდენიმე კბილიც გადმოაფურთხა.

- ხომ ხედავ, სულ სახეში რომ ურტყამ?! მართალი ვიყავი თუ არა?! - უყვირა ივომ.

ავგუსტომ ისევ ამოიფრუტუნა:

- არ ვაკეთებ ძალით. ასე გამომდის, ბუნებრივად...

რობი ისე იყო დამფრთხალი, ვერც კი იგებდა კითხვას. თან ცალ ხელს პირზე იფარებდა.

ავგუსტომ პისტოლეტი შემართა და საფეთქელზე მიჰქირა:

- რა მუსიკა მოგწონს?! ხუთი წამი გაქვს დრო პასუხისთვის. ერთი...

სწორად რომ არ ეპასუხა, ტყვია თავს გაუზვრეტდა. კარგად უნდა ეფიქრა, რომელი იყო ცისფერების მუსიკა.

- ორი...

ცდილობდა, მომღერლების სახელები გაეხსენებინა, მაგრამ გონება სრულიად დახშოდა.

- სამი...

თითქოს მუსიკა არც კი მოესმინა მთელი ცხოვრების მანძილზე, აღარაფერი ახსოვდა.

- ჰა, თქვი ახლა! შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა კი არ უკითხავს ვინმეს. უპასუხე, თორემ მოგკლავს! - ჩაიხიხითია ივომ.

- ოთხი...

- სუპერ... სუპერტრამპი... - ჩაილუღლულა.

სამივე ახარხარდა.

- არა, სუპერტრამპი არა, მეტალიკა! - იყვირა რობიმ.

- სუპერტრამპები! სუპერტრამპები? ეგენი ყველაზე ცისფერები არიან. - მოიწმინდა ივომ ცრემლები.

- და იმათზეც... რა ჰქვიათ? ისინი, ინდიელებივით, პოლიციელებივით და მექანიკოსებივით რომ იცვამდნენ. რა ჩემი ფეხები ჰქვიათ? მითხარით, რა ჯანდაბა ჰქვიათ?

- Village People. ტფუ, რა ნაგავი გეები არიან!

- მე მეტალიკა ვთქვი.

ივომ მოულოდნელად გადაუხვია და გზის პირას ისე დაამხრუჭა, რომ გარშემო მტვრის ბული დააყენა, მერე რობის მიუბრუნდა:

- ახლა კარგად მომისმინე: პირველი - თამაშის დროს რასაც უცებ იტყვი, პასუხადაც ის ჩაითვლება! მეორე - ტრანსსექსუალი ხარ და არაფრად ვარგებარ! მესამე - სუპერტრამპები ცისფერები არიან! მეოთხე - ჩათვრიე ახლავე მანქანიდან!

დაჩოქილი რობი ტიროდა. მავთულთ მიებათ მისთვის ნელზე მაჯები. დაახლოებით, 30 მეტრის მოშორებით დამუშავებული მიწა მოჩანდა... მთვარე იქაურობას ყვითელ ზოლებად ანათებდა...

სამი ტყუპი რობის წინ იდგა. სამივეს პისტოლეტი ეჭირა ხელში.

- ახლა შენ ყველას მინეტი უნდა გაგვიკეთო. იცოდე, კარგად იმუშავე, არაფერია ცუდად გაკეთებულ მინეტზე უარესი! - უბრძანა რობის ავგუსტომ.

ივომ წინ წამოიწია. ის იყო, შარვალი უნდა ჩაენია, რომ სროლის ხმა გაისმა. ივო ძირს დავარდა და შუბლზე ერთი ნითელი ნახვრეტი დააჩნდა. მის ორ ძმასაც არ მიეცა დრო. ისინიც გახვრეტილი თავებით დავარდნენ. რობი მოტრიალდა და დაინახა, ასე, ხუთ მეტრში, კაცი იდგა. მოტოციკლისტის ჩაფხუტი ეხურა და ისფერი ტანსაცმელი ეცვა, ნითელი, სადა მოსასხამით მხრებზე. კაცმა ჩაბერა პისტოლეტის ლულას და საჩვენებელი თითი გამოჰკრა.

- ვინ ხარ? სუპერმენი? - ამოიკენესა რობიმ.

ბრტყელტუჩას ეძინა, ხროტინებდა. მართონის შემდეგ ძალა გამოლოვდა და ლოგინზე მიგდებულიყო.

ტაბელი 20 მილიარდზე აჩვენებდა. ლორელა კუკარინიმ, ხუთი წუთი ტელეჟურნალის სპეციალურ გადაცემას უნდა დავუთმოთო.

გამოშვების მუსიკა ჩაირთო...

აღელვებულმა ჟურნალისტმა გამოაცხადა, რომ იმ საშინელ ღამეს კიდევ ერთი მკვლელობა მომხდარიყო - პონტინას ქუჩაზე სამ ტყუპ გვამთან ერთად ერთი ტრანსსექსუალის ჯერ კიდევ ამოუცნობი გვამი ეპოვათ.

მკვლელობის ადგილზე გადაღებული სიუჟეტიც აჩვენებს.

ბრტყელტუჩას რომ არ სძინებოდა, ამოიცნობდა მის მეგობარ რობი კაფანიას, რომელსაც ზოლიანი ტანსაცმელი ეცვა და თვალების გარშემო ორი მზე ჰქონდა შემოხატული.


მკვდარი ხნულში, ბელტებზე ეგდო.



მალხაზ ხარბელია

ნაქილი
ნიმუში

ჰაინრიჰ ბიოლის „ადრეული წლების პური“




ჰაინრიჰ ბიოლი თითქმის ყველა ტექსტში, რაც წამიკითხავს, დიდი ყურადღებით ეპყრობა საკვებს. პურის ერთი ნამცეციც კი არ დაუფარდებათ, ისეთი გაფაციცებით აკვირდება თავისი მთავარი გმირების, მთხრობელების თუ ეპიზოდური პერსონაჟების რაციონს – საუზმეებს, სადილებს, გვიან ვახშმებს, პიკნიკებს, სამსახურისთვის გამზადებულ ულუფებს. იგი დეტალურად აღწერს პურის გატეხვის სცენებს, სუპის თქვლეფას, წყალწყალა ჩაის სმას, მოპარული ტკბილეულით ყელის ჩანვას და რაც მთავარია, შიმშილს. მისი ტექსტები სავსეა საჭმლის სურნელებით, კერძის მომზადებისას წამოსული ცდუნებებით, მარტოობის ნადიმებით, სიმწრის ლუკმებით, უმცირესის გაზიარებითა და წერწყვის ყლაპვით.

ამ წერილისთვის მისი არაერთი რომანიდან თუ მოთხრობიდან შეიძლება შესაფერისი ეპიზოდებისა და მონაკვეთების ამოკრება. ბიოლს ესეებიც აქვს, რომელიც პურს ან ზოგადად საკვებს ეძღვნება, მის ფილოსოფიას, სოციალურ როლს, ესთეტიკას. ერთ ესეს ასეც ჰქვია: „პურის ესთეტიკა“. მოკლედ, მასალა ძალზე დიდია, ამიტომ გადავწყვიტე

მხოლოდ ერთი ვრცელი მოთხრობა ამელო და ბოლოსკენ ბიოლისვე „ირლანდიური დღიურების“ ეპიზოდებიც გამეხსენებინა და დიჯესტივით, რომელიც ირლანდიური ვისკივით დამეყოლებინა ძირითადი ტექსტისთვის, „ადრეული წლების პური“-სთვის, ნიგნისთვის, სადაც სიტყვა „პურზე“ უცებ ცოცხლებიან, კრთებიან, წუხან, ფორიაქობენ, შფოთავენ. არ შეუძლიათ ამ სიტყვის გაგონება და ერთმანეთს თხოვენ: „გემუდარები, აღარ გაიმეორო სიტყვა „პური“, აღარ შემიძლია მისი გაგონება“. საქმეზე საუბრისას კი სულ „თავის რჩენას“ და „გამოკვებას“ ახსენებენ.

„ადრეული წლების პურის“ პროტაგონისტი ახალგაზრდა ყმანვილია, ვალტერ ფენდრიხი, რომელიც ერთი გოგონას, ჰედვიგ მულერის ჩამოსვლას ელოდება ქალაქში (ალბათ კიოლნში), სადაც თვითონაც რამდენიმე წლის წინ ჩავიდა სამუშაოდ. გოგონასი, ვინც ბუნდოვნად ახსოვს ბავშვობიდან, მაგრამ მაინც დიდი მოლოდინით ელოდება, სადგურზე უნდა დახვდეს.

ვალტერი პირველივე გვერდებიდან გვიყვება თავისი საქმიანობის შესახებ. იგი სარეცხი მანქანების



პროფილაქტიკაში მუშაობს და ასე ამბობს, დასვენების დღეები და ორშაბათი ყველაზე დატვირთული მაქვსო. საქმე ისაა, რომ შაბათ-კვირას ოჯახის მამები როგორც წესი სახლში არიან და სწორედ ამ დღეებში წამოუვლით ხოლმე მათ სარეცხი მანქანების შეკეთების თუ შემონეშების ვნება. ისიც დაქრის აქეთ-იქით, ქალაქის ხან ერთ კუთხეში, ხან მეორეში და გარკვეულ საფასურად აკეთებს სარეცხ მანქანებს, თუმცა შობადამდე საუზმეს ან სადილსაც გამოჰკრავს ხოლმე ხელს, გააჩნია, როგორი მასპინძელი შეხვდება.

დაპურების თემა თავიდანვე ბევრ რამეს განსაზღვრავს ტექსტში. მთხრობელი ჯერ ვინმე ფუნდელს იხსენებს, ვისაც საცხობი ჰქონდა და ვისთანაც ის და მამამისი წისკად იღებდნენ ხოლმე პურს. იხსენებს პურის გარდა სხვა სურნელებსაც, რომელიც ფუნდელის სახლიდან გამოდიოდა - ჩაშუშული ხორცის, მოტაფული ქონის სურნელებს და შემდეგ პირდაპირ გვეუბნება, რომ მან ძალიან ბევრი რამის ფასი იცის და რომ ეს ფასი (თუ ფასები) მას შიმშილმა ასწავლა.

უკვე 50-იანი წლებია, ომისშემდგომი ყველაზე მძიმე, გაჭირვების წლები თითქოს ჩავლილია, მაგრამ იგი კვლავინდებურად დამოკიდებულია პურზე. აღვნიშნავ კონება ებინდებოდა ახლადგამომცხვარი პურის გასხენებაზე. საათობით დადიოდა ქალაქში და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა - პურზე. თვალბანთებულს მუხლები უკანკალებდა და გრძნობდა, რომ მასში მგელი იღვიძებდა. აბოლებდა პურზე, ყუთთარი თავის ეშინოდა. იგი ახლაც, ხელფასის დღეებში, როდესაც ვიბეჭდო ქალაქის ფულითა და ზურდით ევსება, პურს ყიდულობს, აუარება პურს, ყიდულობს ყველგან, სადაც კი პურის მაღაზია შენდება. ყველა იმ ვიტრინასთან ჩერდება, საიდანაც პური დაუძახებს, შემდეგ შედის და არჩევს ახალ, თბილ, სურნელოვან პურს. ჯერ ორ ცალს, შემდეგ მეორე მაღაზიაში კიდევ ერთს, ასევე ბევრ ფუნთუშას იღებს, ოქროსფერებს, დაბრანულებს, ხრამუნა კანით. ამ პურებს შემდეგ თავის დიასახლისთან ტოვებს, რადგან მარტო ვერ მოერევა და თანაც პური რომ გაუფუჭდეს, დაუბოღეს ან გაუხევედეს, შეიძლება ვერ გადაიტანოს ეს ამბავი.

მთხრობელი სულ რაღაც 24-25 წლისაა, მაგრამ უკვე ბევრი აქვს მოსაგონარი. პირველ რიგში კი დედის გარდაცვალების ამბავს იხსენებს, შიმშილობის ყველაზე ძნელ პერიოდს, როცა მამასთან შიმშილზე ხმის ამოდებასაც ვერ ბედავდა, რადგან იგი მთლიანად დედაზე ფიქრით იყო მოცული. დედას საავადმყოფოში აკითხავდნენ მამა-შვილი. დედა ყოველ ჯერზე თავის ულუფას სთავაზობს შვილს, ასე ეუბნება, „რაღაც გემრიელი შემოვიწახე შენთვისო“ და არაფერს იცის საიდან აჩენს ხილს, რძეს, ღვეზელს, მაგრამ, ვალტერი ვერ ჭამს, მაღა უყვდება, იცის, რომ დედას სუსტი ფილტვები აქვს, მას უფრო სჭირდება ეს ყველაფერი და ამ დროს ხედავს მეზობელ გოგონაზე მწოლიარე ქალს, რომელიც ასევე ავადდა, მომაკვდავია, მაგრამ მის თვალბეჭდვით იმ თავის მზაცხელებს ხედავს, ზემოთ რომ ვახსენებ. ხედავს მის მგელურ თვალებს და იცის, რომ იგი ყველაფერს შეჭამს, რასაც დედა ახლა სთავაზობდა. გრძნობს დედის ხელის სიმხურვალეს და შიშს მის თვალებში,

რომელიც მეზობელი ქალის მგელურმა მზერამ გამოიწვია. მაგრამ ვალტერი მაინც არაფერს ვერ ეუბნება, მხოლოდ დედის ცხელი ხელები, თითებზე თითების ჩაჭიდება და მუდმივი, თვალებით... შემდეგ დედა ილიმის და ვალტერმა იცის, რომ ხვეწნა დასრულდა, დედამ გაუგო და თავი დაანება.

14-15 წლის ბიჭი ზუსტად გრძნობს, რომ დედა მალე მოკვდება, ამას ექიმსაც ატყობს, მის გულ-გრილ ლაპარაკზე, თუმცა მგლისთვალეა ქალი მეზობელი ლოგინიდან უფრო ადრე კვდება და ამ დროს თამაშდება მოთხრობის ერთ-ერთი უძლიერესი სცენა. კვირადღეა, პალატაში გარდაცვლილის ქმარი შემოდის, რომელიც ქარიყლაპის ჰგავს. მისი ცოლის ლოგინი უკვე ცარიელია, წინა ლამით გარდაცვლილი უკვე გადაასვენეს, ქმარი კი კარადაში იქექება - თმის სამაგრი, ფერუმალილი, საცვლები და ასანთი მიაქვს, საქმიანად ალაგებს ნივთებს და უცებ აღმოაჩენს, რომ მოშუშული ხორცის კონსერვი არ დევს კარადაში. იწყება ისტერია: „სად არის კონსერვი?! გუშინ მოვიტანე, სალამოს ათ საათზე, სამსახურის მერე! მომაკვდავი ხომ არ შეჭამდა?! ლამე გარდაიცვალა, სიკვდილის წინ ხომ არ შეჭამდა?! სად არის მოშუშული ხორცი?! მოიტათ ხორცი!...“ გაჟვრის ქმარი და თან ტუჩის კუთხეებში მოყვითალო დუფი ადგება, ხელში კი ცოლის წვეტიანი თმისსამაგრები უჭირავს და ხმალივით იქნენს. სახეში უყვირის მედდას, რომელსაც კონსერვის მოპარვას აბრალებს და რამდენიმეჯერ ხელთაც შეეხება, მკერდში ჩაარტყამს მუშტს. თან კბილები აქვს დაკრეჭილი მკვდარი ვირთხასავით და შეტევაზე მიდის.

მალე ორი სანიტარი შემოვარდნად (ვალტერის მამის დაძახილზე), სკანდალისტს ხელებს ამოუტრიალებენ და გარეთ გაათრევენ, დედა კი ჩუმად ამბობს: „ყოველთვის ფულზე ჩხუბობდნენ ხოლმე... ერთმანეთს ისეთ სამხინელეებს ეუბნებოდნენ... 20 წელია დაქორწინებულები არიან, ერთი ბიჭი ჰყავდათ, ომში დაეღუპათ. ბალიშის ქვეშ ჰქონდა ფოტო. ხანდახან გამოიღებდა, დახედავდა და ტიროდა. ფოტოსურათი ახლაც იქ დევს, ფულიც. ვერ იპოვა ქმარმა. ხორცის კონსერვი კი თავად ქალმა შეჭამა, გუშინ მოასწრო“.

ყველაზე მეტად ვალტერს დედის გარდაცვალების შემდეგ უჭირდა, პირველ თვეებში. იგი კვირაში ოთხჯერ წმ. ვინცენტის ჰოსპიტალში დადიოდა, სადაც დედას შორეული ნათესავი მუშაობდა სამხარეულში. თხელი სუმი, ხანდახან პური, მისი მთავარი საზრდო იყო. მოხუცებთან ერთად ჩამოვდებოდა და ხერხედა სუბს. საკვებს ღია ფანჯრიდან აწვდიდა და კლარა - ძლიერი, სავეს მკლავები, თეფშებით და დამშეული მოხუცების აკანკალებული ხელები. ეს ყველაფერი გვიან სალამოს ხდებოდა, როცა ავადმყოფებს უკვე ეძინათ, თითქოს გაბრაზდებოდნენ „მათ ხარჯზე“ ქველმოქმედება რომ დაენახათ.

მისაღებში მხოლოდ ორი 15-ვატიანი ნათურა ბუუტავს და პირის ნკლაპუნს ისევ და კლარა თუ დარღვევს. ამჯერად იგი უძლიერეს თეფშებს გამოაგამს. უძლიერეს ყოველთვის ნითელია, ისეთი ნითელი, როგორც ჯოხზე წამოცმული მამალოები. შემდეგ ცოტა ხნით ისევ გაქრებოდა ეს ჩვენი წმ. კლარა და სოუსიანი ქვაბით ბრუნდებოდა, შხამიანი ყვითე-

ლი ფერის საწებლით, ისეთი ყვითელით, როგორც გოგირდია, ანდა საკვირაო ბაზრობების ვაი-მხატვრების დახატული ბრტყელი მზეები. ხანდახან, როგორც ვთქვი, პურის ნატეხიც შედიოდა რაციონში (კვირაობით კარტოფილი და ხორციანი საწებელიც გამოვსატებდა მინიმალურად), მოგვიანებით კი თითო ღერი თეთრი, ქათამთა სიგარეტის ჯერიც დგებოდა, რითაც და კლარა აგვირგვინებდა თავის ქველმოქმედებას. და ბოლოს, სევდიანი, მწუხარებით ნათქვამი სიტყვები: „მეტი აღარაფერია“.

ვალტერს სიყვარული და სიძულვილიც შიმშილზე აქვს აწყობილი. მაგ. იგი ვერ იტანს თავის უფროსს, რადგან მისი სახლიდან საოცარი სურნელები გამოდის, ისეთი კერძების და სასუსნაგების, როგორიც არადროს გაუსინჯავს - ოჯახური ღვებელები, მოშუშული ხორცი და დაბრუნული ქონი, არადა თავად ხოლმეფაობდა გადამწეული 2 ნაჭერი პური უდევს ჩანთაში და ერთი ულუფა ცივი სუში, რომელსაც მეზობელ მშენებლობაზე აცხელებს ხოლმე, თუ რა თქმა უნდა გზაშივე არ მოუღო ბოლო წვნიანს. სამსახურში გავლა-გამოვლისას მისი ჩანთიდან ცარიელი ჭურჭლის რახა-რუხი ისმის და გამოძახებაზე იმიდით მიდის, იქნებ რომელიმე მუშტარი სადილით გაუმასპინძლდეს და მართლაც, არაერთხელ ყოფილა, რომ სუფრასთან მოუწვევიათ სარეცხი მანქანების ახალგაზრდა სპეციალისტი.

საკუთარი თავისთვის მიცემული პირობის მიუხედავად, მამასთან ხანდახან მაინც წამოცდება შიმშილზე სიტყვა და მასაც ჩქარ-ჩქარა გამოაქვს სამზარეულოდან ვაშლი, მარგარინი, პური. წავას კარტოფილს ან ხელში კომბოსტოს პატარა თავს ატრიალებს, იქნებ მისგან რაიმე სალათი მაინც გამოიყვანოს.

როგორც ზემოთაც ვახსენე, ბიოლი პურის გატეხვასაც კი დანერვილმანებით აღწერს. შავ ბაზარზე ნაყიდ კილოგრამიან ფურნის პურს ვალტერი ხანდახან მარტო ჭამს. სკამზე ჩამოჯდება ან ნანგრევებში შედის, იქ განმარტოვდება და იწყება პურის შუაზე გატეხვის რიტუალი. ჭუჭყიანი თითებს თეთრი პურის გულში ასობს, ხარბად იესებს პირს და თან ამ პურის სუნთქვას აყურადებს, დარწმუნებულია, რომ ხელში ცოცხალი არსება უჭირავს, მას ანაწევრებს. ხანდახან სალამოსთვისაც ინახავს პურს, გაზეთში ახვევს და ჩანთაში დებს, მაგრამ ასეოდ ნაბიჯში ისევ ახსენდება მისი არსებობა, ჩერდება და სიარულისას, ტროტუარზევე ჭამს დარჩენილ ნატეხებს, ბოლო ნამცეცებიანად. იყო შემთხვევები, როცა კილონახევრიან პურსაც უღებდა ბოლოს და ძლიშის, ნაყროვანების ისეთი წვეტარი გრძნობდა უჩნდებოდა, რომ თავის ვახშამს სხვებს უთმობდა ინტერნატში დაბრუნებული.


ერთი სცენაა, ვალტერი და მისი მეგობარი პატარა კაფეში შედიან და სწორედ ამ დროს კაფეს თანამშრომელი ახლადგამოცხვარ ფუნთუშებს ჩაქლის ვიტრინაში. ფუნთუშები სახით (თუ ზურგით) ეკვრიან მინას, დაბრუნებული მხრიდან, სადაც მცხოველის განასერებია, მანათობელი, მაღისაღმძვრელი ნაპრალები. ისინი თითქოს მოძრაობენ, ცოცხლებივით არიან და აკვარაუმი ჩაყრილ კარჩხანებს ჰგვანან აბით. ფუნთუშის გატეხვა აქაც წვრილმანებადღა აღწერილი, თითების მოძრაობით, კანის გა-

დახსნით და თეთრი გულის გამოჩვენებითაა აღწერილი. მოგვიანებით შეყვარებულთანაც მიუძღვის ეს ფუნთუშები, ჯიბით, და ამჯერად უკვე გოგოს ხელები ტყენს მას. ხედავს მისი ძლიერი და ამავე დროს ნაზი ცერა თითი როგორ აღწევს დაბრუნულ კანში, შემდეგ ჭამასაც აკვირდება და უკვე გოგონა მოუბრუნდება და ჰკითხავს, კიდევ ხომ არა აქვს ჯიბეში პური? და იქვე დასძენს: „ჯიბით რატომ დაატარებთ? ჩიტებს აქმევთ თუ შიმშილით სიკვდილის გემინიათ?“. ვალტერი კი პასუხობს: „ყოველთვის გემინია შიმშილით სიკვდილის“.

ეს „შეყვარებული“ სწორედ ის ჰედვიგია, რომლის ჩამოსვლასაც ელოდება დასაწყისში მთხრობელი და ვინც ბუნდოვნად ახსოვს ბავშვობიდან. იცის, რომ სადღურში 20 წლის ქერათმიანი გოგოს უნდა დახვდეს, რომელიც შემდეგ მუქთმიანი აღმოჩნდება, ახალი ბალახისფერი, მწვანე პალტოთი. მისი დანახვისთანავე შიში იპყრობს, როგორც მოგზაურს, ვისაც ჰგონია, რომ რომელიღაც უცნობ მინაზე პირველმა დააბიჯა ფეხი და მაინც ეჭვობს, იქნებ დაასწრეს და სხვა ექსპედიციამ უკვე აღმართა თავისი დროშა ამ მინაზე? იგი ბოლომდე შეიგრძნობს მას - თმებს, თვალებს, ხელის მსუბუქ მტევანს, ციკსა და მშრალს. ასხნის მანქანის კაპოტს, თითქოს რადიოტორს უნდა შეხედოს, მაგრამ ამ დროს საქარე მინაში ჰედვიგა ამტერდება. ისევ შიში უჩნდება, ოღონდ არა ის, ზემოთ რაც ვახსენებ, არამედ სულ სხვა შიში, მომავლის შიში. ის ხომ ამ წამს, ამ შეხვედრის შემდეგ რომელიღაც მატარებლიდან ჩამოხტა, უკვე დაძრული მატარებლიდან, მიატოვა ყველაფერი და ახლა მხოლოდ მას უყურებს მისი მიღმა. ფიქრობს რამდენ უსასრულო საუბარს უნდა გაუძლოს, უნაყოფო კინკლაობას იმის შესახებ თუ ვინაა დამნაშავე, გაუძლოს საყვედურებს, სკანდალებს, სატელეფონო ზარებს, წერილებს, დანაშაულებებს, რომელიც თავის თავზე უნდა აიღოს.

მანამდე მთხრობელი ძველი შეყვარებულის, ვერონიკას ამბავსაც გვიყვება. მისი ძმა პურის ქარხანაში მუშაობდა და ყოველთვის მოჰქონდა პური ვალტერისთვის. გოგონას უყვარდა, როცა ხელიდან ატეხდა მას, ვისაც უკვე დაზეპირებული ჰქონდა მისი ხელები. ერთხელაც დედამისის ბეჭდი აჩვენა და ვერონიკას თვალბეჭდი იგივე მტაცებლური მოყვითალო ნაპერწკალი დაინახა, რაც იმ ქალის თვალებში, დედის პალატაში რომ იწვა. მოგვიანებით ვერონიკა გათხოვდება, ხნიერ მერძევეს გაჰყვება, ცოტათი მოსუქდება და წლების შემდეგ, როდესაც შემთხვევით მის სახლთან ჩაივლის, ვალტერი დაინახავს ძლიერი, ლამაზი თეთრი ხელებით როგორ ახამს იგი რძეს.

მთხრობელი სულ ხეციალშია, ხან ფეხით დადის, ხანაც მანქანით. კორმანხერგასე, იუდენგასე; ნეტცმახერგასე, წუდენგასე, კურნელმტრასე, რენცტენგასე. ეს და სხვა ადგილები ხშირადაა ნახსენები წიგნში, ხან მარტო დადის, ხან სხვასთან ერთად და ვისთანაც არ უნდა იყოს, თვალი მაინც გაეცემა პურის ან ხორცის მალაზიისკენ, ფუნთუშებისკენ თუ კონსერვებისკენ. შედის კაფეებში და ხედავს, ამწნევს, იცის, რომ ამჟამადველმა ეს-ესაა ისაუშმა, გადაყლაპა ბოლო ლუქა და ისევ გადაიკრა სახეზე დასწავლილი ღმილი, რომლითაც მყიდველს უნდა



შეეგებოს, თუმცა სახეზე მაინც ანერგია, რომ ის ბოლო ლუკმა ჯერ კიდევ ხელს უშლის და ღიმილი არა და არ გამოდის ისეთი, როგორც უნდა იყოს. არის კიდევ ერთი, შოკოლადის გამყიდველი, რომელიც თავადაც კამფეტს ჰგავს – ტკბილი, გაკრიალებული, ჩასაყლაპი. პატარა, კოხტა ქალი ნაზი და მოქნილი თითები. ეს ქალი კიარ დადის, დაფრთხილებს, ჩიტვით. თმები შოკოლადზე დატანილი მარცხპანის ხაზებს უგავს და რაც მთავარია, მან ყველაფერი იცის ქალაქის კანფეტ-შოკოლადიან ტოპოგრაფიაზე, ასოვს, ვის რომელი შოკოლადი უყვარს ყველაზე მეტად, შესანიშნავი მოჩვევები ქალებისთვისა და მამაკაცებისთვისაც, ვინც საჩუქრად არჩევს ტკბილეულს. მას ვილაცის მიერ არჩეული შოკოლადის მიხედვით შეუძლია დაადგინოს, ლალატობს თუ არა ის ვილაც მუდღეს და ა.შ. ამ გამყიდველს ვალტერი 7 წლის წინ წარმოიდგენს, როცა ძალიან უჭირდა. წარმოიდგენს როგორ შედის მაღაზიაში და აქვს თხოვს გამყიდველს და ხედავს, რომ მისი ნუშისებრი თვალები ვიწროვდება, ავდება და ნაზი თითები ბრჭყალებად იქცევიან.

კიდევ ერთი კაფეს თანამშრომელი მახსენდება, რომელიც ვაშლის ნამცხვარს ჭრის ძალიან ფრთხილად, დაბრუნული ცომის „გისოსები“ რომ არ დაზიანოს. ეს ნამცხვარი მთხრობელს ეკლესიის მრგვალ სარკმელს აგონებს.

„ადრეული წლების პურში“ პირადი ტერიტორიებიც საკვებისა და მისი სურნელების მიხედვით იყოფა, მაგ. ერთი პერსონალიზირებული იმ კაფეში შეიტყუებებს მნიშვნელოვან პირად საქმეზე სალაპარაკოდ, სადაც თავს მინაურად გრძნობს, საკუთარ ტერიტორიაზეა. ასეთ დიალოგებში რაღაცა დოსტოევსკურიც მოჩანს ხოლმე ხანდახან, ისტერიული, მოუთოკავი, სადაც თვლის ერთეული პური: „უკეთესი იქნება გადახედო შენს საგადასახად უწყებებს... ნაიკითხე ყველა სახელი და გვარი, ხმამაღლა ნაიკითხე, ხმამაღლა და კრძალვით, როგორც ლიტანია და ყოველი სახელის შემდეგ თქვი: „გვაპატიეთ!“ – შემდეგ ადექი და ამ სახელების საერთო რაოდენობა ათას პურზე გაამრავლე და რასაც მიიღებ, ისიც ათასზე გაამრავლე... და თვლის ერთეული დაე პური იყოს, ჩვენი ადრეული წლების პური, რომელიც დარჩა ჩემს მესხიერებაში, როგორც სქელ ნისლში, პური და არა სუპი... რომელიც ძიმედ ქანჭყარებად მუცელში და ყელში ტყელ და მუყავე ტალღებად ამოდიოდა, როცა სახლებში ტრამეაგებით ვბრუნდებოდით...“.

იქვეა ერთი უცნაური აღსარებაც, სადაც მთხრობელი და კლარას ისვენებს სიყვარულით, ვინც უკვე დიდი ხანია ქალაქბარეთ მონასტრის მყუდრო სასაფლაოზე წესს. ამბობს, მის მიმართ ვადიკებით მეტ სიბოძს და სინაზეს განვიცდი, ვიდრე ყველა დანარჩენი ქალის მიმართ, რომელსაც კი ვიცნობდიო: „ვუყურებდი მათ თვალებში, ვაკვირდებოდი ხელებს და ცხადად ვხედავდი საფასურს, რომელიც უნდა გადაეხადა. და ამ დროს ნამში მტკიცებად ჩემი ნაქები შარმი, მათ კი უცებ სცილდებოდათ მთელი მასკარადი, სურნელოვანი არომატები, უმანკოების სხივი, რომლის საფასურიც ძალიან კარგად ვიცი. ვალვიძებდი მგელს, იგი ჯერ კიდევ თვლებშია ჩემში, ვალვიძებდი ჩემს შიმშილს, მან ხომ ყველაფრის ფასი მასწავლა. ცეკვისას გოგონას ყელთან ნაზად დახ-

რილს, მისი მუცლის ყმული მესმოდა და ვხედავდი როგორ გარდაისახებოდა ჩემს ხელში მოჭრულ ნა მხარზე დადებული ლამაზი ხელი ბრჭყალებთან თათად, და ეს თათი მზად იყო პური გამოეგლიჯა ჩემთვის“.

ბიოლის „პურის“, უფრო ფართოდ კი საკვების, დაპურების სიმბოლიკის შესახებ არაერთი კვლევა დანერგა და ზოგან მას ქრისტიანული ტრადიციის ალტერნატივადაც მიიჩნევენ, უფრო სექულარული, ახალი საზოგადოების ხედვის სანინდრად და ამ დროს რეალური შიმშილის გარდა სხვა შიმშილსაც ახსენებენ, შიმშილს, რომელსაც ნაყოფიანება და ეგოიზმი იწვევს. და დგება დრო, როცა სხვათა მიმართ თანალობა კი არ განსაზღვრავს ჭამას, დაპურებას (essen), არამედ თქველუფა (fressen) ხდება ნამყვანი, ჭამა სხვებზე ზრუნვის გარეშე.

სხვათა შორის, ეს მოთხრობა ირლანდიაშია დაწერილი, კუნძულ ექლზე (Achill Island), ირლანდიის უკიდურეს დასავლეთ კუნძულზე, მაიოს საგრაფოში. აქ ბოლო ხშირად ჩადიოდა ხოლმე სანერად და დასასვენებლად და მინდა „ირლანდიური დღიურის“ ალკო-გასტრონომიულ თემებზეც შევჩერდე ცოტა ხანი, ნიგნე, რომელიც „პურიდან“ 2 წლის შემდეგ გამოვიდა, 1957 წელს. დღიურებში, აუარად ფინჯან ჩაისა და ვისკის ხშირ-ხშირ ჩარტყმებს რომ თავი დავანებოთ (ბლომად ლუდითურთ), – ლამის ყველა გვერდზე გვხვდება ეს გასტრონომიული თემები და შესავლად შეიძლება მწერლის ერთი თანამემამულეს მენიშვნაც გამოდგეს, რომელმაც ირლანდიაში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე გააფრთხილა ბიოლი, რომ იქ „ყველაფერი ჭუჭყითაა სავსე, ყველაფერი ძალიან ძვირია და რამდენიც არ უნდა გადაიხადო, ნამდვილ კარბონად მაინც ვერ იშვია“-ო. ბიოლმა არ იცის რა არის კარბონადი და მაა პირად მტრად მიიჩნევს, ირლანდიის დასაცავად კი ხან ჩაის უპირისპირებს, ხან Tantum ergo-ს, ხანაც ჯოისის და იეიტსის, და ბუნდოვნად ხედება, რომ საუბარია რაღაცა ხორციან კერძზე. ბოლოს Duden-ს გადაშლის და მართლაც, აღმოჩნდება, რომ კარბონადი შემწვარი ღორის ხორცია.

ხორცის მაღაზიებზე აქაც შეხვდებით დაკვირვებებს, ოღონდ ამჯერად ომისშემდგომი კონტინენტის შვიერი თვალების ნაცვლად, ვხედავთ გაკრეჭილ ფერმკრთალ ირლანდიელ (ლიმერიკელ) ბავშვებს, რომლებიც ჩამოკიდებულ ხორცის ნაჭრებზე ქანაობენ. ხან ჩლიქებზე მოეჭიდებიან, ხან კუდზე და ამით ერთობიან. ნიგნში ბავშვების საყვარელი სასუსნავი ხრამუნა შემწვარი კარტოფილია, რომელსაც ძმარბისხმულს მიირთმევენ, საუზმეზე კი დიასახლისი ცდილობს სტუმრები ყუათიანად ასაუზმოს: კვერცხს უწვავს, ხილფაფა გადმოაქვს ლამაზზე, თეთრ და ჭვავის პურს ჭრის, ასხამს ჩაის, ტორფის ცეცხლზე ფუნთუშებს აცხობს (ცომს ფორმებში უშვებს და შემდეგ ტორფის ნაკვერჩხლის ალყაში ტოვებს).

აქ ყველა სვამს ვისკის. ავტორიც, მისი პერსონაჟებიც, ქალებიც, კაცებიც, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც. მასპინძელი დიასახლისი ისე შეეჩვია მართობას, მოლოდინს და უამინდობაში ვისკის წრუპვას, რომ უკვე ხმებიც ესმის, ბოთლიდან (როგორც მისი ფსიქიატრი ამბობს). უამინდობაზე მთელი მე-

ნიუც კი ჩამონერა ბიოლმა. მაგ. რა უნდა გქონდეს აუცილებლად მომარაგებული, როცა ნამდვილი ირლანდიური წვიმა მოდის: სანთლები, ბიბლია, ვისკი, ბანქო, თამბაქო, საქსოვი ჩხირები და ძაფი ქაღალბისთვის. ქარბზალს ბევრი ჰყავრი მოაქვს, წვიმას ბევრი წყალი, ამ დროს ვისკი უნდა ჩამოასხა და მიენდო წვიმის ხმას, ქარის ღრიალს და საქსოვი ჩხირების წკარუნს: „როცა აუჩქარებლად სვამ, ჩაფიქრებით, ცეცხლოვანი წყალი არამხოლოდ სიღრმეზე ზემოქმედებს, არამედ სიგანეზეც“, რაც ალბათ ნიშნავს, რომ იგი შინაგანი ზედვის გარდა, გარე თვალსაწიერსაც აფართოვებს.

დაუვიწყარია ირლანდიური პაბებისა და სამიკიტონოების ბიოლისეული აღწერები. მაგ. იგი ისენებს ერთ ასეთ „სამიკიტნოს“, სადაც მაგიდები ტყავის ფარდებითაა ერთმანეთისგან გამოყოფილი (ჩვენში რომ კუპეებს უწოდებენ, დაახლოებით ეგაა), სადაც ლოსს საკუთარი თავი შეუძლია გამოკეტოს, როგორც ცხენი თავლაში, განმარტოვდეს, მარტო დარჩეს ვისკისთან და მწუხარებასთან, რწმენასთან და ურწმუნობასთან. იგი ამ დროს თავისი დროის ფსკერზე ეშვება, პასიურობის კამერაში, და იქ ზის, სანამ ფული გაუთავდება, სანამ იძულებული არ გახდება ისევ ამოყვინთოს დროის ზედაპირზე და ნიჩბები მოუსვას, მოუსვას უსუსურად, უაზროდ და უიმედოდ, რადგან ნიჩბის ყოველი მოსმა სტიქისის ბნელ წყლებს გვაახლოვებს. ქალების ადგილი არაა ასეთ სამიკიტოებში, ისინი შრომობენ, მამაკაცები კი მარტონი რჩებიან თავიანთ ვისკისთან, ყველანაირ საქმეს მოშორებული – ოჯახს, პროფესიას, ღირსებას, საზოგადოებას. ვილაცას პროგრესის სჯერა, ვილაცას კი ვისკის.

ბოლოს ერთი თავი უნდა დავიმონწო „ირლანდიული დღიურებიდან“, რომელიც სმასა და კანონმდებლობას შეეხება. თავს ასე ჰქვია: „თუკი შეიმასს დალევა მოუნდება...“. საუბარია კვირადღეზე, როცა პაბები მხოლოდ დღის 2 საათამდეა ღია ან საღამოს 6-ის მერე. თუკი კვირის მსუყე სადღი (მაგ. მარილიანი ღორის ბარკალი ცხარე კომბოსტოთი) 2-ზე გვიან დასრულდა, შეიმასი ვერც ერთ პაბს ვერ

ნახავს ღიას, რომ დამძიმებულზე და მოწყურებულზე ლუდი ან ვისკი გადაუფინოს. თუკი გაუღებენ და ჩამოუსხამენ, მეპატრონე იძულებული გახდება ნ გირვანგა სტერლინგი გადაიხადოს ჯარიმა. ამიტომ, რისკზე არავინ მიდის. სამაგიეროდ არსებობს მეორე კანონი, რომელიც ამბობს: მოგზაურს, ვინც თავის სახლს 3 მილით დაშორდა, აქვს უფლება ნებისმიერ პაბში 2-დან 6-მდეც მოითხოვოს სასმელი. ამის გამო შეიმასს, რომელიც სამის ხუთ წუთზე გამოიდა ნასადილები და ხვდება, რომ უკვე დააგვიანდა, ისევ სახლში ბრუნდება, გამოჰყავს ველოსიპედი და 6 მილით დაშორებულ სოფელში მიექანება ვისკის და ლუდის დასაღევად. თან გზაში დარდობს, ფიქრობს, როგორ არ გაუმართლა, რომ ეს სოფელი 3 მილის დაშორებით კიარა, 6 მილის მანძილზეა და ორჯერ მეტი გზის გავლა უწევს. სოფლებს პატარა უღელტეხილივით მთა ჰყოფს, რომლის წვერზეც შეიმასს შეიძლება მისი ძმა შეხვდეს, დერმოტი, მეზობელი სოფლიდან, სადაც შეიმასი მიიჩქარის. ძმასაც იგივე გასაჭირი აქვს – მარილიანი და ცხარე მსუყე კერძის შემდეგ მასაც მოსწყურდა, ოღონდ დერმოტი შეიმასის სოფელში მიიჩქარის დასაღევად, ასევე 6 მილის მანძილზე. შეიმასი დერმოტის პაბში, დერმოტი შეიმასისაში. მათი შეხვედრა ერთ რამეს იწვევს, თითო კათხის დასაღევად გამოსულები როგორც წესი უცებ გადაიფიქრებენ და გვიანამდე აგრძელებენ სმას, ბოლომდე ითიშებიან, რადგან არ ღირს 6 მილის (ორივე გზა – 12 მილი) გავლა კათხა ლუდისთვის. ასეთ მანძილზე წამოსული გემრიელად უნდა დათვრე.

კიდევ ერთი, გზაში შეიმასი სულ იგინება, მაგრამ როგორც წესი მისი ლანძღვა-გინება არასდროს ეხება სექსუალურ სფეროს, როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყნის შვილების გინება (მაგ. როგორც ჩვენი, ქართველების). ესაა გინება ადამიანისა, ვისაც ყურძნის ღვინოს სპირტიანი სასმელი ურჩევნია. მისი გინება უფრო მკრეხელური, შეურაცხყოფელი და მახვილგონივრული შეიძლება იყოს, ვიდრე სექსუალური საფუძვლის მქონე ლანძღვა. ტყუილად კი არაა სპირტი სპირიტუი – სული.



ლექსო ლობჯანიძე

გაიცანი, ეს ჰანტაა



ბოჰუმილ ჰრებალი
მეტისმეტად ხმაურიანი
მარტოობა



ბოჰუმილ ჰრებალი „მეტისმეტად ხმაურიანი
მარტოობა“. ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიჯი-
ლაშვილმა. თბ. „დიოგენე“, 2016.

„რაც არ გკლავს, გაძლიერებს“

ნიცუე

შენობაში, სადაც რამდენიმე ათეული ათასი წიგ-
ნია, საინტერესოდ უდგრს, თუ ერთ-ერთი წიგნის გა-
რეკანმა, რომელზეც დიდი ცისფერი თვალებით, შე-
შინებული სახით და ბინძური სამოსით, მარიონეტა
გამოსახული, თვალი მოგჭრა. მაგრამ იმდენადვე ალა-
რაა საინტერესო, როცა ამავი წიგნს, იმ ეპოქაში, სა-
დაც მთელი რიგი ბინარული ოპოზიციები ყრია კი
ლიტერატურ ნაგავსაყრელზე, სახელად „მეტისმეტად
ხმაურიანი მარტოობა“ ჰქვია. ეს უკანასკნელი მე-20
საუკუნის ჩეხ მწერალს, ბოჰუმილ ჰრებალს ეკუთვნის,
რომლის არსებობა აქამდე არც კი გამეგო და საერ-
თოდ არსებობა, როგორც ასეთი, ან სულაც, როგორც
ისეთი, ამ წიგნის შემდეგ მეტ-ნაკლებად პირობითიც
კი მოგვეცნებება.

რომანის პროტაგონისტი ხანშიშესული მამაკაცი
ჰანტაა, რომელიც 35 წელია მაკულატურაზე იმ სარ-
დაფში მუშაობს, სადაც სუფთა არაფერი მოიძებნება,
გარდა პერსონაჟის ცნობიერებისა. პერსონაჟი საკუ-

თარ თავს ცოცხალი და მკვდარი წყლით ავსებულ
დოქს უწოდებს, რომლის ოდნავ გადახრის დროს სიბ-
რძნე გადმოიღვრება, რადგან მაკულატურასთან გან-
საკუთრებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის,
რომ იგი თავისდაუნებურად ერუდირებულია. ჰანტას
მიმართება როგორც წიგნებთან, ისე მაკულატურის
დამწნეხვ მანქანასთან, ავტორს ძალიან ორიგინალუ-
რად და სკურულოზულად აქვს აღწერილი: „ჩემი ირ-
გვლივ სამყაროს შევეზარდე, იმიტომ, რომ როცა
ვკითხულობ, კი არ ვკითხულობ, არამედ ყოველ ლა-
მას წინადადებას ნისკარტში ვიქცევ და კამფეტი-
ვით ვწუნნი, დიდხანს ვაგემოვნებ, თითქოს ლიქი-
ორს ვსვამო“.

ერთი მხრივ, ჰანტა ქართული ლიტერატურისთვის
ნაცნობ გმირს, ვასიკო კუყერაძეს მოგვაგონებს, მაგ-
რამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ჰრებალის შემ-
თხვევაში პერსონაჟს წიგნებთან არცთუ ისე საკრა-
ლური დამოკიდებულება აქვს. ტექსტს ლაიტმოტივად
გასდევს პერსონაჟის ინტუიცია, რომ ერთ დღესაც სა-
ნოლის ზემოთ დამაგრებული ფიცარი ჩატყდება და
ორი ტონა წიგნი მიწაზე გააბრტყელებს მას.

რაც შეეხება ნაწარმოების ექსპოზიციებს, სადაც
პერსონაჟი მის საქმიანობაზე საუბრობს, ეს შეიძლება
იმის კლასიკურ მაგალითად იქცეს, თუ რამხელა ოს-
ტატობა სჭირდება ფორმისა და შინაარსის ასეთ ადეკ-
ვატურ სინთეზს, რომლის შედეგადაც პრაქტიკულად
გამათვითცნობიერებინა უოლტ უიტმენის სიტყვები
პოემიდან „ბალახის ფოთლები“: „წერისას, მე ვმოქ-
მედებ შენი ენით შენსავე პირობ, რადგან ჩემში ის
ალარაფერს წარმოადგენს“.

მართლაც, როდესაც ჰრებალი საუბრობს ჰანტას
პროფესიაზე, რომელიც ჰიდრაულიკურ წნეხში მაკუ-
ლატურის გატარებას გულისხმობს, იგი ჰიდრაული-
კურადვე ჩახვეული წინადადებებით მოგვითხრობს
ყოველივე ამას, რითიც ენას ფიზიკურ დისკომფორტს
უქმნის და ენის გასატყევივით გვიწევს ამ პასაჟების
ნაკითხვა. აქვე, უდავოდ აღსანიშნავია მთარგმნელი
სულხან მუხიჯილაშვილი, ჩვენ სწორედ ამ პასაჟის
თარგმანი შეგვიძლია მის მაგნუმ ოპუსად ჩავთვალოთ.

„მეტისმეტად ხმაურიანი მარტოობა“, რასაკვირ-
ველია, პოსტმოდერნისტული კონცეპტების მთლია-
ნობაა. გარდა იმისა, რომ მკითხველი ხშირად გადა-
წყდება გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წამ-
ყვანი ფიგურების ციტირებას, იგი აგრეთვე ხშირად
შეხვდება გაცნობიერებულ ქრისტიანს და ლაო-ძის. ავ-
ტორი ცდილობს ორი ძველი პერსონაჟის არსებითი
თვისებების, პრინციპებისა და მოქმედებების აღწე-
რით შექმნას ახალი, პოსტმოდერნისტული ტექსტი.
მკითხველი ხანდახან ერთდროულადაც კი ამოყოფს
თავს სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ერთი მხრივ,
თუ კვანძი იკვრება კანალიზაციის მილებში, სადაც
რუხ და შავ ვირთხებს გაცხარებული ომი აქვთ, მეორე
მხრივ ინტრიგა სარდაფში მწიფდება და იქვე აღწევს
ნაწარმოების მთავარ კონფლიქტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარდაფში სუფთა

არაფერია, თვით ჰანტაც კი, რადგან ძალიან იშვიათად იღებს შხაპს. ასეთი ჭუჭყიანი მუშა, რომელიც 35 წელია ჰიდრავლიკური წნებით მაკულატურას წნებს და წნებს მაკულატურას ჰიდრავლიკური წნებით და არჩევანი რომ ჰქონდეს სხვას მაინც არაფერს აირჩევდა, გადაეყრება აპრიორ ბინძურ ბოძა ქალს, რომელთანაც რომანტიზებული ურთიერთობა ექნება. ჩვენ გვაქვს მოცემულობა, სადაც ორი ჭუჭყიანი პერსონაჟი იყრის თავს, მაგრამ ავტორი რაციონალურობას უპირისპირდება და ტექსტში დეკონსტრუქცია ხდება. იგი ისე ესთეტიკურად მოგვითხრობს ამ, ერთი შეხედვით ამაზრუნ და არაესთეტიკურ ეპიზოდს, რომ მკითხველს საერთოდ ავიწყდება ის ბინძური რეალობა, რომელშიც, დიდი ალბათობით, საშინელი სუნი უნდა იდგეს.


მიუხედავად იმისა, რომ რომანი ტრაგიკულია, ტექსტის მრავალფეროვნებას ქმნიან კომიკური ლიტერატურული დისონანსებიც. ერთ-ერთ ბარში ყოფნისას მოულოდნელად კარი იღება, საიდანაც გოლიათი შემოდის. მისი ბრუტალური ქმედება, კერძოდ სკამის დამტყვევა, ნაწარმოების ქრონოტოპოსს რეპრეზენტულს ხდის. მკითხველი ემზადება იმისთვის, რომ ფრეიტაგისეული კლიმაქსიზაცია მოხდეს. სადაცაა გოლიათმა უნდა დახოცოს ხალხი, რომ უცაბედად იგი სკამის ფეხებით დირიჟორობას იწყებს. პერიპეტეული ცვლილება, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ინარჩუნებს კომიკურობას და პასაჟის დასასრული ისევე და ისევე ტრაგიზმით სავსე პათოსში გვაბრუნებს, სადაც ნაწარმოების მაკულატურად დეტერმინირებული ხაზია, მას კი დიდი უბედურებისკენ მივყავართ.

ჟან-პოლ სარტრი ესეში „რატომ ვნერთ ჩვენ“ ამბობს, რომ კითხვა შედგება ჰიპოთეზების, ოცნებების, უეცარი გამოფხიზლების, იმედისა და გულგატეხილობისაგან. მართლაც, „მეტისმეტად ხმაურიანი მარტოობის“ კითხვისას, მკითხველის ცნობიერებაში მალევე გაჩნდება ჰიპოთეზა, თითქოს ჰიდრავლიკური წნების მანქანა რეფიცირებული, განივებული ცხოვრებაა, რადგან ეს ორი უკანასკნელი ერთმანეთს უფრო და უფრო ემსგავსება: „ყველაფერი, რაც ამჟვეყნად მი-

ნახავს, წინ მიდის და უკან ბრუნდება, როგორც ვთქვით საბერველი სამჭედლოში ან ჩემი წნეა“.

ტექსტის მხატვრულ სრულყოფილებას ემატება კიდევ ერთი ფაქტორი. ავტორს კარგად აქვს გააზრებული, რომ ნებისმიერი სრულიად დეპოლიტიზებული ტექსტი აბსურდია და მის ნაშრომში სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილიც კი უკავიათ. ერთ დღესაც ჰანტა გაიგებს, რომ მისი სამუშაო დაზავა, რომელთან ერთადაც აპირებდა პენსიაზე გასვლას, სულ მალე ამოწურავდა საკუთარ თავს, რადგან მის წნეხის მანქანას ქალაქში გიგანტური, რობოტიზებული წნეხის მანქანა ჩაანაცვლებს, რომელსაც სოციალისტური შრომის პრიგადიდან მართავენ. ავტორი ინდივიდისა და კოლექტივის ანტაგონიზმით (ცილობს, აღწეროს ის იდეოლოგიური კრახი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელთანაა დაკავშირებული: „მე იმის შეგნებამ შემამინა, რომ ეს გიგანტური წნეხი სასიკვდილო დარტყმა ყველა პატარა წნეხისთვის, მიგხვდეს, რომ ის, რასაც ახლა ვხედავ ახალი ეპოქის დასაწყისია, ახალი აზროვნების სტილია“. ჰრაბალი, ყველაფერთან ერთად, ბევრი სხვა მწერლისგან სოციალიზმის კრიტიკითაც გამოირჩევა. მისი მიკუთვნება გაგვიჭირდება იმ მწერალთა და ინტელიგენტთა რიგებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კრიტიკიდან დაიბადნენ. ჰრაბალის უარყოფითი დამოკიდებულება სოციალიზმის მიმართ საერთოდ არაა რომანტიზებული. იგი იქვე დასძენს, რომ ახალი ჰიდრავლიკური მანქანა მეტად გამართული და მომგებიანია ძველთან შედარებით.

მართლაც, ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ფაქტორები ჰანტასთვის ფატალური აღმოჩნდება და სულ მარტოდმარტოს დატოვებენ ჰიდრავლიკური წნეხის, ან უკვე საკუთარი თავის, ან სულაც ცხოვრების პირისპირ, რომელშიც ჰანტა საგნების, სხვა პერსონაჟების და საკუთარი არსებობის მწარმოებელია. დასაწყისშივე ვთქვი, რომ არსებობა, ამ წიგნის შემდეგ პირობითი ხდება, ნაწარმოების ფინალი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნიცშე შეცდა. ხანდახან იმან შეიძლება მოგკლას, რაც ოდესმე გაძლიერდება.



ნა პერიკლაზა ყოფილიყო თქვანი რაქლაპა

საქართველო
გერმანიის
გერმანიის

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ი3/120

